

ა მ ს ა გ ხ

თვიური ქურნალი

წელიწადი მერკე

№ VIII

ა გ გ ი ს 6 მ, 1901



ტყილისი

საქართველოს მთავრობის გუბერნატორის

1901

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Сентября 1901 г.

## შ ი ნ ე ს რ ს ი

I— ბრძნეული ციხე.—(ფანტასტიური ეტიული).	შ. არა-	82
გვარისმინჯისა . . . . .	გა- . . . . .	1
II— საბრალონი.—რომანი გიქტორ ჭიუგოსი, პირველი ნაწილი, თავმანი ფრანგულით, ღვ. მაჭიგბრიანისა, (გა- გრძელება) . . . . .	ნა- . . . . .	21
III— კატარა მიოლული.—კომედია სამ მოქმედებად პენ- რის იბსენისა, თარგმანი ინ. ანდისა (დასასრული) . . . . .	რი- . . . . .	95
IV— გურია. აჭარა.—მეზავრის შენიშვნები — XXII.— მა- რატის ხეობა, თ. სახთევისი . . . . .	რა- . . . . .	1
V— ძველი თაღბა.—არჩილ ჯორჯაძისა . . . . .	ძვ- . . . . .	28
VI— — უცხოეთის გიმოჩილდა.— რუსეთი და საფრანგეთი, . . . . .	უც- . . . . .	41



# ს ა გ რ ა ლ ო ნ ი

რომანი გიქტორ ჭიუგოსი

(თარგმანი ფრანგულით)

ნ ა ჭ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

VI

ესნ გადასინი

ჯერ ისევ ღამე იყო, ეან ვალეანს რომ გამოელვიძა.

ეან ვალეანი ერთი ღარიბი ბრიელი გლეხი-კაცის შეილი იყო. მის დედას ეანმათიეს ეძახდნენ, მამას — ეან ვალეანს, ზოგნი ეან ვლაეანს. პატარაობისას წიგნი არ ესწავლა. დავაუკაცია და გამსხვლელად იყო ჭავროლში.

როგორც ყველა მოსიყვარულე-გულის პატრონი, ჩაფიქ-რებული კაცი იყო, თუმცა სიმხიარულეს მოკლებული არ იყო. ერთობ კი, შეხედულობით მაინც, საკმარისად უმნიშვნელოს, ულაზათოს და რაღაცა დო-ყლაპიას წარმოადგენდა. ჯერ ისევ ბავშვი იყო, რომ დედ-მამა დაეხოცა. დედა შშობიარობაზედ მოკვდა უპატრონობით და მამა, იმისავით გამსხვლელი, ხიდან ჩამოვარდა და იმას გადაჰყვა. ეან ვალეანს ერთი ღა-ღა ღარჩა, თავიზედ უფროსი და იმან გამოზარდა ეს ობოლი. მანამ ქმარი ცოცხალი ჰყავდა, არაფერს აკლებდა თავის პატარა ძმას, შაგრამ დაქვრივდა და შვილი შვილი დარჩა, წვრილფეხა გოგო-ბიჭი;

\*) იხ. „მრამბე“ № VII.

უმფროსი რვა წლისა ჰყავდა, ქმარი რომ მოუკვდა, და უნცროსს ძუძუს აწოვებდა. ამ დროს ეან ვალეანი ოცდა ხუთის წლისა იყო, მამობა იმან გაუწია თავის დისტულებს, და მით გადაუხადა სიკეთე თავის ნაამაგდარ გამზრდელს. ეს უბრალო ვალდებულება იყო ეან ვალეანისა, და ისე გასწია ჭაპანი, რომ ფიქრადაც არ მოსვლია დისა და დისტულების ღალატი. თავისი სიყმაწვილე დაუსრულებელს ჯაფას შეალია. ისე უჭირდებოდა ლუკმა-პურის შოენა, რომ გოგოს არაეს გაარშიყებია: დრო არა ჭერნდა სიყვარულისთვის.

საღამოზედ დაქანცული მივიღოდი შინ და გაჩუმებული მიუჯდებოდი ვახშამს. ხშირად მათლაბიდან ამოაცლიდა თავისი და საუკეთესო ლუკმას — ერთ ნაკერ ხორცს, ან კომბოსტოს, და თავის შვილს მიაწოდებდა. ის კი იჯდა გაჩუმებული, თვალებზედ თმა-ჩამოშლილი, თავ-დაღუნული, თითქო ვერასა ხედავსო. ჭავროლში ამათ ქოხის პირდაპირ ერთი დედაკაცი ცხოვრობდა, მარი-კლოდი. ეან ვალეანის დამშეული დისტულები გადავიდოდნენ ხოლმე ამ დედაკაცთან და—დედამ გამოვგვგზავნაო, — რძეს ისესხებდნენ; ამოეფარებოდნენ ღობეს და იქა სეამდნენ რძეს, ერთმანეთს სტაცებდნენ და ტანისამოსზედ იქცევდნენ. აე დღეს დააყენებდა, რომ გაევო დელას თავის შვილების ამ გვარი საქციელი, მაგრამ დედამ არა იცოდა-რა: ჩაფიქრებული, დაღვრემილი ეან ვალეანი უსწორდებოდა მარი-კლოდს და ბავშვები დაუსჯელი რჩებოდნენ.

სხვლის დრო რომ დადგებოდა, ბევრი საქმე ჭერნდა ეან-ვალეანს. და დღეში შვიდ შაურს, მეტსა შოულობდა. მერმე სამკალად მიღიოდა, დღიურ მუშად, მენახირედ; საქმეს არ გაურბოდა და შრომობდა, რამდენიც კი შეიძლებოდა. დაც არ იყო უსაქმურად, მაგრამ რა ქნას კაცმა, როგორ არჩინოს შეიდი ბავშვი? საბრალო იყო ეს ოჯახი, სიღარიბისაგან დაჩაგრული და სულ შეხეულობი.

ერთს ზამთარს ძალიან გაუჭირდათ საწყლებს. ეან ვალეანმა საქმე ვეღარა იშოენა-რა, სახლში პური აღარ იყო. ბავშვები სიმშილით უკვდებოდათ. შვიდი ბავშვი!

ერთს კვირა საღამოს, ისტიყო დასაძინებლად მიემზადებოდა ხაბაზი მობერ იზაბო, რომ უცბად ქუჩის მხრიდან რაღაც ხმა-ურობა შემოესმა, თითქო ფანჯარა გაუტეხესო. გვეარდა დუ-ქანში და ვიღასიც ხელი-ღა დაინახა: მუშტით შემოემტვრია ფანჯრის მინა, ხელი გაღმოეყო, ერთი პური აეტაცნა და გა-ჩეარებული გარბოდა. იზაბო გამოუდგა ქურდს და დაიჭირა. ქურდმა პური გაღავდო, მაგრამ ხელი კი მთლად დაჭრილი და დასისხლიანებული ჰქონდა. ქურდი უან ვალეანი იყო.

ეს 1795 წ. მოხდა, სამართალში მისცეს და ბრალიად სახ-ლის გატეხას და ქურდობას სდებდნენ. თავისი საუბედუროდ, სახლში თოფი ჰქონდა, საკვირველი კარგი მსროლელი იყო და ხშირად იმ ღროს და იმ ალგებში ნადირობდა, რომელ-საც ყადაღა ედო. ამან დალუპა უბედური. ამგვარ მონადირეს ყოველთვის იჭვის თვალით უყურებს მართებლობა, რადგან დაყადალებულ ტყეში მონადირე და კონტრაბანდის მზიდავი თითქმის ყაჩაღად მიაჩიათ. რომ დაუკვირდეს კაცი, დიდი მან-ძილია ქალაქელ კაცის-მკვლელსა და ამ კაცთ შორის: მონა-დირე ტყეში დადის, კონტრაბანდის მზიდავი—მთაში ან ზღვის პირად; ქალაქში მცხოვრები კაცის-მკვლელი იმისთანა სა-შინელი მხეციი, რომელსაც მარტო ქალაქის გარყვნილება შექმნის. მთა, ზღვა, ტყე გააველურებს ადამიანს, პირქუშად ჰქმნის, მაგრამ ადამიანობას კი არ უკლავს.

ეან ვალეანი დამნაშავედ იცნეს. დანაშაული დამტკიცებუ-ლი იყო და სასჯელიც ცხადზედ ცხადი. საზარელს ყოფაში ჩავარდება ხოლმე ჩვენი განათლება, როდესაც უბრალო და-ნაშაულისა გამო იძულებულია საუკუნოდ დალუპოს ადამიანი. საშინელება არ არას, განათლებულმა საზოგადოებამ მოიწყვი-ტოს და ანდერძი აუგოს თავისავე წევრს? ეან ვალეანს ხუთის წლით კატორგა მიუსაჯეს.

22 აპრილს 1796 წ. პარიზში ხმა გავარდა, იტალიაში მყოფმა ჩვენმა ჯარმა ბუონაპარტეს წინამძლოლობით მონტე-ნოტში მტერი დაამარცხაო. იმავე დღეს ბისეტრის ციხეში ჯაჭვი შეაბეს კატორგაში გასაგზავნო. ეან ვალეანიც იქანონი

ერთს მოხუცებულს მეციხოვნეს,—დღეს ოთხმოც და  
ათის წლის კაცია—მშვენიერად ახსოვს ეს უბედური: მეოთხე  
რიგში იჯდა, ეზოს აღმოსავლეთის მხარეს; მკვდარს უფრო  
ჰერი ვიდრე ცოცხალსაო. გრძნობდა, რომ რაღაც საშინელე-  
ბა მოხდა მის ცხოვრებაში, მაგრამ როგორ? რა დააშა-  
ვა საიმისო? ამისი ვერა გაეგო რა. უკიცი კაცი იყო, უკოდინარი,  
გონება გაუხსნელი და, თუ იცოდა რამე, მარტო ის რომ სა-  
სჯელი მეტის მეტად სასტიკი იყო დანაშაულთან შედარებით.  
უკან მცედელი ადგა ჩაქრით, ჯაჭვს უჭედავდა, და ის კი  
გულ ამოსკვნილი ქვითინებდა, ღაპა-ღუპით გადმოსდიოდა ცრე-  
მლი და-ჩემთვის ვიყავი ფავროლში, რა გინდათ ჩემგანაო? — იძა-  
ხდა. აიღებდა მარჯვენა ხელს და თითქოშვილს პატარას შეე-  
ხოო, ინიშნებდა,—რამექნა, სიმშილით მიწყდებოდნენო?!

ტულონში გაგზავნეს. ხელფეხზედ ბორკილი დაადგეს. კი-  
სერზედ ჯაჭვი. ოცდაშვილი დღე იარა ასე. ტულონში კა-  
ტორგაში მიღებული წითელი ტანისსამოსი ჩააცეს. და უცბად  
გაქრა, დაიღუპა, წაიშალა მთელი მისი სიცოცხლე, თვით  
სახელიც კი. რაკი იქ მივიდა უან ვალეანალაც კი აღარ იწო-  
დებოდა; უან ვალეანი ნუმრად გახდა, ნაუმერი 24601.

რა მოუვიდა იმის დას? რა მოუვიდათ იმის პატარა დის  
წულებს? ამას არაერთ კითხულობდა; ან ვის რად ენაღვლება  
ვიღაცა ქვრივის და იმისი წერილშვილის სიმშილი და დაღუ-  
პვა? ხე მოსჭრეს და წააქციეს... ვინ იკითხაშს, ფოთლებს რაღა  
მოუვიდათო?

რა მოუვიდათ და ის, რაც ყოველთვის მოსდით უბედურთ:  
ულოკმოპუროდ დარჩნენ საბრალონი, ლვოვსაგან ლვთის მსგავ-  
სად შექმნილნი, უბინაოდ, უმწეოდ, და დიფანტნენ, აქეთ იქით  
წავიდნენ,—იქნება ცალ ცალკე უფრო ადვილად გავიძლოთ  
კუჭიო, და იმ საშინელებას ჩაუვარდნენ ხელში, რომელიც  
კაცობრიობის სამარცხვინოდ ჯერაც ათასობითა ნთქავს და  
ღუპავს ობოლთ და დავრდომილთ. წავიდნენ, გაიფანტნენ.  
მშობლიურმა მიწა-წყალმა მაშინვე დაივიწყა უბედური დედა

თავისი შეიღებით. და კატორგაში რამოდენიმე ხნის შემდეგ თვით უან ვალუანმაც დაივიწყა თავისი და და დის წულები.

რაც ხანი ტულონში იყო, სულ ერთხელ მიუვიდა თავისი ობლების ამბავი; მეოთხე წელწადს იყო, მგონი; ვილაც, მათს ნაცნობს ენახა. „პარიზშიათ უთხრა, სენსიულპისის ახლოს, უეინდრის ქუჩაში; თან მარტო ერთი შეილი-ლა ჰყავს, პატარა ბიჭი, სულ უძუროსიო.“

შერმე ის ექვსნი სადღა იყვნენ? ამისი იქნება დედამაც არა იცოდა-რა.

„ყოველ დღე დილით სტამბაში მიეშურება, საბოს ქუჩაში; ქალალდის მკეცავად ემსახურება. დილით ექვს საათზედ სტამბაში უნდა იყოს, რადგან აღრე იწყებენ მუშაობას. სტამბის ეზოში სკოლაა გამართული და თავისი პატარაც თან მიჰყავს. სკოლას შეიდ საათზედ აღებენ. და ბავშვმა, შვიდი წლის ბალლმა ერთი საათი გარეთ უნდა დაჰყოს, რაც უნდა ავიდარი იღეს და ცივოდეს. სტამბაში არ უშევბენ, გვიშლისო. მთელი საათი მარტოდ მარტო გდია ჯერ ისევ ბნელ დილას საწყალი ბავშვი; სცივა, ეძინება. მოიკუნტება, გაეხვევა თავის კონკებში და მიეგდება სადმე კუნკულში. კიდევ კარგი, მეკარე შეიბრალებდა ხოლმე—და როდესაც წეიმდა, შინ შეიყვანდა. თითონაც არა ჰქონდა რა საწყალ-დედაკაც—ერთი დაფლეთილი ლოგინი და ორი დამტვრეული სკამი ედგა ოთხში. მაგრამ წეიმა მაინც აღარ დასდიოდა თავზედ საწყალ ბიჭს: კატის ჩინუტებდა ხოლმე გულში, იქნება ამან მაინც გამათბოსო. შვიდ საათზედ სკოლას აღებდნენ და ბავშვიც კლასში შედიოდა“.

ეს უამბეს უან ვალუანს. მხოლოდ ერთი წამი იყო მის წყვდიადით მოცულს ცხოვრებაში ეს ამბავი, თითქო ბნელს, მოქურუშებულ ცაზედ უცბად იელვა, ქვეყანას ერთს წამს სინათლე მოჰყინა და მაშინვე გაჰქრაო. ეს იყო და ეს: მას შემდეგ თავის დღეში აღარა გაუგონია-რა უბედურს იმ ობოლთა შესახებ, რომელნიც ისე თავგანწირეთ უყვარდა. ვეღარც

სადმე შეხედა, ველარც გაიგო რამ და ამ გულსაკლავი ისტორიის შემდეგში იმათი ხსნებაც აღარ იქნება.

სწორედ მეოთხე წელიწადი სრულდებოდა, რომ უან ვალეანს ერგო გაპარვის რიგი. კატორგაში მყოფთა ჩვეულებისამებრ, იმასაც დაეხმარნენ ამხანაგები და გაპარეს. ორი დღე თავისუფლად წანწალებდა მინდორში, თუკი თავისუფლებად მიიღებს ვინმე დეენილის გულის-ხეთქას; ნალირივით მიიპარებოდა უბედური, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, სულ უმცირესს ხმაურობაზე კანკალებდა და ყველაფრისა ეშინოდა: სოფლისა, ადამიანისა, ძალლისა; დღე იმას ნატრობდა, — ნეტავ მალე დალამდეს, არაენ დამინახოსო; ღამე — ნეტავ მალე გათენდეს, არაენ მომეპაროსო. გზას ერიდებოდა, არაენ შემხვდესო; ბუჩქნარში ყველგან ჩასაფრებული მდევარი ელანდებოდა. ალარც საჭმელი იყო იმისთვის, ალარც ძილი. მეორე დღეს სალამოს დაიჭირეს. ოცდა თექვსმეტი საათი ევლო მშიერს და უძილოს. ამ დანაშაულისათვის სამი წლის კატორგა მიუსაჯეს. ეს რვა. მეექვსე წელს კიდევ ერგო რიგი გაპარვისა. ამ შემთხვევითაც ისარგებლა, მაგრამ გაპარვა კი ველარ მოახერხა: რომ დათვალეს ტუსაღები და ის იქ არ აღმოჩნდა, მაშინათვე ზარბაზანი გაისროლეს და მდევარი გაუყენეს. იმ ღამესვე იპოვნეს ჯერ აუშენებელ გემის ძირში ჩამალული. დაიჭირეს, მაგრამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია დარაჯებს. გაპარვა და წინააღმდეგობა — ორივ აღნიშნულია კანონმდებლობაში და უან ვალეანიც დანაშაულისამებრ იქმნა დასჯილი: ხუთის წლის კატორგით, რომელთაგან ორი წელიწადი ჯაჭვით უნდა ყოფილიყო დაბმული. ეს ცამეტი! მეათე წელიწადს კიდევ ერგო რიგი და კიდევ გაპარა, მაგრამ მაინც ვერას გახდა. სამი წელიწადიც ამისათვის მიუსაჯეს. თექვსმეტი! ბოლოს ერთხელ კიდევ სცადა ბედი, მაგრამ ოთხი საათის შემდეგ დაიჭირეს და სამი წლის კატორგა კიდევ მიუმატეს. სამი წლის კატორგა ოთხი საათის თავისუფლებისათვის! ცხრამეტი წელიწადი! 1796 წ. დაიჭირეს: ფანჯარა გატეხა და ერთი პური

მოიტაცა, ეს იყო იმისი დანაშაული,— და 1815 წ. გაანთავისუფლეს, 15 ოქტომბერს.

ერთს სიტყვას ჩავურთავთ აქ. აეტორი ამ წიგნისა ეს მეტარედ მოგითხრობთ იმ უბედურის ამბავს, რომლის დაღუპვის და გათახსირების დასაბამი პურის ქურდობა იყო. კლოდ გემ\*) პური მოიპარა. უან ვალეანმაც აგრეთვე პური მოიპარა. ჩვენი კანონმდებლობის და „კანონიერი სასჯელის“ ზედგავლენას რომ დაუკვირდეს კაცი, საშინელს, შემაძრწუნებელს რასმე ნახავს ადამიანის სულიო-ხორცამდე განწირებისას. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ლონდონში ასზედ ოთხმოცის ქურდობის პირ-დაპირი მიზეზი სიმშილი არის.

უან ვალეანი კატორგაში ათრთოლებული, თვალცრებლიანი მიიყვანეს. იქიდან გულ-გაქვავებული გამოვიდა. სასოწარკვე-თილი იყო, რომ მიიყვანეს. იქიდან დაღვრებილი გამოვიდა.

რა მოხდა საბრალოს გულში?

## VII

### იმედმიხდიდის გული

ვეცადოთ ამის გამორკვევა.

დეჯ, დაინახოს საზოგადოებამ, რას სჩალის იგი მართლმსა-ჯულების ძალით.

უან ვალეანი უვიცი იყო, ვთქვით; მაგრამ უგუნური კი არ იყო. ბუნებრივი სინათლე უკვე ანთებულიყო მის გულში. უბედურებამ, რომელსაც თავისი სინათლე ახლავს, ცოტა რამ წაუმატა მის ბუნებრივ გონებას. ცემამ, ბორკილმა, ჯაჭვმა, დამწყვდევამ, დაღალვამ, სიცხე-სიცივემ, კატორგაში ტანჯვა-წამებამ თავის სინიღისში ჩახედა იგი და ჩააფიქრა.

თითონვე გახდა თავის თავის მსაჯულად.

რა დავაშავეო? შეეკითხა თავის თავს.

\*) კლოდ გე, მოთხრობა ვიქტორ პიუგოსი. თარგმანი გ. ჩიტაძისა.

და ოლიარა თავის სინძლისის წინაშე, რომ უდანაშაულო არ იყო. და მაშასადამე არც უბრალოდ დასჯილი. ოლიარა, რომ სახაველი, საძრახისი საქმე ჩაიღინა; რომ ეთხოვნა, იქნება კიდეც მიეცათ ის პური; რაც უნდა გასჭირებოდა, მოცდა სჯობდა: ან შეიბრალებდა ვინმე, ან სამუშავოს იშოვნიდა რასმე; თითონვე გრძნობდა, რომ დააშავებს, ვინც იტყვის: დამშეულს რაღა ლოდინი შეუძლიანო? დააშავებს, რადგან, იშვიათია კაცი მართლა სიმშილით მომკვდარიყოს, უჭმელობით; და გარდა ამისა, ჩვენდა საუბედუროდ, თუ საბედნიეროდ, ისეა შექმნილი ადამიანი, რომ დიდხანს შეუძლიან იტანჯოს, ტანი-თაც და სულითაც, და მაინც ცოცხალი იყოს; მაშასადამე, იმასაც უნდა მოეთმინა. საწყალი ობლებისთვისაც უკეთესი იქნებოდა, რომ მოეთმინა. მიხვდა რომ სისულელე იყო ვიღაც უბედურის, სუსტი კაცისაგან მთელი საზოგადოების შებრძოლება და ოცნება—ქურღლობა მიხსნის სიღარიბისაგანაო; სიღარიბი-საგან თავის დასახწევად ცუდი გზა აირჩია, ის გზა, რომელიც ადამიანს სამარტინო ლაფით გასვრის. ერთი სიტყვით, უან ვალეანმა ოლიარა, რომ დამნაშავე იყო. მერმე თავის თავს ჰქითხა:

ჩემს უბედურებაში მარტო მე ვიყავ დამნაშავე? რად მოხდა, რომ მუშას საქმე არ მქონდა, შრომის მოსურნეს და მძებნელს ლუკმა პური მენატრებოდა? შევცდი, დავაშავე და აღვიარე ჩემი დანაშაული; განა ეს სასტიკი და გაზვიადებული სასჯელი მექუთენოდა? ცოდე და ძალა ვიხმარე; მაგრამ განა საზოგადოება ერთი ასაღ მეტს ძალას არ ხმარობს ჩემზედ? ცოდვა იყო ჩემი საქციელი, მაგრამ განა ჩემი ამოდენი სასჯელი მეტი ცოდვა არ არის? აწონონ დანაშაული და სასჯელი; თუ სამართალი სწორია, მაშ რად არის სასჯელი ასე მძიმე, და დანაშაული კი მსუბუქი? და თუ დაიწია სასწორმა და სასჯელი მძიმე გამოდგა, მაშ უკვე დაფუსჯიგარ კანონს და რაღას მერჩიან, რაღად მტანჯავენ? რად მომექუა ასე უკანონოდ კანონი? და თუ ლირსეულ სასჯელზედ მეტი მომიწყო, მაშ დამნაშავე ისა ყოფილა და მართალი მე, ცოდვილი ისა ყოფილა

და წამებული მე. მაშ ვის უფრო დაურღვევია კანონი: მე, მში-  
ერს პურის მოპარვით, თუ სამართალს, ჩემი ასეთი უღმერთო  
დასჯით? მაშ სამართალი. არსად ყოფილა, თუ კი ასე დაჩაგ-  
რავს ძლიერი უძლურს და საზოგადოება კერძო პირს. მაშ სა-  
ზოგადოებაც დამნაშავე ყოფილა ჩემს წინაშე. პურის ქურდობა  
კი არა, ავკაცია ჩემი ტანჯვა-წამებაა ცხრამეტის წლის გან-  
მავლობაში.

რატომ არ ზრუნავს საზოგადოება, რომ შრომის მსურ-  
ველს უოველთვის ჰქონდეს საქმე და ლუკმა პური? და თუკი  
ამას არ ზრუნავს, მაშ რა უფლებით-და ზრუნავს და მართავს  
ციხეებს, რომ შიგ ამოალპოს უსაქმურად და ულუკმაპუროდ  
დარჩენილი მუშა, რომელიც სიმშილისაგან სიკვდილს გაურბის  
და პურის მოპარვას გაბედავს? რად ეკიდება საზოგადოება ასე  
მტრულად თავის წევრთ: გაჭირვების ბახეს. უგებს და სასიკვ-  
დილოდ აღარ ინდობს, ვისაც შიგ გააბამს.

ან ვის ეპყრობა საზოგადოება ასე სასტიკად? სწორედ  
იმათ, ვისაც წილი არა რეგბია ქვეყნის სარჩოს განაწილებაში  
და მაშისადამე სიბრალულის და დახმარების ლირსნი არიან,  
და არა—მტრობისა.

ალძრა და გადასჭრა ეს კითხვები: საზოგადოების საქციე-  
ლი გასინჯა და გაამტყუვნა იგი.

საზოგადოება მტერი ყოფილა საწყალი კაცისაო, გადას-  
წყვიტა.

საზოგადოების ბრალია ჩემი დაღუპვაო, სთქვა და, თუ  
ღმერთმა მიშველა, ერთხელც იქნება ანგარიშს გაფუსწორებო,  
იფიქრა.

ხაბაზის ზარალი თავისას შეიძარა: ხაბაზს ფანჯარა გა-  
უტყდა და ერთი პური დააკლდა. ის კი თითონაც დაიღუპა  
და იმოდენი წვრილფეხობაც. ძალიან კარგი, დამნაშავე იყო  
და უსამართლობა არ იყო იმის დასჯა, მაგრამ დასჯა სხვაა და  
სულით ხორცამდე დაღუპვა და ობლების უნუგეშოდ დატო-  
ვება—სხვა.

გაჯავრება — გახელებაა და უაზრობა. შეიძლება მტყუანი იყოს და მაინც ბრაზობდეს კაცი. აღმფოთებული კი მაშინ არის იგი, როდესაც სიმართლეს თავისკენა გრძნობს. უან ვალუანი აღმფოთებული იყო.

ან რა მოაგონდებოდა საზოგადოებისაგან ავის მეტი? თუ ახსოვდა რამე, ისევ ის რისხვა, რომელსაც ჩვენი განათლება მართლმსაჯულებას უწოდებს და იმათ მოუვლენს, ვისიც და-ცემა სწალიან. საცა კი აღამიანს შეხვდა, ყველასაგან გულ-დაწყლული დარჩა; საცა კი აღამიანს შეხვდა, თითო-თითო ყვე-ლაშ ჩაჰკრა. რაც თავი ახსოვდა, დედისა და დის გარდა, ალერ-სიანი სიტყვა არავისგან გაეგონა, კეთილი თვალით არავინ შესჩერებოდა. ტანჯვას ტანჯვა მოსცევდა, სევდას სევდა ერთო-ბოდა, და თან და თან ძვალში და რბილში გაუჯდა ის რწმე-ნა, რომ სიცოცხლე ბრძოლაა; და ამ ბრძოლაში დამარცხე-ბული მე ეარო, სთქვა. გულში სიძულვილის მეტი არა ჰქონ-დარა და აღთქმა დაუდო თავის თავს: მანამ აქა ვარ, ვლესამ სი-ძულვილს და აქედან ისე წავალო.

ტულონში სკოლა იყო კატორგელებისთვის; ბერები ასწავ-ლიდნენ და უსაჭიროესს ცნობებსა სძენდნენ მსურველთ. უან ვალებანიც ჩაერია სწავლის მსურველთა შორის და ორმოცის წლის კაცმა ისწავლა წერა, კითხვა და ანგარიში. გრძნობდა, რომ გონება ეხსნებოდა და თან საზოგადოების სიძულვილი ეზრდებოდა. ზოგჯერ სწავლა-განათლება აესაც გააზეიადებს.

სამწუხაროდ, არ იქმარა სიძულვილი თავის დამლუპველ სა-ზოგადოებისადმი და ღვთის განგებაც ზედ მიატანა: ღვთის გან-გება რომ არ ყოფილიყო, ასეთი არ იქნებოდა საზოგადოებაო.

ამგვარად ცხრამეტი წლის წამებამ და მონებამ ერთსა და იმავე დროს აამაღლა და დასცა უან ვალებანის სული. ერთი მხრივ ნათელი ეფინებოდა, და მეორემხრივ — წყვდიალი ეპა-რებოდა.

ბუნებით, ეს უკვე ვნახეთ, არ იყო ავი. კატორგაში რომ მიიყვანეს, ჯერ ისევ გულკეთილი იყო. იქ კი საზოგადოება

გაამტკუვნა და იგრძნო, რომ ავკაცად იქცა; განვება გაამტკუვნა და იგრძნო, რომ უღმერთო გახდა.

ძნელია, აქ ერთ წამს არ შევჩერდეთ და არ ჩავფიქრდეთ.

შეიძლება განა სრულიად, ძირიანად შეიცვალოს ადამიანის ბუნება? ღვთისაგან კეთილად შექმნილი ადამიანი განა შეიძლება ადამიანში ავად აქციოს? შეიძლება განა ერთიანად შეიცვალოს სული და მწარის ბეჭისაგან თითონაც გამწარილეს? შეიძლება განა მეტის მეტი უბედურობისაგან ისე დამახინჯდეს გული, რომ საძავლობა და საზიზღრობა აღარ იუცხოეოს? განა არ მოიპოვება ყოველი ადამიანის სულში, და კერძოდ უან ვალეანის სულში განა არ მოიპოვებოდა პატარა ნაპერწკალი, ღვთიური ძალი, შეუმწიკვლელი ხააქაოში და უკვდავი საიქიოში, რომელსაც სიკეთე ააღორძინებს, გააჩალებს, აანთებს და მზესაეით გააბრწყინვალებს? ის ნაპერწკალი, რომლის სრულიად ჩაქრობას თავის დღეში ვერ შესძლებს ბიწიერება?

უალრესი და ძნელი კითხვებია ეს კითხვები, რომელთაგან უკანასკნელზედ ყოველი ფიზიოლოგისტი\*) უარაო “იტყოდა სრულიად დაუბრკოლებლივ. ტულონში დასვენების დროს უან ვალეანა. რომ ენახა ოცნებით გატაცებული, გულობლებაკრებილი, დაღვრემილი, დარბაისელი, ჩუმი და უკმეხი თავის ჯაჭვით კალთაში, კანონის მიერ პარიად\*\*) ქმნილი პატიმარი, რომელიც ბრაზით უყურებდა ადამიანს და განათლების მიერ დათრგუნვილი ადამიანი, რომელიც საყვედურით უყურებდა ცას.

მართალია, და არც გვინდა ამის დამალვა, რა დააკვირდებოდა ფიზიოლოგისტი, განუკურნებელს ვარაში ნახავდა იქ ჩვენის საზოგადოებრივი ცხოვრებისას. იქნება შებრალებოდა კიდეც ეს მსხვერპლი კანონმდებლობისა, მაგრამ არც კი და-

\*) ფიზიოლოგისტი—ირკვევს დანიშნულებას ცხოველთა და მცენარეთა ორგანებისას.

\*\*) პარია-ინდოელი, უკანასკნელი წოდების კაცი; ყველასაგან ათვალიშუნებული და საზოგადოებისაგან განდევნილი ადამიანი.

ფიქრდებოდა იმ ვარამის მოშლასა და ამოფხვრაზედ. თვალს მთარადებდა ღრმად დაწყლულებულს უბედურის გულს, და როგორც დანტემ წაშალა ჯოჯოხეთის კარებზედ წარწერილი, ისე ის წაშლიდა ამ კაცის შუბლზედ ღვთის თითით დაწერილს სიტყვას: ძმედი!

მაგრამ ისევე ცხადი იყო ეს ვალეანისთვის თავის სულის მდგომარეობა, როგორადაც ცხადად ჩვენ ვეცადეთ ამის გამოხატვას ჩვენი მკითხეელებისათვის? ხედავდა კი ეს ვალეანი გარკვევით თავის სულიერ ცვლილებას? გარკვევით არჩევდა ამ ცვლილების თანდათანობას და იმ საფუძველს, რომელზედაც მყარდებოდა მისი ზნეობრივი უბედურება? შეძლო კი ამ ბრიყვს, უსწავლელ კაცს ცალცალკე გაესინჯა ყოველი თავისი ფიქრი, მიჰყოლოდა მათდა ერთმანერთზედ დამოკიდებულებას და გაეთვალისწინებინა ის გზა, რომელმაც გული დაუსერა, სევდით აუკიო და თალხით შეუმოსა? შეეძლო განა შეეგნო რა ცეცხლი ენთო მის გულში? ამის თქმას ვერ გავხდავთ; და არც კი გვჯერა, რომ შესძლებოდა. მეტად უვიცი იყო და ამოდენი ტანჯვაც კი ვერ შეუვსებდა ამ ნაკლულევანებას. ხშირად არც კი იცოდა დანამდვილებით, რასა გრძნობდა. წყვდიადში იმყოფებოდა, წყვდიადში იტანჯებოდა, წყვდიადშივე სძულდა. ბნელით მოცული ცხოვრებდა, უსინათლოსავით იძროდა. ხან და ხან მხოლოდ თავისგანვე, ან გარედან, რაღაც ბრაზი შეათროოლებდა თავით ფეხამდე და უსამძღვრო ტანჯვის სიმწარე... უცბად იელვებდა, გაანათებდა მის სულს და ყველგან მის გარშემო, წინაც და უკანაც, საშინელს უფსკრულს უჩვენებდა, რომელიც შთანთქმას უპირებდა უბედურს.

იელვებდა, მერმე ისევ წყვდიადი შემოეფარებოდა და თითონაც აღარ იცოდა, სად იყო.

განსაკუთრებული თვისება ამ გვარის სასჯელისა, რომელიც შეუბრალებლობაზედ არის დამყარებული, ის არის, რომ ადამიანს ნელნელა მხეცად აქცევს და ხშირად სისხლით გაუმაძლარ მეხეცადაც. კანონისაგან ადამიანის სულზედ ამ უაზრო

გავლენის საბუთად უან ვალეანის დაეინებული, ზედიზედ ოთხ-ჯრ გაპარეაც კმირა. კიდევ რომ დარჩენილიყო კატორგაში და ხელთ ეგდო კარგი შემთხვევა, კვლავაც გაიბარებოდა და არც თავის საქციელის შედეგს დაუფიქრდებოდა, არც გაპარეისა-თვის უკვე ნაცადს სასჯელს. დაუფიქრებლივ მკვირცხლად, გაი-ქცევოდა ხოლმე კატორგიდან, თითქო მგელი იყო გალიაში დამწუყდეული, კარი ლია ნახა და გაიქცაო. ინსტინქტი ჩასა-ხოდა: ჩქარა, თავს უშველეო! გონებას უნდა ეთქვა: დარჩიო! მაგრამ იმოდენად მძღავრი იყო ცდუნება, რომ გონებას სრუ-ლიად აკარგვინებდა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ინსტინქტი-ლა მოქმედებდა; ადამიანი ალირსად იყო, მხოლოდ მხეცი-ლა გაურ-ბოდა ტანჯვას. დაიჭირდნენ, გაპარეისათვის ერთი ათად უფრო სასტიკ სასჯელს აყენებდნენ, მაგრამ ამით გონებაზედ ვერ მო-ჰყავდათ უბედური და უფრო და უფრო აჩხეცებდნენ.

ერთი რამ სჭირდა უან ვალეანს რომელიც საჭიროა მო-ვიხსნიოთ: საკვირველი ლონიერი კაცი იყო და კატორგაში ვერავინ ედრებოდა ფიზიკურ ძალით. გაჭირვებაში, ბაგირის გრეხაში, სიმძიმეთა ამწევ მანქანის ხმარებაში, ოთხ კარგ ვაჭ-კაცსა სჯობდა. იმისთანა კლდეს წიმოიკიდებდა ზურგზედ, რომ ურმის თვლებს დაამტვრევდა თავის სიმძიმით. საცა უან ვალეანი იყო, იქ სიმძიმეთა ამწევი მანქანა საჭირო არ იყო. ამხანაგები მჟღეს ეძახდნენ. ტულონში სამამასახლისო სახლის ბალკონს ბოძების წილ საკვირველი ხელოვნური სვეტები უდგას. ერთი ამ სვეტთაგანი შეინძრა და ის იყო უნდა წაქცეულიყო, როდე-საც ბალკონზედ რაღასაც წანახედს აკეთებდნენ მუშები. უან-ვალეანმა მხარი მისცა და შეიკავა, ვიდრე მოეშველებოდნენ. და გაამაგრებდნენ.

დიდ ღონესთან ტანიც საკვირველი მოქნილი ჰქონდა. ზოგი კატორგელი მარტო გაპარეის იმედით-ლა ცხოვრობს და ამ ოცნების გასახორციელებლად ისე ივარჯიშებს ღონეს. და შოხერხებას, რომ რაღაც უცნაურს, მხოლოდ კატორგაში შესაძლებელ, საიდუმლო მეცნიერებას ჰქმნის. ნეტავი ფრთე-ბი მესხასო, სულ ამასა ნატრობენ, და განუწყვეტელი ვარჯიშ-

ობის წყალობით, სწორედ რომ ფრთხებს ისხმენ. ახლად გალესილ სახლის კედელზედ ისე აცოცდებოდა უან ვალევანი, თითქო თამაშობს, თავის გართობას ცდილობსო. სადაც თვალი ხელის მოსაჭიროს უერას ხედავდა, ის ხელსაც სჭიდებდა, ფეხსაც იმაგრებდა. კუთხე ყოფილიყო, თორემ თვალობაში უცივით აცოცდებოდა სამსართულიანი სახლის ბანზედ. ერთ კედელს ზურგს მიაჭირდა, მეორეს მუხლებს, იდაცვებით და ქუსლებით ხოხავდა და თვალის დახამხამების უმაღლ ზევით იყო. ხშირად თვით ციხის ბანზედ აძვრებოდა ხოლმე ამგვარად.

ცოტას ლაპარაკობდა. სიცილი არ იცოდა. მეტის მეტი სასაცილო რამ უნდა მომხდარიყო, რომ მთელი წლის განმავლობაში ერთხელ - ორჯერ მოსვლიყო უბედურს ის მწარი სიცილი, რომელიც უფრო მავნე სულისას ჰგავს, ვიდრე ადამიანისას. რომ შეგვეძნათ, იტყოდით, რაღაც საშინელებას. ფიქრობს განუწყვეტლივ ეს კაციო.

მართლა და ერთი ფიქრით იყო გატაცებული.

უფიცი იყო, უსწავლელი, ვონება დახშული ჰქონდა ტანჯვისაგან, მაგრამ თავისდა შეუგნებლად მაინც გრძნობდა, რომ ზედ რაღაც საშინელება აწვა და სულს უხუთავდა. ბნელში ეგდო მართალია, ოდნავ განათებულ ბნელში, მაგრამ როდესაც კი წელში გაიშლებოდა და თვალს გაახელდა, მაშინვე დაინახავდა შეშინებული და ცოფ-მორეული თავის სულთამხუთავს, იმისთანა მაღლად ამართულს, რომ თეალს ვერ უწყდებდა. ერთი ერთმანერთზედ ხედავდა გადამბულს ჩვენს ცხოვრებას, კანონმდებლობას, ცრუმორწმუნოებათ, ადამიანთ და მათ საქციელს. ჯეროვანად ვერას არჩევდა, ურთიერთს. მათს და მოკიდებულებას ვერ მიმხვდარიყო; არ იცოდა, რომ ამ რთულს, ვეშაპიერით მძლავრს პირამიდს, საზოგადოებრივი ჩვენი განათლება ეწოდებოდა, მაგრამ მის სიმძიმე რომ აწვა, ამას კრგრძნობდა. აქა-იქ ამ რთულს და მახინჯ ურთიერთობაში, ხან თავის გვერდით, ხან შორს, თვალ-მიუწდომელ სიმაღლეზედ, გარკვევით ეჩვენებოდა სინათლით მოფენილი რამე სურათი: აქ კატორგელების შცველი თავისი ჯოხით, უანდარმი თავისი ხმა

ლით, იქ ეპისკოპოსი თავის ბრწყინვალე შესამოსით და სულ ზევით, მზესავით გამრწყინვალებული გვირგვინოსანი ხელმწიფე. საუბედუროდ, კარგად გრძნობდა, რომ ეს შორეული ბრწყინვალება არ ანათებდა, პირიქით, უფრო აბნელებდა და აჯოჯოხეთებდა მის წყვდიადს; ზედ აწვა, ზედ დასტრიალებდა ყველაფერი კანონები, ცრუ-მორწმუნოებანი, აღამიანი და მისი საქმენი; ირევოდა ერთმანეთში, მიმდინარეობდა იმ საიდუმლო და რთული მოძრაობით, რომელიც განათლებას მიანიჭა ღმერთმა. ის ძირს ეგდო განართხული, ძირს ითელებოდა და ზედ საზოგადოებრივი ჩეგნი ცხოვრება შემდგარიყო და წიხლს აქერდა, სულს უხუთავდა მშვიდობის სახელით და აწამებდა კაცომლყვარების სახელით. უბედურებაში დახშული სული, უბედურებაზედ ჯვარცმული ადამიანი, კანონისა და საზოგადოებისაგან მოკვეცილი და უარყოფილი, კარგადა გრძნობდა, რომ მაჯლა-ჯუნასავით დასწოლოდა გულზედ თავის საშინელი სიმძიმით ადამიანთა საზოგადოება და შიწის პირიდან აღგას უპირებდა.

ამ ყოფაში იყო ეს ვალებანი და, რა უნდა ყოფილიყო მაშ საგანი იმის ფიქრისა?

წისქვილის ქვის ქვეშ მოყოლილს ხორბლის მარცვალს რომ ფიქრი შესძლებოდა, იმას იფიქრებდა, რასაც უანვალებანი.

სიტყვით გამოუთქმელ ყოფაში იმყოფებოდა ქანვალებანი; თავის ფიქრებით გატაცებული. იმისი ფიქრები ლანდით სავსე ნამდვილი იყო და ნამდვილით სავსე ლანდი.

ხანდახან კატორგულ მუშაობის დროს უკბად შედგებოდა გაშტერებული და ფიქრს მიეცემოდა. თან და თან უვითარდებოდა შეგნება, მაგრამ უფრო და უფრო უძნელდებოდა გარე-შოებათა გამორკვევა; მახეში გაბმული მხეცივით შფოთავდა. შემაძრწუნებელად ეჩვენებოდა თავის თავგადასავალი. შეუძლებლად ეჩვენებოდა ყოველივე, რაც გარს ერტყა. სიზმარში ხომ არა ვარო, ეკითხებოდა თავის თაეს. გაშტერებული შეს-ცემეროდა იქვე რამოდენიმე ნაბიჯის მანძილზედ მდგომ და-

რაჯს. დარაჯი ლანდად ეჩვენებოდა, მაგრამ უცბად ჯოხს და-  
უშენდა ეს ლანდი და ნამდვილს მოაგონებდა.

ბუნება თავს მშვენიერებით თითქმის არც კი არსებობდა  
უბედურისთვის. სრულს სიმართლეს ვრტყვით თითქმის, რომ  
უაღვალეანი არც მზეს ხედავდა, არც ზეფხულის დღეებს, არც  
ვარსკვლავებით მოკედილს ცას, არც მაისის დილას. ნეტავ რაღა  
ასულდგმულებდა ამ ტანჯულს სულს?

დისასრულ, ყოველივე აღნიშნულის მოკლედ გამოსახატა-  
ვად, უნდა აღვიაროთ, რომ ცხრამეტი წლის განმავლობაში  
სრულიად გამოიცვალა უაღვალეანი. მშენდი, დაჩაგრული,  
ყოველად უვნები ფავროლელი გლეხი-კაცი, ტულონში, კა-  
ტორგაში საშინელ კაცად იქცა. კატორგამ თავისი დალი დასაგა,  
გაწროვნა და აღამიანდესა და საზოგადოების მტრად გახადა. შემ-  
თხევა მისცემოდა, თორემ აღარაფერს იუკადრისებდა. შეიძლება  
დაუფიქრებლივ, ინსტაინ ქტის ძალით, სრულიად შეუგნებლივ  
ჩაედინა რამ საძრახისი და მით მოეფხანა თავის დაწყლულე-  
ბული გული. მაგრამ შეიძლება ეს საჭიროელი შედეგი ყოფი-  
ლიყოს დიდის ფიქრის და მომზადებისა. კატორგამ გზა დაუხ-  
ლართა შეუგნებელს და ისე აურია ერთმანეთში ავი და კარგი,  
ბიწიერი და სათო, რომ უაღვალეანი კი არა, იმაზედ მეტის.  
გონების და შეგნების პატრონიც ვერ გადარჩებოდა გაუხრწნელი  
იმ უსაფუძლო აზრებს. რომელთაც აღძრავს და ასაზრდოვებს  
ამ გვარი წამება. კატორგამ შეურაცყოფით აუკსო გული და  
ნაღველით სული; ღრმად ჩაუნერგა მისი მტრაცველ საზო-  
გადოების სიძულვილი და სურეილი სისხლის ძიებისა. იმისთა-  
ნად აღშფოთდებოდა ხშირად, რომ ყველას ერთიანად ემუქ-  
როდა ამოწყვეტას—კეთილს, უბრალოს და მართალს. დასაბამი  
მისი ფიქრისა, როგორადაც დასასრული და დასკვნა, ყოველ-  
თვის ერთი და იგივე იყო—უსამართლობა კანონისა; სწორედ  
ის ფიქრი, რომელიც, თუ განგებამ არ შეაყენა თავისი მად-  
ლით, ნელ-ნელ საზოგადოების სიძულვილს აღძრავს. კაცში,  
ღრმად ფეხს გაუდგამს და განაძლიერებს, შეაძულებს ადამიანს  
და ყოველს სულდგმულს. ცოდიან მხეცივით დაძრწის მაშინ

უბედური და თითქო სისხლი სწყურიანო, სულ იმას ცდილობს, რომ ავნოს ვისექ, აზიანოს ვინშე, სტანჯოს ვინშე. ესან ვალეანის პასპორტში მოხსენებული მისი დახასიათება — ძალიან საშიშარი კაციაო, როგორც მკითხველიც დაინახავს, უსაფუძვლო არ უნდა ყოფილიყო.

სული ეშრიტებოდა კატორგაში მყოფს, ნელნელა, მაგრამ შეუწყვეტლივ, დღითი დღე. სულდაშრეტილს გული ქვისა ჰქონდა და თვალი მშრალი. რაც კატორგაში ჩავარდა, ესანვალეანის თვალს ცრემლი აღარ მორევია.

### III

#### ზედამითი და ჩრდილი

კაცი ჩავარდა ზღვაში!

ნეტავი თქვენა ზომალდი ვერ გაჩერდება. ქარი ქრის. ხომალდი თავის გზას ადგას და წავა კიდეც. ხომალდი თავის გზას მიეშრება.

კაცი დასძირა წყალმა. აგერ ისევ გამოჩნდა. ხან ზეირთი ჰყარავს, ხან ისევ ცურავს, ყვირის, ხელს იქნევს. ქარი ქრის, ხომალდი თრთის, თავის გზას მისდევს. ხომალდიდან აღარც კი ჩანს უბედური. ზვირთის სივრცეზე ბუზივით-ლა მოჩანს. საბრალოს თავი.

საშინელის ხმით ყვირის, ზღვას ებრძვის წყალწალებული. ლანდივით ქრება შიმავალი ხომალდი. მისჩერებია იმ ლანდის და თვალს ვეღარ აშორებს. მიდის, შორდება ხომალდი, ნელნელ მცირდება. ამ ერთის წამის წინად თითონაც ხომალდზედ იყო, სხვებთან ერთად შიდი-მოდიოდა ბანზედ, სუნთქვადა, მზეს შექაროდა, ცოცხალი იყო. ახლა სადღაა? რა მოუვიდა? ფეხი წაუსხლტდა, გადავარდა და დაიღუპა.

აგერ წყალშია, უძირო, უსამძლერო წყალში. ფეხ ქვეშ ჯურლუმული და მორევი-ლა აქვს. გარს ქარისაგან დაგლეჯილი და განრისხებული ზვირთი ახვევდა, უფსკრული თვისკენ

მიიზიდავს. წყალი თაეში სცემს, ტალღა ზეთ აფურთხებს და სუნთქვას უკრავს. ჩაიყურუუმალავებს წყალში დალლილი და წყვდიადით მოცულს საშინელს ხედავს; რაღაც უცნობი, საზიზღარი მცენარები ეჭიდებიან, ფეხებში ედებიან და თავისკენ მიიზიდვენ. გრძნობს, რომ იღუპება, ზღვის წილად ხდება, ნაფოტივით მისდევს ტალღის ქაფს, ძიმწარესა სვამს; გრძნობს, რომ ბილწი ზღვა სტკბება მის ტანჯვით, სულთ მობრძავის ტანჯვით და, რა დასტკბება, დაახრჩობს კიდეც, თითქო წყალი კი არა, სიძულვილისა იყოს ეს ზღვაო.

მაინც იბრძვის.

ცდილობს, გამაგრდეს, წყალზედ შეჩერდეს, ლონეს იკრიბავს, ხელს იქნევს, ცურავს. საბრალო, სუსტი, უკვე ძალდაშრეტილი ებრძვის დაუშრეტავს.

ხომალდი რაღა იქმნა? აფერ, ძლივს-და ჩანს ჰორიზონტის მკრთალს სინათლეში. ზეირთი ზეირთს მისდევს, ზღვა ტალღითა სცემს. ზევით ღრუბლის მეტს ვერას ხედავს, გახელებულა, გაფორებულა ზღვა და ბურთივით ისვრის სულთ-მობრძავს.. თან საშინლად ხმაურობს, თითქოს ყიუინასა სცემს განწირულსაო.

იქნება ფრინველი იყოს ცაში; იქნება ანგელოზიც ზედ დასტრიიალებდეს მომაკვდავს. მაგრამ რას უშველიან? ცაში ფრინავენ, ცაში ვალობენ, დანავარდობენ და ის კი გმინავს.

უსამძლვრო ზღვა, უსამზღვრო ცა და მათ შუა უბედური! გრძნობს, რომ ზღვა აკლდამად გაუხდება და ზეცა—სულარად.

ბინდდება კიდეც. რამდენი ხანია, რაც ის ზღვას ებრძვის. ხომალდი უკვე გაქრა. გაქრა იმედიც. მარტო-და არის, გარს ზღვა და ლამე. ნელ-ნელ ძირს მიდის, იჭიმება, იკლაკნება; ფეხ-ქვეშ უფსერულს გრძნობს და გაყინულ სიკვდილს. და ყვირის.

ადამიანი აქსად არის. ღმერთი სადღაა?

ყვირის: მიშველეთ! მიშველეთ!

არავინ ზღვაზედ. არავინ ცაზედ.

ზღვას ეველრება, ტალღას, ზღვის ბალახს. მაგრამ ზღვა ყრუა. ქარს შესთხოვს შველას, მაგრამ ქარი მხოლოდ უსამძლვროს ემორჩილება.

გარშემო ბნელი, წყველიაღით მოცული ზღვა; ლელვა და გაშმაგებულ ზეირთთ ხმაურობა. გულში სასოწარკვეთილება უა ულონობა. ფეხ ქვეშ უფსკრული. თან შიში: ნეტავ რას უზამს ჩემს უსულო გვამსა ზღვისა ძირით? სიცივე ეპარება, ხელებს უშეშებს. თითებს ძლიეს ხმარობს, მაგრამ მაინც ებლაუჭე ბა წყალს. ქარი, ლრუბელი, ზღვა და მის ლელვა, ზედ ცის კამარა. რა ქნას? დაქანცული. იმედ მიხდილი ბეჭს ემორჩილება, სიკვდილს ირჩევს, აღარ იძვრის, თვალსა ხუჭავს და საუკუნოდ იღუპება უფსკრულის მიერ შთანთქმული.

ულმობელია ადამიანთა საზოგადოების სვლა! მრავალს სულს ღუპავს გზაში. ზღვაში იღუპება ყველა, ვისაც კი კანონი გადმოაგდებს ხომალდიდან. გადმოაგდებს და შველას აღარ ზრუნავს. აი, ზნეობრივი მოკვლა ადამიანისა.

ზღვა წყველიაღია, ულმობელი და შეუბრალებელი, რომელში საზოგადოება იმყოფება. ზღვაში ჰყრის მართლმსაჯულება დამნაშავეთ. ზღვა—სამარცხვინო მუწუკია ჩვენის ცხოვრებისა.

ჩავარდება იმ ზღვაში კაცი, გაჰყვება ტალღას და მოკვდება სულით. ვინდა აღადგენს?

## II

### კიდევ ძიმწარე

კატორგიდან გამოსვლის დრო რომ მოვიდა, ეს უცნაური სიტყვები რომ ესმა ეან ვალეანის ყურს—თავისუფალი ხარო!—წარმოუდგენელი სიხარული იგრძნო საბრალომ, თითქოცა გაიხსნა და ის შუქი მოჰვინა, რომლითაც მარტო თავისუფალნი სტკბებიანო. მაგრამ წამივით სწრაფი იყო ეს სიხა-

რული და ზალე დაუბნელდა სინათლე. თავისუფალი ხარო— რომ უთხრეს, ნამდვილ თავისუფლად ეგონა თავი. ეგონა, დღეიდან ახალს, უკეთესს კეოვრებას მიანიჭებდა ბედი. ძალიან მალე ნახა, რა გვარი თავისუფლებაა იმ კაცის თავისუფლება, რომელსაც ჯიბეში კატორგელის ყვითელი პასპორტი უდევს.

სხვა სიმწარეც ბევრი იგემა, გამოანგარიშებული ჰქონდა, რომ კატორგაში ყოფნის დროს სრული შვილი თუმანი უნდა მოგროვილიყო მის წილად. მართალია, ავიწყდებოდა, რომ კვირა-უქმი დღე არ უნდა ჩაეთვალა ამ ანგარიშში და მაშასადამე ექვსი მანეთით ნაკლები ჯამი უნდა დაეყენებინა; მაგრამ მაგის გარეითადაც ზოგი რაში დაუჭირეს, ზოგი რაში, და გათავისუფლების დროს ოთხი თუმანი და შვილი შაური-ლა დაუთვალეს.

ამ ანგარიშისა ვერა ვაიგო რა და დარწმუნებული დარჩა, რომ ნაკლები მისცეს, ფული მოკპარეს.

კატორვიდან რომ გამოვიდა, მეორე დღეს გრასში ერთი ქარხანის კარებზედ მუშები ნახა: საქონელს ეზიდებოდნენ. მეც მამუშავეოვა, სთხოვა. საქმე საჩქარი იყო და მიიღეს. დაიწყო ზიდვა. შეგნებული კაცი რცო, მარჯვე, ლონიერი. ცდი-ლობდა, რაც კი შეეძლო, და ეტყობოდა, არ ემდუროდნენ. სწორედ მუშაობის დროს გამოიარა ერთმა უანდარმა, შენიშნა უან ვალუანი და ქალალდები სთხოვა. უნდა ეჩვენებინა თავისი ყვითელი პასპორტი. აჩენა და ისევ საქმეს შეუდგა. ცოტა წინად ერთს მუშას ჰყითხა, დღეში რას იღებო? მანეთ ნახევარ-საო—უპასუხა. ხალამოზედ, რაკი მეორე დღეს იძულებული იყო თავის გზას გასდგომოდა, პატრონთან მივიდა და ნამუშევარი სთხოვა. მექარხნემ ხმა არ გასცა, აიღო და თხუთმეტი შაური დაუწყო წინ.—მეტი მერგებაო, შეეხვეწა. შენთვის ეგაც მეტიათ, შეუტია ქარხნის პატრონმა. ის მაინც არ იშლიდა და თავისას თხოულობდა.—ხომ არ გინდა პანლურის ცემით გაგზეთქო, შე კატორგელოთ! დასტყივლა მექარხნემ და კარში გააგდო.

აქაც იგივე რწმენა ჩარჩა გულში, გამძარცვეს, ოფლით ნაშოვნი დამიჭირებო.

საზოგადოებამ, მართებლობამ თავის ცხრამეტი წლის ნა-ჭირნახულევი შეუჭამა. ახლა კერძო კაცის რიგი იყო და ისა ჰპარავდა ფულს დღიურათ ნაშრომიდან.

სასჯელის გათავება თავისუფლება არ არის. კატორგიდან გამოვა კაცი, მაგრამ კატორგის დალი კი ზედ აზის.

აი რა გადახდა გრასში. როგორ დაუხვდნენ დინელები, ისიც ხომ ვნახეთ.



### მიღებმფრთხადი გაც

დილის ორი საათი ზაპურა საეპისკოპოსო ტაძრის საათმა, როდესაც უან ვალეანს გამოელეიდა.

გამოელეიდა იმიტომ, რომ მეტად კარგ ლოგინზედ იწვა. აგრ თუ წელიწადი სრულდებოდა ლოგინში არ წოლილიყო და, თუმცა გაუხდელს ეძინა, მაინც იმისთანა განცხრომას გრძნობდა მთელი მისი სხეული, რომ სწორედ ამ არა ჩვეულებრივმა სიტკბოებამ გაუფრთხო - ძილი.

ოთხს საათზე მეტი ეძინა. დაღლილობა აღარ ეტკობოდა, უკვე დასვენებული იყო და არც ჩვეული იყო დიდ ხანს ძილს.

თვალი გაახილა, სკადა დაენახა რამე ბნელ ოთახში, მერმე ძილი დაპირა და თვალი დახუჭა.

მთელს დღეს რომ მღელვარებაში გაატარებს კაცი და თავის ვარამს კი ვერ შოთარებს, ერთს პირს დაიძინებს და-ლალული, მაგრამ მეორედ კი ვეღარ ჩაეძინება. უბედურს ერთ-ხელ ელირსება ძილი და, რომ ვაიღვიძებს, ამაოდ-ლა დახუჭავს თვალს. ასე მოუვიდა უან ვალეანსაც. ვეღარ დაეძინა და ფიქრს მისკა თავი.

ძილ გამფრთხალი კაცის აზრები არეულია და გამოურა კვეველი. ფუტკარივით ერეოდნენ ფიქრები და ვერც ერთზედ

ვარ შეჩერებულიყო. წარსულის მოგონებათ გუშინდელი დღის შთაბეჭდილებანი უერთდებოდნენ, ერთმანეთს პფარველნენ და აზვიადებდნენ, გონების თვალ-წინ ტრიალებდნენ, იზრდებოდნენ და უცბად ჰქონებოდნენ. და ამ ფიქრებში ერთი იყო მხოლოდ, რომელიც წამ და უწუმ ელვასავით გაუვლიდა თავ-ში, თითქო სხვების განდევნა და დაჩრდილვა უნდაო. ეს ფიქრი—ეხლავ ვთქვათ, რა იყო იგი—ეპისკოპოსის ვერცხლებული იყო. უან ვალეანმა კარგად შენიშნა ექვსი ვერცხლის კოვზი და აზარფეშა, რომლებიც მაგლუარმა გაამწკრია სუფ-რაზედ.

თვალთაგან აღარ შორდებოდა ეს კოვზები. თვალ-წინ ედგა, ხელი რომ გაეწოდა, მისწვდებოდა. უან ვალეანი რომ დასაძინებლად მიჰყავდა ეპისკოპოსს, იქ, წინა ოთახში მოხუცებულ მოახლეს მოჰკრა თვალი, ვერცხლეულს რომ აღა-გებდა განჯინაში, ეპისკოპოსის ლოგინის თავით. განჯინაც კარგათ შენიშნა; სასაღილო ოთახიდან რომ შევიდეს კაცი, მხარ მარჯვნივ არის კედელში დატანებული. მერმე რა მძიმე კოვზებია. ძველი ვერცხლი. აზარფეშიანად ერთიდ, სულ ნაკლები რომ ვთქვათ, შვიდ-რე თუმანს გააგდებინებს კაცს. ერთი ორად მეტს, ვიდრე ცხრამეტი წლის განმავლობაში შეიძინა. მართალია, იქაც მეტი ექნებოდა, მართებლობას რომ არ მოჰქმდნა, მაგრამ ასე უცბად შვიდი თუმანი...

რაც ხანი გადიოდა, უფრო და უფრო ერევოდა ეს ფიქრი. ცოტა არ იყოს, წინააღმდეგობასაც უწევდა. ამ წადილს მის გულში ჩამარხული რაღაცა გრძნობა, მაგრამ ძალიან სუსტ წინააღმდეგობას. მთელი სათი დაჲყო ამ ფიქრში. სამი სათი დაჲკრა. თვალი გაახილა, უცბად წამოიწია ლოგინიდან, ხელით იქვე ლოგინთან მიგდებული გუდა იპოვნა და ლოგინზედ ჩამოჯდა.

ცოტა ხანს ასე იყო გაშტერებული, თვალებ დაჲკვეტილი. საზარელი სანახვი იყო მარტოდ მარტო მჯდომი ამ ბნელ ოთახში, ამ მიწყნარებულ სახლში, ეს ძილგამფრთხალი კაცი და, რომ თვალი მოეკრა ვისმე იმ დროს, უბედურების მომას-

წავებელია, იტუოდა. უცბად დაიწია, წალები გაიძრო, იქვე ლოგინთან დაწყო ნელა, და ისევ ისე დარჩა ლოგინზედ მჯდომი, ჩაფიქრებული, უძრავი.

საზარელი ფიქრები კი გარს ევლებოდნენ და თავს უხე- თქდნენ. ქაჯებივით დაპირიდნენ მის გონებაში, შედიოდნენ, გამოლიოდნენ, კვლავ შედიოდნენ; ერთიანად დაპირონებო- დნენ მის სულსა და გულს. გრძნობდა, რომ ბატონი აღარ იყო თავის თავისა, უნდოდა განედევნა ეს მაცური ფიქრები და ფიქრი კი აღარ შეეძლო: თითქო სიზმარშია, მაშინვე კატო- რგელი თავისი ამხანაგი წარმოუდგებოდა თვალშინ, სახელიდ ბრევა, თავის დაგლეჯილ, სარტყელის წილ თოკით შეკ- რულ შალვარით. ცდილობდა თავი დაეხწია ფიქრებისთვის და სამაგიეროდ ბრევის თოკით შეკრული შალვარი ელანდე- ბოდა.

კარგა ხანი იყო ამ ყოფაში და იქნება გათენებამდეც დარჩენილიყო ასე გაშტერებული, საათს რომ არ დაეკრა. ჩა- რექი იყო, ან ნახევარი. საათმა დაპირი და იმასაც რაღამაც ჩასძახა გულში,—ადეო!

წამოდგა, ერთს წამს შეყოყმანდა, ყური მიუგდო. ყვე- ლა გაჩუმებული იყოჭასახლში. ნელი ნაბიჯით, ფეხ-აკრეფით პირდაპირ ფანჯრისკენ წავიდა. ძალიან ბნელი არ იყო ღამე. სავსე მთვარე იდგა ცაზედ, მაგრამ ქარი სწორედ მთვარისკენ მიერეკებოდა შავ დაგლეჯილს ღრუბელს და ხან ჩამობნელდე- ბოდა არე მარე, ხან კიდევ სხივი მოეფინებოდა. ოთახში ბინდი იდგა. ფანჯრიდან დროსა და დროს შემოსული სინათლე ისე ეფინებოდა ოთახს, თითქო ბნელს სარდაფს პატარა სარკმე- ლიდან ჩასდის შუქი და ამ სარკმელის წინ კი გამვლელი არ იღლევაო. ფანჯარასთან მივიდა. გასინჯა. დარაბა არა ჰქონდა, ბალში გადიოდა. და უბრალო რაზა-კოჭაკით იყო ჩაკეტილი, გაალო, მაგრამ უცბად იმისთანა სიცივე შემოვარდა ოთახში, რომ მაშინვე მიხურა. ბალს გადახედა, გზები დაათვალიერა. ბალს პატარა დაბალი კედელი ერტყა, თეთრად შელესილი, იმისთანა დაბალი, რომ გადასვლა არავის გაუჭირდებოდა. ლო-

ბის იქიდგანაც ხეები მოჩანდა, რიგზედ ჩარიგებული, წყობისად; მაშასადამე იქაც ბალი უნდა ყოფილიყო, ან ხეებით დამშვენებული ქუჩა.

რაკი ბალი შეისწავლა, უკან გაბრუნდა უკვე მიღებული გარდაწყვეტილებით დამშვედებული; ლოგინთან მივიდა, გუდა აიღო, გახსნა, რალაც ამოილო და ლოგინზედ დასდო; წალები ჯიბეში ჩაიდო, გუდა აიკიდა, ქუდი თვალებზედ ჩამოიფხატა. ჯოხი იპოვნა და ფანჯარასთან მიაყუდა. მერმე ისევ ლოგინთან მივიდა და გუდიდან ამოღებული ნივთი აიღო; მოკლე რალაც რკინის ნაჭერი იყო, მოკაუჭებული, ცალ მხრივ გაწვეტიანებული.

ბნელაში ძნელი გამოსაცნობი იყო, რა მიზნით ჰქონდა შენახული ეს რკინა. იქნება კლიტის გასატეხად? იქნება კაცის მოსაკლავალ?

დღე რომ ყოფილიყო, ადვილად მიხვდებოდით, რომ ეს საგანი მაღნებში მომუშავეთა შანდალი იყო. იმ ღროს ხშირად ამუშავებდნენ კატორგელებს ქვა-მაღნებში ტულონის გარეშემო მდებარე კლდეებში და საჭირო იარაღსაც აძლევდნენ. ქვა-მაღნებში მომუშავეთა შანდალი ერთი საკმარისად სქელი რკინაა, ერთ მხრივ ლურსმანივით წვეტიანი, რომ მიწაში ჩარკონ და დააყენონ.

ეს რკინა მარჯვენა ხელში დაიჭირა. სუნთქვა შეიკრა და ჩუმი ნაბიჯით წავიდა ეპისკოპოსის საწოლო ოთახისკენ. კარი ლია დახვდა. ეპისკოპოსს ოდნავ მოეხურა იგი.

## XXI

### და ქნა ამ დამეს.

კართან შედგა და ყური დაუგდო. არსაიდან ხმა:

კარს მიაწვა.

ოდნავ მიაწვა, ცალი თითით, ფთხილად, ისე ნაზად, თი-თქო კატაა და შინ შესვლა უნდაო.

კარმა დაიწია. ნელ-ნელი შეუმჩნეველი და ჩუმი მოძრა-  
ობით იწევდა უკან და გზას აძლევდა შესასვლელად.

ერთს წამს მოითმინა: მერმე კიდევ მიაწვდი კარს, უფრო  
გაბედვით.

ისევ დაიწია კარმა და ისევე ჩუმად. ახლა კი შეიძლებო-  
და შესვლა. მაგრამ სწორედ კართან იდგა შიგ შესაეალში  
ერთი პატარა სტოლი და გზას ავიწროვებდა.

ეან ვალეგანმა მაშინვე იგრძნო ხითათი. ცოტა კიდევ უნდა  
გაღებულიყო კარი.

რაკი საჭირო იყო, კიდეც უნდა გაელო. მესამედ უფრო  
გაბედვით და ლონივრად მიაწვა. და უცბად რალაც ჭრაჭუნი  
გაისმა, დაუანგებულის კოჭაკის ხმა, რომელიც თავით ფეხამდე  
ერუანტელს ადენს ადამიანს.

ეან ვალეგანი შეკრთა, შეთრთოლდა. ისე მოხვდა იმის  
ყურს ეს ხმა, თითქო განკითხვის დღე დადგა და ბუკი და სა-  
ჟვირი დაჰკრესო.

გონება ველარ მოეკრიბა გულგახეთქილს. ეგონა, ამ ხმა-  
ურობაზედ მძინარენი ფეხზედ წამოცვივიან და ქვეყანას თაეს  
დამახვევენო.

შემკრთალი იდგა უძრავად, კანკალებდა, გული საშინლად  
უცმდა. თითის წვერებზედ ველარ შეიკავა თავი და ქუსლებზედ  
დაეშვა. საფეთქლებში ისე სცემდა სისხლი, თითქო ჩაქუჩიაო.  
ქარის გრიგალივით მოესმოდა ყურს მისივე ქშენა და სუნთქვას  
იკრავდა, არაეინ გამიგოსო. დარწმუნებული იყო, რომ კარის  
ჭრაჭუნზედ, როგორც მიწის ძერაზედ, ყველანი უნდა წამო-  
ცვინილიყვნენ ლოგინიდან. კარმა გასცა, კარმა ულალატა,  
კარმა გააგებინა ხალხს მისი განძრახვა. აფერ წამოდგება მო-  
ხუცებული, ქალები კივილს მორთავენ, ხალხი მიეშველება,  
შეიქნება ერთი ძახილი და ყიუინა, მოცვივდებიან ეანდარმები...  
დაიღუპა, სულით ხორცამდე დაიღუპა კაცი!

ქვასავით იდგა იმავე ალაგს, გაშტერებული, ფერ-მიხლილი.

რამოდენიმე წუთმა განვლო. კარი სრულიად დია იყო.  
ისიც დამშვიდდა და ოთახში შეხედვა გაბედა. არა იძროდა რა.

ყური დაუგდო. არსად რა ისმოდა. დაუანგებულის კოჭაკის  
ძახილს არავინ გაეღვიძებინა.

პირველ განსაცდელს უკვე გადარჩენილი იყო, მაგრამ  
გული კი მაინც ვერ დაემშვიდებინა. უკან მთინც არ დაიწია  
მაშინაც კი არ დაიწია უკან, როდესაც დაღუპულად მიაჩინდა  
თვი. ერთად ერთი აზრი-ლა უტრიალებდა გონებაში—რაც შე-  
იძლება მალე გავათავებ და წავალო! ერთი ნაბიჯი-ლა გადასდგა  
და ეპისკოპოსის საწოლ ოთახში შევიდა.

სრული მშეიღობა სუფევდა ამ ოთახში. აქა-იქ ბნელში  
ტაბურეტზედ დალაგებული წაგნები მოჩანდა, სტოლზედ ქა-  
ლალდები, სავარძელი ზედ დაწყობილ ტანისამოსით, სამლო-  
ცველო. უან ვალეანი წინ წადგა, დიდი სიჭროთნილით: თან  
ცდილობდა ფეხი არაფრისთვის წაეკრა. ლოგინს მიუახლოვდა.  
ეპისკოპოსის მშეიღი და დაწყნარებული სუნთქვა მოესმა.

ლოგინთან უცბად გაჩერდა. უფრო მალე მისულიყო  
მძინართან, ვიდრე თითონ. უნდოდა.

ადამიანის საქციელში ისე გონივრულად ჩაერევა ხოლმე  
ხშირად ბუნება, ისე მოსწრებულად, თითქო უნდა თვალი აუ-  
ნილოს და გონებაზედ მოიყვანოს შემცდარიო კარგი ნახევარ  
საათი იქნებოდა, რაც შავი ღრუბელი აჰთარებოდა მთვარეს  
და აბნელებდა ქვეყანას. იმ ღროს კი, როდესაც უან ვალეანი  
ეპისკოპოსის საწოლთან მივიღა, უცბად გააპო ქარმა ღრუბე-  
ლი, თითქო იცის, რასა მვრებაო, ფანჯარას შუქმა დაჰკრა,  
ოთახი გაანათა და სხივი მოჰკონა ფერმკრთალს სახეს მძინა-  
რისას. ეპისკოპოსს მშეიღიად ეძინა. თითქმის ჩატმული იწვა  
ქვეშაგებზედ, რადგან ქვემო-ალპებში საშინელი სიცივე იცის  
და თბილი საბანი არა ჰქონდა. ბალიშზედ მისვენებულს ცალი  
ხელი ძირს გადმოვარდნოდა, ის ხელი, რომლითაც იმოდენი  
სიკეთე და წმინდა საქციელი მოეფინა თავის სამწესოსთვის.  
სახეზედ ქმაყოფილება, იმედი და ნეტარება უბრწყინავდა. თავ-  
ზედ უხილავის სინათლის სხივი ადგა. მართალთ სული ძილში  
ცათაშიგან იმყოფება და ცათა საიდუმლოებით სტკბება.  
ეპისკოპოსს სხივი ადგა.

მაგრამ თავისივე იყო ეს სხიერი, თავის წინიდისისაგან გამონაშექი ცა—თავისივე სინიდისი იყო ეპისკოპოსისა.

მთვარის სინათლემ დიდება მოჰქონა მძინარს. იმ წამს თითქო შესდგა, თითქო მიუუჩდა ყველაფერით. ცაზედ მთვარე, ძირს მიძინებული ბუნება, ფოთოლ გახერებული ბალი და სრული სიმშვიდე რაღაც გამოუთქმელს ბრწყინვალებას ჰქონდნენ მოხუცებულის მოსვენებას და წმინდანის სხიერით მოსაყდნენ მის სპეტავ თეთრ თმას, დახუჭულ თვალს, ნდობითა და იმედით აღსავსე გულს, უმანკო ბავშვის ძილით მიძინებულს მოხუცის თავს.

ლვოაებრივ წმინდა იწვა ეპისკოპოსი თავის ლოგინში.

ეს ვალეანი ჩრდილში იდგა, თავის რკინის შანდლით აღჭურვილი. უძრავად იდგა, გაშტრერებული, შეშინებული და ამ სხივ მოსილს დასკეროდა. თავის დღეში არა ენახა-რა ამის-თანა. შიშის ზარს სცემდა ეპისკოპოსის ნდობა. განალა შეიძლება ზნეობრივ მოვლენათა შორის ამაზედ უდიდესი სანახაეი: ამღვრეული და ბიწიერებით გატაცებული სინიდისი, ავკაცობის გზაზედ შეჩერებული მართალის უმანკო ძილით?

განმარტოება ეპისკოპოსის საწოლ ოთახისა, ნდობით აღსავსე, უმცირესს იჭვს მოკლებული მისი ძილი, რაღასაც უზენაესს წარმოადგენდა უანვალეანისთვის. რას? არ იცოდა, მაგრამ სულით ხორცამდე შეპყრობილი იყო ამ საიდუმლო ძალით.

ვერავინ იტყვის, რას ფიქრობდა, რას გრძნობდა უბედური? ამის გამოსარკვევად ერთმანეთს უნდა დაუპირდაპიროს კაცმა მხეცური ეინი და ანგელოზებრივი სიტკბოება. სახეზე-დაც კი არაფერი ემჩნეოდა გამორკვეული. განცვითრებული იდგა და დასკეროდა. განცვითრებას მოეკლა უოფელივე ფიქრი და აზრი. იდგა თავით ფეხამდე შეთრთოლებული და გაკვირვებული, გაშტრერებული თვალით დაჰყურებდა ეპისკოპოსის.

თვალს ვეღარ აშორებდა მძინარს. ერთი რამ ემჩნევოდა ცხადად მის სახეს და მდგომარეობას: ეტყობოდა, ვეღარც წინ წასულიყო და ვეღარც უკან; თითქო ორს უფსკრულს შეუ გაჩერებულა და აღარ იცის, საით წავიდეს: იქთ, რომელიც ღუპავს, თუ იქით, რომელიც იხსნის? მზად იყო შანდალი და ეკრა და ეს მძინარი თავი გაეტეხა, ან მუხლი მოეყარა და ხელზედ მთხვევოდა.

რამდენიმე ხანს უკან მარცხენა ხელი ამართა ნელნელ და ქუდი მოიხადა. მერმე ისევე ნელ-ნელ დაუშვა ძირს ქუდი-ანად და კვლავ გაშტერებული, გონება მიხდილი დააცემდა ეპისკოპოსს. მარჯვენა ხელში შანდალი ეჭირა, მარცხენაში ქუდი; თმა აეშალა და ჯაგარივით უდგა.

ეპისკოპოსს მშვიდად ეძინა, მიუხედავად ამ საზარელი მზე-რისა.

ბუხრის თავზედ მთვარის მკრთალ სინათლეზედ ჯვარუმული მოჩანდა; ხელგაპყრობილი დასცემრიდა ორთავეს, თითქო უბრძანებდა: ჩემთან მოდით ორივე, ერთი კურთხევის, და მეორე შენდობის მისაღებადაო.

უცბად ქუდი შუბლზედ ჩამოიფხატა, ჩქარი ნაბიჯით ჩა-უარა ლოვინს, თვალი მოარიდა მძინარს და პირდაპირ გან-ჯინისკენ გაემართა. შანდალი ამართა, თითქო გატეხას უპი-რებს კლიტესაო; მაგრამ გასაღები იქვე იყო. გააღო და მა-შინვე თვალში ეცა კალათში ჩალაგებული ვერცხლეული. აი-ლო და უკან გამობრუნდა. ოთახი სრულიად დაურიცებლივ გაიარა, ჩქარი ნაბიჯით, ხმაურობით; შევიდა სამლოცველოში, გააღო ფანჯარა, წამოიტაცა თავისი ჯოხი და ბალში გადახტა. ვერცხლეული გუდაში ჩასდო, კალათი ბალში დააგდო, ლობეზედ აძრა, ვეფხვივით გადახტა კედლიდან და გაიქცა.

## xii

## ებისკმთხვესის მზრდებსაჭუღვა.

მეორე დღეს მზე რომ ამოდიოდა, ეპისკოპოსი უკვე და-  
სეირნობდა თავის ბალში. მაგლუარი გულგახეთქილი მივარდა  
და შორიდგანვე დაუყვირა:

— თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ! თქვენო უდი-  
დებულესობავ! ვერცლეულის კალათი ხომ არ გინახავთ?

— როგორ არა, უპასუხა ეპისკოპოსმა.

— გმადლობ შენ, ღმერთო! შეტრადადა მაგლუარმა. ვეძებე,  
ვეძებე და ველარ ვიპოვნე.

ეპისკოპოსს თავის ყვავილებში ეპონა კალათი. აილო და  
მაგლუარს მიაწოდა.

— აა, მულუარ-ქალო.

— გენაცვალეთ, ცარიელი! შიგ ალარაფერი! ვერცხლე-  
ული რალა იქნა?

— ჰოო, გარკვირვა ეპისკოპოსმა, მაშ ვერცხლეული გა-  
წუხებს? ვერცხლეულისა კი არა ვიცი-რა.

— გავუქურდივართ, იმ იუდის კერძს, იმასა! ღმერთო, შენ  
მიხსენ!.. წუხანდელ მაწანწალას გავუქურდივართ, თქვენი რის-  
ხვა არა მაქვს!

თვალის დახამხამების უმაღ გაქანდა მაგლუარი, თითქო  
ამ უბედურებამ სიყმაწვილე დაუბრუნაო, სამღრაცველოში შე-  
ვარდა და ისევ ეპისკოპოსისკენ გაეშურა. ეპისკოპოსი ამდროს  
ყვავილს სინჯავდა: ეან ვალუანისგან გაღაგდებული კალათი მო-  
ხვედროდა და შუაზედ მოეტეხა. მაგლუარის ყვირილზედ წელში  
გაიმართა.

— წასულა ის კაცი, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ!  
ვერცხლეულიც თან წაულია!

სწორედ ამ დროს შეამჩნია მაგლუარმა კედელს ჩამონ-  
გრეული აგური და წალის ნაქუსლარი.

— აგერ თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ! აგერ, სად გადამძვრალა! კოშტილეს ქუჩაში! შერცხვენილი! თავლაფ დასხმული! ვერცხლეული მოგვპარა, ჩვენი ვერცხლეული, იმ სულ-წაწყმედილმა!

ეპისკოპოსი ცოტა ხანს გაჩუმებული იყო, მერმე წყნარი თვეშლით შეხედა მაგლუარს და ტკბილად უთხრა:

— მერმე ჩვენი კი იყო ეგ ვერცხლეული, მაგლუარ-ქალო?

მაგლუარი განცვიფრებული დარჩა ამ კითხვაზედ. ორივ გაჩუმებულნი იყვნენ. მერმე ისევ ეპისკოპოსში განაგრძო:

— შევცდი, ჩემო მაგლუარ, რომ ამოდენი ხანი ხელთა მქონდა ეგ განძი. ლარიბებისა იყო და არა ჩემი. და ის კაცი ეიღა იყო, თუ არ ლარიბი და გაჭირვებული?

— ლმერთო, შემიწყალე! შეპკივლა მაგლუარმა. მე ჩემთვის კი არა ვწუხარ, ან ქალბატონისთვის. ჩვენთვის სულ ერთი გახლავთ, გვექნება ვერცხლის კოვზები, თუ არა. მე თქვენ-თვისა ვწუხარ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ: პურს როგორლა მიირთმევთ ახლა?

ეპისკოპოსი გაკეირებული შესცეკროდა.

— მიკვირს, ლმერთმან იცის! კალის კოვზს ველარ ვიშოვნით?

მაგლუარმა მხრები აიწია.

— კალა ყარს, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ.

— რკინისა იყოს.

მაგლუარმა ტუჩი აიშეირა:

— რკინამ გვემო იცის.

— ჰო-და, მაშენის კოვზები ეიხმაროთ — უთხრა ეპისკოპოსმა.

ცოტა ხანს უკან საუზმე მიირთვა მაგლუარმა; ეპისკოპოსი მხიარულად იყო, ბაპტისტინე-ქალი ხმას არ იღებდა, მაგლუარი კი მიდი-მოდიოდა ოთახში და გაფიტრებული რალა-საც ბუტბუტებდა. ეპისკოპოსი პურს მიირთმევდა და ქალებს ეხუმრებოდა. ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რეში პურის

ჩემსავლებად საჭირო შე პრის არც კოვზი და არც დანა-ჩან-გალი.

— ღმერთო მიხსენ! — გეძახდო ჩუმად მაგლუქარი. — იმისთანა კაცის სახლში როგორ შემრეციყანდი! მიიყვანა და გვერდით დაიწვინა ვიღაც ქურტჩ, მაწანწალა, კაცის მკვლელი. კიდევ კარგი, გეიბრალა ყოფლად ძლიერმა და ასე აღეილად გადაერ ჩით. გენაცვალეთ, ვინ იყო ჩვენი პატრიონი, სულაც რომ ამო-ვეწყვიტეთ!

ის იყო გაათავეს საუზმე და ჟა-ძმი აღგომას აპირებდნენ, რომ კარი დაპრაკუნეს.

— მობრძანდით, — შესძახა ეპისკოპოსმა.

კარი შემოატეს. უცნაური სანახავი წარმოსდგა გაკვირვე-ბულ ეპისკოპოსის და ქალთა წინაშე: სამს კაცის მეოთხე გაე-კავებინათ და მოჰყავდათ. სამნი უადარმები იყვნენ; მეოთხე უან ვალეანი.

უფროსი უანდარმი, რომელიც წინ მოუძროდა დანაჩენთ, შევიდა სახლში, ეპისკოპოსს მიუახლოვდა და მხედრული სა-ლამი მისცა.

— თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ! — მოახსენა უან-დარმმა.

უან ვალეანი დალვრემილი, თავდალუნული იდგა. ამ სიტ-კვებზედ თავი მაღლა აიღო და განცვიფრებით. დააცეკრდა ეპისკოპოსს.

— ყოვლად უსამღვდელოესობაო! — წამოიძახა უან ვალეან-მა. — მაშ მღვდელი კი არა...

— ჩუმად! — შეუტია უანდარმმა. ვერ ხედავ მის ყოვლად უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს?!

ეპისკოპოსი წამოდგა და, რამდენადაც კი ნებას. აძლევდა მოხუცებულობა, სწრაფად მიუახლოვდა უანდარმებს.

— კიდევ კარგი, რომ დაბრუნდით, — უთხრა უან ვალეანს; ძალიან მიხარიან თქვენი ნახვა, — არა, რომ მიღიოდით, შანდ-ლები რატომ არ წაიღები? მე ხომ შანდლებიც გაჩუქრეთ. ვერ

ცხლისაა და ერთ ექვს თუმნად მაინცა ლირს. რატომ შანდლები კი არ წაიღეთ?

უან ვალეგანმა თვალები დააჭყიტა და იმისთანა გაკვირვებული უყურებდა ლირსეულს მოძღვარს, რომ ადამიანის ენას არ ძალუს მის განცემის გამოხატვა.

— თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობავ! — მოახსენა უან-დარმების უფროსმა. — მაში მართალს მოვახსენებდათ ეს კაცი? გზაში შეგვხვდა; ისე მიეჩქარებოდა, თითქო მდევარი მისდევს უკანაო. დავიჭირეთ, გავსინჯვეთ და ვერცხლეული ვუპოვნეთ.

— და მაგანაც მოგახსენათ, — შეაწყვეტინა სიტყვა სიცილით ეპისკოპოსმა, რომ ერთმა გადაყრუებულმა ბებერმა მღვდელმა მაჩუქაო, განა? დიალ, სწორედ აგრე იქნებოდა. თქვენც დაიჭირეთ და აქ მომიყვანეთ? უბრალო შეცდომა გახლავთ, ბატონო, სხვა არაფერი.

— მაში გავუშვათ ეს კაცი? ჰკითხა უანდარმმა.

— მაგას რალა თქმა უნდა, მიუგო ეპისკოპოსმა.

უანდარმებმა თვეი დაანებეს უანვალეანს.

უკან დაიწია შერცხვენილმა და იმისთანა ხმით წაილულ-ლულა, თითქო ძილშია და ბოდავსო:

— მართლა მიშვებთ თუ?..

— მართლა, მაში რა, ტყუილად! შეუტია უანდარმმა. ყურთ ხომ არ გაკლია, შენ?

— აი, შვილო, თქვენი შანდლებიც. აიღეთ. მიმართა ტკბილად ეპისკოპოსმა.

მივიდა ბუხართან, აიღო ორივ შანდალი და უან ვალეგანს მისცა. ორივე ქალი გაჩუმებულნი შეჰურებდნენ ამ ამბავს, სულ განაბულნი, თვალ დახრდლნი, რომ მათი რიდი არ ეგრძნო მის ყოვლად უსამღვდელოესობას.

თავით ფეხამდე თროდა უან ვალეგანი. უგრძნობლად, და — რეტიანებულივით გაუწოდა ხელი და ჩამართვა შანდლები.

— აი ახლა მიბრძანდით, თუ მიგეჩქარებათ, უთხრა ეპისკოპოსმა. მართლა, თუ ჩემი ნახვა კიდევ დაგჭირდეთ, ბალზედ

ნუ გადმოიგლით. ქუჩის კარიდან შემოდით. კარი ყოველთვის ლია არის, მიხურულია მხოლოდ; დღე და ღამე ლია.

მერმე უანდარმებს მიუბრუნდა და უთხრა:

— თქვენ მიბრძანდით, ბატონებო.

უანდარმები წავიდნენ.

უან ვალუანს გული მისდომდა.

ეპისკოპოსი მიუახლოვდა და ჩუმად უთხრა:

— არ დაგავიწყდეს, შვილო, არ დაგავიწყდეს, შენი ალ-თქმა: ეს ფული იმისთვის მინდა, რომ პატიოსან კაცად გავხდეო.

უან ვალუანს არავითარი აღთქმა და დაპირება არ ახსოვდა და მით უფრო გაიკვირვა. ეპისკოპოსმა იმისთანა კილოთი უთხრა ეს სიტყვები, რომ გულში უნდა ჩარჩენოდა უბედურს.

— უან ვალუან, შვილო,—განაგრძო ეპისკოპოსმა.—დღეიდან ავს აღარ ეკუთვნი შენ, არამედ კარგს. მე შენგან შენს სულს ვყიდულობ. ცდუნებისა და წარწყმედისგან ვიხსნი და ლმერთს შევძლვნი.

### xiii

#### შატრანგ უგრებე

უან ვალუანი ისე გამოვარდა ქალაქიდან, თითქო განსაცდელს გაურბისო. გაჩერებული მიღოთდა მინჯორში, უგრძნობლად მისდევდა გზას, ბილიკს და არც კი ხედავდა, რომ ერთსა და იმავე ალაგზედ ტრიალებდა.

მთელი დილა იწიალა ასე; უჭმელი იყო და სიმშილს არ გრძნობდა. იმიდენს ახალს, უცნობს შთაბეჭდილებათ ვეღარ უძლებდა გული, ბრაზი ერეოდა და არ იცოდა კი ვიზედ ბრაზობდა. თითონაც არ იცოდა, დამცირებული, შერცხვენილი იყო, თუ შენანებას გრძნობდა. ხან და ხან ჩალაც სინანულით აუჩქროლდებოდა გული, შაგრამ თცის წლის ტანჯვისაგან მოგროვილი ნალველით გაედენთილი უარჲუოფდა.

ყოველს სინანულს. თითონაც ვეღარა გამოერკვია-რა და ეს უფრო ჰლალავდა და აწუხებდა. უსამართლოდ დასჯილს, წამე-ბულს უკვე გაეყუჩებინა თავისი გული. და ახლა კი გრძნობდა, რომ გულის სილრმეში კვლავ რაღაც ერევოდა, არა ჩვე-ულებრივი, ჯერეთ გამოუცდელი. ნეტავ რა უნდა იყოსო? ჰკითხავდა თავის თავს და პასუხს ეერ ჰპოვებდა. ნეტავ ისევ კატორგაში ვყოფილიყავ, უანდარმების და ციხის მცველთა ხე-ლში, და ეს ვარამი კი არ შემთხვევოდა: ასე არა ამაღლელვე-ბდა-რაო. შემოდგომა იყო, ცივოდა, მაგრამ აქა-იქ ღობის ძირას ყვავილები მოჩანდა, მათი სუნნელება პატარაობას აგონებდა, დიდი ხანი იყო, რაც თავის ბავშვობისა აღარა გახსენებოდა რა და უმანქო პატარაობის მოგონება ლახვარივით სცემდა, გულში.

გამოუთქმელი ფიქრები უტრიალებდნენ თავში და სულს უხუთავდნენ.

მზე ჩადიოდა. სულ უმცირესი ქვაც კი გაზვიადებულ გრძელ ჩრდილს ისეროდა. უან ვალუანი გზის პირას იჯდა, ბუ ჩეს ამოფარებული. წინ დაქანებული მინდორი ედო, წრიაკი, მოტიტვლებული. პორიზონტზედ ალპის მთები მოჩანდა, სხვა არაფერი, შორეულის სოფლის სამრეკლოც კი არსად იყო. მი-ნდორზედ ბილიკი იყო დადებული და იქვე უან ვალუანის გვე-რდით გზას უერთდებოდა.

დიდი იყო ჯერ ისევ მის მღელვარება და, რომ ენახა ვი-სმე იქ მჯდომი, ჯღანებით მოსილი, სწორედ შეშინდე-ბოდა.

უცბად რაღაც ხმაურობა მოესმა.

მიიხედა და ბილიკზედ მომავალი ერთი პატარა ბიჭი და-ინახა, სავოელი, ათის-თორმეტჭ წლისა. ერთი იმ ბავშვო-განი, რომელნიც ფეხით სთელავენ ქვეყანას დაგლეჯილ-დჭ-ფლეთილნი, თითო-ოროლა გროშსა შოვობენ და მხიარულად ბულბულივით ჭიკჭიკებენ. მხარზე სტვირი ყვიდა, ზურგზედ გალია თეთრი თავვებით. მოდიოდა და მოიძლეროდა.

ხან და ხან შედგებოდა, თეთრ ფულს შეისვრიდა და ხელის გულს შეუშერდა დასაქერად. თეთრ ფულში—იქნება ეს იყო ძთელი მისი ივლა-დიდება—ერთი ათშაურიანი ერია.

ბუჩქს უკან დადგა ბავშვი, ისე რომ უან ვალუანს ვერა ხელავდა და კიდევ შეისროლა თავისი ფულები.

აქამდე მარჯვედ იქერდა ხელის გულზედ, მაგრამ აქ კი უმტყუნა ბედმა და სწორედ ათშაურიანი გადმოუგორდა ხელიდან. ბუჩქში შეგორდა და უან ვალუანის ფეხთან დაეცა.

უან ვალუანმა ფეხი დაადგა.

ბავშვა კი თვალი გააყოლა ფულს და ესეც დაინახა.

არ გაიკვირვა და პირდაპირ მივიღა უან ვალუანთან.

უდაბნო იყო ეს მინდორი. სადამდინაც კი თვალი მისწვდებოდა, იდამიანი არსად ჩანდა. ხმაურობაც კი არა ისმოდა რა, გარდა ცაში საშინელ სიმაღლეზედ მიმავალ წერითა წრიპინისა. ბავშვი ზურგ შექცეული უდგა მზეს. მზის სხივი თავში სცემდა პატარას და ოქროს ქოჩით ამშვენებდა. უან-ვალუანი შესაზარი სანახავი იყო, სისხლმორეული, მხეცური თვალით და მხეცური გამომეტყველებით.

— უკაცრავად, ბატონო,—სთხოეს. პატარამ იმ ნდობით, რომელიც შედეგია გამოუცდელობის და უმანკოებისა,—ჩემი ფულის.

— ჩა გქვიან შენ? ჰკითხა უან ვალუანმა.

— პატარა უერვე, ბატონო.

— პო და მომშორდი!

— ჩემი ფული მიბოძეთ, ბატონო!

უან ვალუანმა თავი დალუნა და ოლარა უპასუხა-რა..

ბავშვი კი თავისას გაიძახოდა:

— ჩემი ფული, ბატონო!

უან ვალუანი თავდახრილი იჯდა და მიწას დასკეროდა.

— ჩემი ფული მიბოძეთ, ბატონო! ჩემი თეთრი ფულის შეჭყვირა ბავშვმა. უან ვალუანი ისე იყო, თითქო ვერც კი გაიგონაო. ბავშვი საკინძში სწვდა და შეარყია. თან ცდილო-

ბლა თავისი სუსტი ღონით უან ვალეანის ტლანქი ფეხი დაეძრა  
როგორმე.

— მომეცით ჩემი ფული! ჩემი თეთრი ათშაურიანი!

ბავშვი ტიროდა. ახლა კი შეხედა უან ვალეანმა. ჯერ ისევ  
იჯდა. თვალი ამღვრეოდა. გაკვირვებული სახით გასინჯა პა-  
ტარა, მერმე ჯოხს მისწედა და საზარელი ხმით შეუტია:

— ეინ არის აქ?

— მე ვარ, ბატონო, პატარა უერვე. რას მერჩით, რას  
მემართლებით, რატომ არ მაძლევთ ჩემ ფულს? დამიბრუნეთ  
ჩემი ათშაურიანი, თუ ღმერთი გწამს. აი, ეს ფეხი აიღეთ  
ცოტად.

და უცბად ბრაზი მოერია პატარას და მუქარით შეუტია:

— დასწყეველა ღმერთმა! აიღებთ ამ ფეხს, თუ არა? აიღეთ  
მეთქი ეს ფეხი!

— ბიჭოს! ისევ შენა ხარ! — უთხრა უან ვალეანმა. მერმე  
უცბად ფეხზედ წამოდგა, მაგრამ ისე, რომ ფულს ფეხი არ  
ოაშორა, და შეჰვირა:

— მომშორდები, თუ არა?

გულ-გახეთქილი ბავშვი პატარა ხანს გაშტერებული შე-  
ცყურებდა, მერმე თავით ფეხამდე კანკალმა აიტანა, და ბოლოს,  
თითქო გონზედ მოვიდაო, მოჰკურცხლა და ისარივით გაქანდა.  
გარბოდა და შიშით ზარდაცემულის ყვირილიც კი ველარ მოე-  
ხერხებინა.

კარგა ხანს ირბინა ასე. ბოლოს, რაკი სულის მობრუნე-  
ბა ვაუჭირდა, შედგა და ფიქრებით გატაცებულს უან ვალეანს  
პატარა უერვეს გულ-ამოსკვნილი ქვითინი მოესმა.

ცოტა ხანს უკან სულაც მიიმალა ბავშვი.

მზე ჩავიდა.

უკვე ღამდებოდა და უან ვალეანს კი მთელი დღე ნაწილი  
არ ჩასვლოდა პირში. იქნება სიცხეც ჰქონდა უბედურს.

ისევ ისე იდგა, თითქო რაღაც ელანდება და თვალს ფერ  
გაურკვევია; სუნთქვა ეკვროდა, გული ულონდებოდა. ბო-

ლოს, დამის სიცივემ თავისი აგრძნობინა და კანკალი დაწყებინა.

ქუდი ჩამოიცა თავზედ, ხალათის დუგმები შეიკრა, წინ წადგა და ჯოს დასწელა ასაღებად.

ამ დროს ათშაურიანი ვერცხლი დაინახა ნახევრად მიწაში ჩაფლული.

ელვასაყით გაუარა რაღამაც გულში. რა არის ეს? — ეკითხებოდა გონება მიხდილი თავისთავს. უკან დაიწია, შედგა თვალი ვერ მოეშორებინა ვერცხლისთვის, ამ ვერცხლისთვის, რომელსაც ამ რამოდენიმე წამის წინათ ტეხით ჰმალავდა და რომელიც ახლა ისე ბჟევრიალებდა ბნელაში, თითქო გახელილი თვალია და მიგ გულის გულში ჩასცერისო.

კარგა ხანი იდგა ასე გაქვავებული, მერმე გიეიეთ ვიგარდა, წამოიტაცა ვერცხლი, წამოიჭიმა და მზერა დაუწყო მინდორს. ფეთიანივით გასცეროდა პორიზონტის ყოველ მხარეს, თითქო მხეცია დევნილი და თავშესაფარს ექებსო.

გერა დაინახა-რა. უფრო-და-უფრო ბნელდებოდა.

ერთი ამოიხხრა და გაჩქარებით გაემართა იქითკუნ, საი-თაც პატარა უერვე წავიდა. მაგრამ მალე შეჩერდა, დააცქერდა ბნელით მოსილს მინდორს და მაინც ვერა დაინახა-რა. ძახილი დაუწყო, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა:

— პატარა უერვე! პატარა უერვე!

რამდენჯერმე დაუძახა. მერმე ყური დაუგდო.

ხმა არავინ გასცა.

უდაბნო იყო მინდორი, მიჩუმებული, მიბნელებული. თვალი წყვდიადში იკარგებოდა და ხმა — სიჩუმეში.

ყინულივით ცივი ქარი ჰქონდა და ძირიანად გლეჯდა ბუჩქებს. ისე ხმაურობდა ბუჩქნარი, ისე ირხეოდა, თითქო ვიღასაც ემუქრის და უკან მისდევსო.

ისევ იმ გზას გაჰყეა, ჯერ ნაბიჯით, მერმე სირბილით. ხან-და-ხან გაჩერდებოდა, სულს მოიკრებდა და საზარელი, სასოწარკვეთილი ხმით გასძახოდა უდაბნოს:

— პატარა უერვე! პატარა უერვე!

კიდეც რომ გაეგონა ეს ძახილი ბავშვს, შეეშინდებოდა და მიიმალებოდა. მაგრამ უკვე შორს უნდა ყოფილიყო პატარა უერვე და უან ვალუანის ხმას ვეღარ გაიგებდა.

ბოლოს ერთი მღვდელი შეხვდა ცხენით მიმჯალი. მიუახლოვდა და ჰქითხა:

— ბავშვი ხომ არავინ შეგხვედრიათ, მამაო?

— არა, მიუგო მღვდელმა.

— პატარა ბიჭი, პატარა უერვე?

— არავინ მინახავს.

ქისიდან ორი მანეთიანი ამოილო ვერცხლისა და მღვდელს მიართვა.

— თქვენს ლარიბებს უბოძეთ, მამაო, იცით, მამაო, ერთი კიკნა ბიჭი გახლავთ, ათი-თორმეტის წლისა. სტვირს უკრავს და თეთრ თაგვებს ათამაშებს. ემანდეთ გიახლებოდათ. სავოელი პატარა ბიჭი, ხომ მოგეხსენებათ.

— არა, შვილო, არ შემხვედრია.

— პატარა უერვე? არსად გაგიგონიათ სოფელში? აქმნება გაგეგონათ, მამაო?

— აქაური არაუნდა იყოს ბევრნი დალიან ემაგრე პატარები, მაგრამ ცნობით კი არავინ იცნობს.

მედგრად ჩატყო ხელი ქისაში და ორი ვერცხლის მანეთი კიდევ მიაწოდა მღვდელს.

— გაქირვებულთ უბოძეთ, მამაო.

მერმე გიუივით წამოისროლა:

— დამაკერინეთ, მამაო. მე ქურდი ვარ.

მღვდელმა ქუსლი ჰქინა ცხენს და გაეშურა შეშინებული.

უან ვალუანი სირბილით გაექანა იმ გზაზედ, საითაც პატარა უერვე ეგულებოდა.

კარგი მანძილი გაიარა ასე სირბილით. თან თვალებს აცეცებდა, უძახდა, უყვიროდა, მაგრამ ვერავინ ნახა. ხანდა ხინ ბნელაში რაღაც მოეჩვენებოდა, თითქო ვიღაც მიწოლილი, და გიუივით მირბილა მოჩვენებისკენ. მაგრამ ამაოდ: ხან ბუჩქებს წააწყდებოდა, ხან შემოდგომის მწვანით მოსილს ქვას.

ბოლოს შედგა: ბილიკი სამს მხარეს მისდევდა აქედან და არ იცოდა, საით წასულიყო. მთვარე ამოვიდა. ერთხელ კიდევ დაათვალიერო იქაურობა, ერთხელ კიდევ გაძიძახა: პატარა უერვე! პატარა უერვე! პატარა უერვე!

ძახილი აღარ შეეძლო და ჩუმად, ჩურჩულით-ლა იძახდა პატარა უერვეო!

მუხლოთ მოეკეცა, თითქო უხალავშა რაღაც ძალაშ ზედ დაადო თავისივე უვარებისი საქციელი. და მისმა სიმძიმემ წააქცია. ლონე მიხდილი დაეცა ქვაზედ. ხელი შემოიკრა თავში, მერჩე თავი დალუნა და წამოიძახა:

— რა საძაგელი ვარ!

გული ამოუჯდა და ქვითინს მოჰყვა. ცხრამეტი წლის განმაელობაში პირველი იყო მისი ტირილი.

ეპისკოპოსისაგან რომ გამოვიდა, როგორც უკვე ვთქვათ, იმისთანა ფიქრებს შეებყროთ, რომელნიც მანამდე თავისდღეში არსად მოსვლოდა. თითონაც არ იცოდა, რა ხდებოდა მის თავს. ცდილობდა თავი გაემაგრებინი და არ დაჰყოლოდა მოხუცებულის ანგელოზებრივ ზედგავლენას და ტყბილ სიტყვებს: „ხომ აღმითქვით, პატიოსან კაცად გავხდებიო. მე შენს სულს ცყიდულობ შენგან. ცდუნებისაგან და წაწყმეტისაგან ვიხსნი და ღმერთს შეეძღვნი განსპერაკებულს“. ეს სიტყვები წამდა უწუმავონდებოდა. ამპარტავანობით ებრძოდა უანვალეანი ამ ციურს მიტევებას, იმ ამპარტავნობით, რომელიც ადამიანს ბიწიერების სიმაგრედა აქვს აგებული გულში. თავისდა უნებურად გრძნობდა, რომ შენდობა მოხუცებულის მოძღვარებას საშინელი ძალით სცემდა მთელს მის ზნეობრივ არსებას, თითქო იერიშით მოდის და ძირიანად აღგვის მის გულის სიმაგრესათ. გრძნობდა, რომ ამ ბრძოლაზე იყო დამყარებული მომავალი მისი ცხოვრება: თუ გაუძლებდა ამ მაღლიანს ზედ გავლენას, ხომ თავისი დღენი მტრად დარჩებოდა ადამიანის და საზოგადოებისა. და თუ დაუვარდებოდა, გულიდგან უნდა ამოეფეხვრა ის სიძულვილი, რომელიც საზოგადოების უსამართლოებამ ჩაუნერგა, განუვითარა და განუზვიადა, და რომელიც თითონაც მოსუ

წონდა. რომ უკანასკნელი იყო ეს დიადი ბრძოლა, ბრძოლა მის ბიწიერების და ეპისკოპოსის მაღლის შორის.

ამ მაღლის ძალით შერყეული მთვრალივით მიღიოდა ეან ვალეანი. თვალი არეული ქონდა, გონება ებნევოდა და ვინ იცის, შეეძლო ეგრძნო, რა შედეგი მოპყვებოდა მის თავეადასავალს? ესმოდა განა ის საიღუმლო ამონაძახი გულისა, რომელიც ხშირად წინასწარმეტყველივით აფრთხილებს და გზას უკველევს ადამიანს? ესმოდა განა ის ხმა, რომელიც ეუბნებოდა, შენი ბედი დღევანდელს შენს საქციელზედ არის დამყარებული; შენია დღეს არჩევანი და, თუ დღეის იქით საუკეთესო კაცად არ გახდი, უსაძაგლესი და უსაზიშლრესი იქნებით? ესმოდა განა ის ხმა, რომელიც არწმუნებდა, დღეის იქით ან უნდა ამაღლდე, თვით ეპისკოპოსს გადააჭარბოა მაღლით და სიმართლით; ან უნდა ისე დაეცე, რომ სულ უკანასკნელ კატორგელზედ უარესი გახდეო? ესმოდა განა ის ხმა, რომელიც არწმუნებდა, თუ კარგ კაცად ყოფნა გინდა, ანგელოზად უნდა იქცე, და თუ ავ კაცობა გინდა, სისხლით გაუმარტარ მხეცადა?

საჭიროა აქაც ვიკითხოთ, რაც უკვე ვიკითხეთ წინად: შეეძლო ეან ვალეანს თავის ფიქრების გარკვევა, თუ ფიქრები დაპატრონებოდნენ მის სულსა და გულს და ზედ თავისუფლად მოქმედებდნენ? მართალია, როგორც წინადაც ვთქვით, უბედურება განავითარებს გონებას, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ შესძლებოდა უბედურს ამ ფიქრების დამორჩილება და მათი დასკვნა. ფიქრები აწუხებდნენ, სტანჯავდნენ, სულს უხუთავდნენ, მაგრამ რა ფიქრები და როგორ, ამისი არა იცოდა რა. რომ მორჩა და გამოვიდა იმ ჯოჯოხეთიდგან, რომელსაც კატორგას უწოდებენ, ეპისკოპოსს შეხვდა და ისე ატკინა სული მისმა მაღლით აღსავს საქციელმა, როგორც წყვდიადით გამოსულს სინათლე ატკენს თვალს, უცბად რომ მოხედეს. ახალი ცხოვრება ელანდებოდა, პატიოსნებით და სიმართლით გაბრწყინვალებული; გრძნობდა, რომ იმისთვისაც არ იყო მიუწოდომელი ამგვარი მომავალი და შიშით გული უწუხდებოდა. აღარ იცოდა, სად იყო, რა იყო, საით წასულიყო? თითქმ

უცბად ამოსულმა მზემ მოასწრო ჭოტსაო, ასე იყო ხათნევ-ბისაგან დაბრმავებული.

გარკვევით მარტო ის იცოდა, რომ ის კაცი აღარ იყო; ამაში იქვი აღარ ქონდა და ხედავდა, რომ ძირიანად შეცვლილიყო და, რაც უნდა ცდილიყო, ველარ მოახერხებდა ეპისკოპოსის სიტყვის და მადლის დავიწყებას, ან მათი ზედგავლენის შებრძოლებას.

ასეთს სულის კვეთებაში იყო უან ვალეანი, როდესაც პატარა შერვე ნახა და ათშაურიანი წაართვა. რად წაართვა? თითონაც ვერ აგიხსნიდათ. იქნება ამით დამთავრდა ის საძაგელი ფიქრები, რომელნიც კატორგამ გამოატანა; იქნება თავისიდა უნებურად დაანთხა უკვე შეძენილი ძალა, რომელიც თითონვე ეჩოთირებოდა. პირდაპირ ვთქვათ: ეს ფული უანვალეანმა კი არ წაართვა, ადამიანმა კი არ მოჰპარა, არამედ მხეცმა, რომელმაც ინსტინქტისა და ჩვეულებისა გამო დაადგა ფეხი ვერცხლის ფულს. მხეცი რომ ამას სჩალიოდა, ადამიანის გონება სულ სხვაგან იყო, ახალს და უცნობ ფიქრთა და შთაბეჭდილებათა წინააღმდეგ ბრძოლაში გართული. როდესაც გამოირკვა გონება ამ ბრძოლიდან და მხეცის ამგვარი საქცელი ნახა, უანვალეანს შერცხვა და გულგახეთქილმა ყვირილი მორთო.

უცნაური რამ მოუვიდა უბედურს; უცნაური, რადგან მხოლოდ ისე სასოწარკვეთილს და გონება-მიხდილს შეეძლო პატარა ბავშვის გაძარცვა: უან ვალეანმა იმ დროს ჩაიდინა ქურდობა, რადესაც ქურდობის ჩადენა აღარ შეეძლო.

ასეა თუ ისე, ამ საძრახისმა საქციელმა აუხილა თვალი და ნათელი მოპფინა მის სულს. ელვასავით დაუარა ფიქრთა ირეულობას, რომელიც თავბრუს ახვევდა მის გონებას, გაუნათა ბნელი, ცალმხრივ წყვდიალი მიაქუჩა, მეორე მხრივ სინათლე და ისე იმოქმედა სულიერ მის არსებაზედ, როგორადაც ქიმიური რეაქტივი მოქმედებს აბლვრეულ ნარევზედ: მლვრიეს დასწენდს და ნარევის შემადგენელ ნაწილებს განაცალკევებს.

გაახილა თუ არა გონების თვალი, გიუივით გაუდგა პატარა რა უერვეს გზას. არც თავის თავის ყოფას დაპკუირვებია, არც თავის მდგომარეობას დაპტიქრებია; მირბოდა, თითქო მისი ხსნა ამაზედ-და ყოფილიყოს დამკიდებული, და ბავშვს ეძებდა, რომ ნაპჩრევა დაეპრუნებინა. მეტო, რაკი ნახა, რომ ძებნა მათ იყო და ვეღარხად იპოვნიდა, სასოწარკვეთილებამ შეი-ჰყო. იმ წამს, როდესაც ამოიკვნესა — ოჳ, რა საძაგელი ვარო, — თავის თავი დაინახა, თავის თავი იცნა; და იმისთანა ახალ-კაცად, წინანდელ ეან-ვალეანისაგან ძირიანად განსხვავებულიად იგრძნო თავი, რომ ეგონა — ჩემს აჩრდილს ვხედავ, აგრე აქვე მდგომს, სისხლით და ხორცით შემოსილს, უშველებელი ჯო-ხით, დაფხრეწილი ხალათით, ნაპარევით გამოტენილი გუდით დალვრემილ, მხეცურ სახით, საზიზლარ, მომაკვდინებელ ფიქ-რებითაო. კატორგიდან მომავალი ეან ვალეანი თავის აჩრდი-ლიდ ეჩვენა საბრალოს.

გადამეტებულ ტანჯვას ლანდით აევსო ეან ვალეანს სუ-ლი. ესეც ლანდი იყო. თავის თვალითა ხედავდა ამ ლანდს, კატორგელ ეანვალეანს, მის წინ მდგომარეს. ისე ცხადად უდგა თვალ წინ ეს საზიზლარი ჩვენება, რომ ამ სანახავით შეძრწუ-ნებულმა, თავისთვის ჰკითხა ერთხანად: ვინ არის, რა უნდა ჩემგანაო?

ისე გაეტაცნა ფიქრებს მისი გონება, რომ არსებულს ვეღარ ხედავდა და ლანდი ეჩვენებოდა. რაც თვალწინ ედვა, ვეღარ ამჩნევდა და თვალით ხედავდა განხორციელებულს იმ ფიქრებს, რომელიც სულს უწყლავდა.

წარმოუდგა, თვალწინ გამოეჭიმა თავისი თავი. დაკვირ-და და სინჯვა დაუწყო. და იმავე ღროს საიდუმლო გულის სიღრმეში თავის სინიდისისაგან გამონაშუქს სინათლეს მოჰკრა თვალი. ამ სინათლემ მიიპყრა მისი ყურადღება და გულისყრის იზრდებოდა ეს სინათლე, ადამიანის მსგავსებას იძენდა და ბო-ლოს ეპისკოპოსად იქცა.

ორივ თვალწინ უდგა, ცოცხალნი, ხორც შესხმულნი, ეპისკოპოსი და ეან ვალეანი. გონება აღგზნებული ჸქონდა,

მოჩვენებისაგან გატაცებული, და, რაც ხანი გადიოდა, უფრო მეტს სიცხადეს იძენდა მას თვალში ეს მოჩვენება. და თითქმ არ შეუძლიანთ ერთად ყოფნას, უპისკოპოსმა სწრაფლოვ გააქრო ეან ვალეანი. სასწაული ნახა სწორედ საბრალომ; ეპისკოპოსი იზრდებოდა, სხივთ იმოსებოდა და ეანვალეანი კი მცირდებოდა, მიწას ეკროდა და ბოლოს სულაც განქარდა.

ეპისკოპოსი-ლა იდგა მის წინ და მადლით უცხებდა სულს.

დიდი ხანი იტირა ეანვალეანმა, ცხარი ცრემლით, გულ-ამოსკვნით. გამწარებული დედაკაცი ვერ იტირებს ისეთი ცრემლით და შებინებული ბავშვი ისეთი აღმფოთებით, როგორც ის ტიროდა:

ტიროდა და გონება ერკვეოდა, სინათლე ეფინებოდა მის სულსა და გულს, ტკბილი და მწარი სინათლე ერთსა და. იმავე დროს. თვალწინ წარმოუდგა მთელი ოავის სიცოცხლე — პირველი შეცდობა, ხანგრძლივი საჯელი, გარეგანი გამხეცება, სული-ერი გასაძაგლება, კატორგიდან გამოსვლა, საზოგადოებისადმი სამაგიეროს გადახდის ტკბილი ოცნება, ეპისკოპოსის გაქურდვა, პატარა ბავშვის გაძარცვა, ათი შაურის გულისათვის ეპისკოპოსის შენდობის და ნათქვამის დავიწყება... ისე წარმოუდგა ყოველივე თვალ წინ, რომ თითონვე შეძრწუნდა თავის საქცი-ელით და სულიერი დაცემით. გაიხსენა თავისი სიცოცხლე და საზიზრად ეჩვენა; დაუკვირდა თავის სულს და შემაძრწუნე-ბლად სცნა იგი. მაგრამ თავისდა სანუგეშოდ ახალი რაღაც ულვივოდა გულში და სულ სხვა მომავალის იმედს უღვიძებდა. სამოთხილგან გამომავალ სინათლეზედ მდგომ საკანად ეჩვენა თავისი თავი.

რამდენი ხანი იტირა ასე? რა ჰქნა ტირილის შემდეგ? საით წავიდა? არავინ იცის. ეს კია, რომ იმ დამეს გრენობლი-დგან მომავალის ომნიბუსის მეტლეს ნაშუალამევის სამს საათ-ზედ გაევლო დინის საეპისკოპოსო ტაძრის მოედანზედ და ეპისკოპოსის სახლთან, ვიღაც კაცი დაენახა — შეა ქუჩაში იდგა დაჩო ჭილო; უტყობოდა ლოცულობდაო.

## მიზნი მისამი.

1817 წელს.

## I

იმ წელიწადს „ძალაუნ საქმე“ ჩაიდინა პარიზელმა ოთხმა ყმაწვილმა კაცმა.

ეს პარიზელები ერთი ტულუზელი იყო, მეორე ლიმო-  
ული, მესამე კაორელი, მეოთხე მონტობანელი; მაგრამ სტუ-  
დენტები იყვნენ ოთხივენი და, რომ იტყვიან სტუდენტით, ეგ  
ის არის, პარიზელზედ ლაპარაკობენ: ვითომც პარიზში დაბა-  
ლებულა, ვინც პარიზში სწავლობს.

უმნიშვნელონი იყვნენ ეს ყმაწყილთ-კაცები. ყველას ენა-  
ხვება იმათთანა, ოთხი სხვა და სხვა ნიმუში მოსწავლე ყმაწვილი-  
კაცობრა: არც კარგი, არც ავი; არც მსწავლული, არც უვიცი:  
არც გენიოსი, არც ყეყეჩი; მაგრამ ოთხივე ყმაწვილები იყვნენ, და  
ისე ამკობდათ სიყმაწვილე, როგორც გაზაფხულს მაისი. ტულუ-  
ზელს ჭელიქს ტოლომიე ერქვა, კაორელს — ლისტოლიე, ლი-  
მოუელს ფამეილი, მონტობანელს — ბლაშველი. ოთხივეს, რასა-  
კვირველია, სიყვარულები ჰყავდათ: ბლაშველს ფავორიტი უყვარ-  
და: ფავორიტს იმიტომ ეძახდნენ, რომ ინგლისში ყოფილიყო;  
ლისტოლიეს — დალია: ფამეილს — ზეჭინი, შემოკლებული  
უოზეჭინი; ტოლომიეს-ფანტინი. ფავორიტი, დალია, ზეჭინი  
და ფანტანი ოთხივ ახლად გაშლილ მაისის ვარდიეით შშვე-  
ნიერნი იყვნენ. ხელობით მკერვალი ქალები იყვნენ და ჯერ  
ისევ ეტყდომდათ ხელ-საქმიანობა. სიყვარულს გაეტაცნათ,  
ნემსი და სათითე უკვე მიეტოვებინათ, მაგრამ ჯერ არ დაპ-  
კარგოდათ ის სიმშვიდე სულისა და კმაყოფილება თავის-თავისა,  
რომელიც საკუთარი შრომით მცხოვრებ ქალს ამჩნევია და  
რომელიც პირველი ბორძიკის შემდეგ კიდევ კარგა ხანი შერჩე-

ბა ხოლმე ქალს. ოთხში ერთს პატარას ეძახდნენ, რაღვან ყველაზედ უნცროსი იყო, და ერთს დიღს. დიღი ოცდასამის წლისა იყო. ამასთან სამიეკ უნცროსები უფრო გამოცდილი იყვნენ პარიზელ ცხოვრებაში და სიყვარულში, ვიღრე ჭან-ტინი, ოქროს-ქოჩიანად წოდებული, რაღვან მშვენიერო ოქროს ფერი თმებით იყო შემკული. ჭან-ტინის ცხოვრებაში პირველი იყო ეს სიყვარული.

დალია, ზეჭინი და შეტადრე ჭან-ტინი ამას ვერ დაიკვე-ხებდნენ. უკვე მრავალ თავად განიყოფებოდა იმათი რომანები და გმირი ამ რომანებისა, საყვარელი, პირველ თავში აღოლ-ჭად იწოებოდა, მეორეში აღმონსად, მესამეში გუსტავად. სი-ლარიბისა და კეკლუცობისთანა მაცდური ხომ არა მოიპოვება რა ქვეყნად. სილარიბე ანატრებს, კეკლუცობა ნანატრს შესძე-ნს. და საწყალი ხალხის ლამაზ ქალებს ხომ ერთიც საკმა-რისადა აქვთ და მეორეც. დღე და ღამი შეუწყვეტლივ თავისის ჩასძახიან ყურში სილარიბე და კეკლუცობა. ისინიც, განუ-ვითარებელნი და ცხოვრების უვიცნი, ხარბად ისმენენ ამ ტკბილს ჩურჩულს, და ბოლოს — დაცემა საბრალო ქალისა და საზოგადოებისაგან მის ჩაქვავება. უცოდველი და უბიწონი უნდა იყვნეთო, ეუბნებიან. იუნგფრაუც \*) ვერ შეიკავებდა თავს, რომ მოშივნოდა.

ჭავორიტი ინგლისში ნაყოფი იყო და თაყვანსაცემლად გამხდარიყო ზეჭინის და დალიასთვის. კარგა ხანი იქნებოდა, რაც თავისუფლად ცხოვრობდა და საკუთარი ბინა ჰქონდა. ამ ქალის მამა ერთი ბებერი, მათემატიკის მასწავლებელი იყო, თავხედი, ცრუ და კვეხია. მიუხედავად წლოვანებისა კერძო გაკეთი-ლებით ცხოვრობდა და უცოლო იყო. ერთხელ ვიღაც მოახლეს ოდნავ კაბა წამოეწია და ფეხი დაენახვებინა მათემატიკის მას-წავლებლისთვის. მასწავლებელი გაგიუებულიყო იმ ფეხისთვის. ამ გაგიუების ნაყოფი გახლდათ ჭავორიტი.

ჭავორიტი ხშირად შეხედებოდა ხოლმე თავის მამას, რომელიც ზრდილობიანად სალამს აძლევდა. ერთს დიღას

\*) ქალწული. მთა ბერნის აღმებში:

ვიღაც ბებერი დედაკაცი მივიღა ფავორიტან და გაკვირვებით შესძახა: ნუ თუ არ მიცნობ, ქალი?—არა, ბატონო. დედა ვარ შენი, მშობელი დედა! განჯინა გააღო ბებერმა, სვალა კამა; ერთად ერთი დოშავი ყოფილიყო იმის ავლა-დიდება, ისაც მოატანინა და დარჩა თავის ქალთან. სულ ღვთის ხსენებაში ბრძანდებოდა ეს დედა, სულ რაღაც ლრინავდა, ფავორიტს ხმას არა სცემდა, ხშირად გაბუტული იყო მთელს დღეს, ოთხი კაცის ოდენსა სჭამდა, უფრო მეტსა სვამდა, მეკარესთან ჩადიოდა და იქ თავის ქალს ლანძლავდა.

დალია ლისტოლიებ—და ლისტოლიეს წინედ იქნება კიდევ სხვამ—იმიტომ შეიყვარა, რომ საკვირველი თითები ჰქონდა, ვარდის ფერი ფრჩხილებით შემკული. ამისთანა კოხტა ხელებს ნევსით გაითუჭქებენ? თუ ქალს ნამუსიანად ყოფნა უნდა, ხელების სილამაზეს ყურადღებაც არ უნდა მიაქციოს.

ააც შეეხება ზეჭინს, სულ ორი სიტყვით გააბა მახები ჭამებილი: იმისთანა ალერისით და თან გაბუტვით ეტყოდა ხოლმე „დიალ, ბატონოო“, რომ მეტიც აღარ უნდოდა სტუდენტს.

ყმაწვილები ამხანაგები იყვნენ და ქალებიც დამეგობრდნენ ერთმანერთში. ამგვარ სიყვარულს ყოველთვის თან ახლავს ეს მეგობრობა.

ბრძენი სხვა და ფილოსოფოსი—სხვა. ეს იმითი მტკიცდება, რომ—ნუ შევეხებით ამ უწესურ შეუღლებას—ფავორიტი, ზეჭინი. დალია ფილოსოფოსი ქალები იყვნენ და ჭანტინი-კი ბრძენი.

ბრძენიო? გაიკვირვებენ. მერმე ტოლომიეს რაღად ჰყვარობდაო? ამის პასუხად სოლომონ-ბრძენი იმას გეტყოდა, რომ სიყვარული ნაშილია სიბრძნისა. ჩვენთვის ისიც საქმარისია, რომ ჭანტინს ჯერ არავინ ჰყვარებოდა, ეს პირველი სიყვარული იყო და სალოცავად გაეხადა თავისი საყვარელი.

ოთხში მარტო ჭანტინი იყო, რომ ერთის მეტს არავის დაჭყოლოდა.

ჭანტინი ხალხის შვილი იყო და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ხალხის ნაძირალის შვილი. ხაზრგაღოების უმდაბლეს,

ბნელს წრეში დაბადებულიყო და შუბლზედ უცნობის და უსახელოის ნიშანი აჯდა. მონრეალში დაბადებულიყო, მაგრამ ვინ იყვნენ მისი დედ-მამა? ვინ იცის? ფანტინისას არც მამას იცნობდა ვინმე, არც დედას. ფანტინს ეძახოდნენ. რაღ? ესეც არავინ იცის. ფანტინის დაბადების დროს რევოლუციური წეს-რიგი იყო საფრანგეთში. გვარს უარპყოფდნენ, და ფანტინსაც არა ჰქონდა გვარი. ეკკლესიას უარპყოფდნენ და ფანტინსაც არ ჰქონდა ნათლობის სახელი. ჭუჩაში დაცოცავდა პატარა ტიტველი გოგო და ვიღამაც ფანტინი უწოდა. შერჩა და შერჩა ეს სახელი — პატარა ფანტინი. ათის წლისა რომ გახდა, მოახლედ დაუდგა ერთს მემამულეს, ოხუთმეტისა პარიზს ჩავიდა „ბელის საძებნელად“. ლამაზი ქალი იყო და დიდი ხანი დარჩა უმანკოდ, იმოდენი ხანი, რამდენიც კი შეიძლებოდა. მზითევი დიდი ჰქონდა — ოქრო და მარგალიტი, ოლონდ ოქრო მსხვილ ნაწნავად ეყარა ბეჭებზედ, და მარგალიტი ბაგეს უმშვენებდა.

საცხოვრებლად შრომა დაიწყო, მერმე — ისევ საცხოვრებლად, რაღან გულსაც უნდა ცხოვრება, — სიყვარულს მისცა თავი.

### ტოლომიე შეიყვარა.

ტოლომიე დროს გატარებას ცდილობდა, ფანტინს კი გაგრუებით უყვარდა. ლათინურ უბნის ქუჩებს, სადაც ფუტკარივით ირევიან სტუდენტები და ქალები, ხშირად უნახავს დასაწყისი და დასასრული ამ გვარის ტკბილის გატაცებისა. ფანტინი ერიდებოდა ტოლომიეს, გაურბოდა, მაგრამ ისე, რომ სწორედ წინ შეხვდებოდა ხოლმე. ერთნაირი მორიდება ძალიანა ჰგავს ძებნას. რაღა გავაგრძელოთ, სიყვარულმა თავისი გაიტანა.

ბლაშველი, ლისტოლიე და ფამეილი პატარა წრეს შეადგენდნენ, რომლის თავი ტალომიე იყო. ტოლომიე იყო სულის ჩამდგმელი ამ წრისა.

ტოლომიე დიდი ხნის „ბებერი“ სტუდენტი იყო. იმოდენი ფული მოსდიოდა შინიდან, — ათ თუმანზედ მეტი თვე-

ში,—რომ ლარიბ-ლატაკ სტუდენტთა შორის სწორედ სამარ-ცხვინო იყო მისი სიმღიდრე. ოცდა ათის წლისა იყო, ქეითს და დროს გატარებას ძალიან მისდევდა და კვალიც დასჩნე-ვოდა ამგვარი ცხოვრებისა. სახე დაღმეტოდა, კბილი წახდე-ნოდა, თმა სცვივოდა. ამას თითონაც ხედავდა, და გულიანად იცინოდა: ოცდა ათის წლისას თავი მომეტვლიპა, ორმოცისას მუხლი მომეკვეოებაო. კუჭი წამხდარი ჰქონდა, ვეღარას ინე-ლებდა, და ცალი თვალი ეცრემლებოდა: მაგრამ სიყმაწვილეს წილ სიმხიარულე ახლდა და რამდენადაც პირველი ეკარგე-ბოდა, იმდენად მეორე ემატებოდა. წამხდარ კბილს ოხუჯობა უმალავდა, მოტიტვლებულ თავს — სიხარული, შერყეულს სიჭა-ბუქეს — სიმახეილე ენისა და შტირალ თვალს — სიცილით საესე თვალი. მოშლილი იყო, რომ დაჰკვირვებოდა ვინმე, მაგრამ მაინც ყვავოდა. დაძაბუნებული იყო, მაგრამ იმისთანა ირონიით და დაცინვით ამკობდა გაპარულს თავისს სიყმაწვილეს, თითქმ თავის თავს კი არა, სხვას იგდებს მასხარადაო. ერთი პიესა წარედგინა ვოდევილის თეატრში, მაგრამ დაეწუნებინათ. ლექ-სებს სწერდა; გარდა ამისა ყველაფერს იჭირს თვალით უყურებ-და და მით უფრო ძლიერად ეჩვენებოდა თავისზედ სუსტებს. ერთი სიტყვით მელოტი იყო, ირონიით ალსავსე და მეთავური პატარა წრისა. ირონ — ინგლისური სიტყვაა და რკინას ნიშ-ნავს. იქნება ამ სიტყვიდან მომდინარეობდეს ირონია?

ერთხელ ცალკე გაიხმო ტოლომიერ სამივ თავისი ამხანაგი და უთხრა: აგერ ერთი წელიწადი სრულდება, რაც ფანტინს, დალიას, ზეფინს და ფავორიტს საჩუქარს დავპირდით. მოსვენე-ბას აღარ გვაძლევენ, მეტადრე ფანტინი. სულ იმას გაიძახიან, დაპირებას ასრულებაც უნდაო. როგორც ნეაპოლში მისდგებიან ხოლმე ბებერი დედაკაცები წმინდა. იანვარს და უყვირიან: ფერმკრთალო იანვარო, ჰემენ სასწაულიო! ისე ჩვენი გოგო—ები მე ჩამაცივდნენ — ტოლომიერ, როდისა შობავ შენს საჩუქარ-საო? შინიდგან კიდევ მოსვენებას აღარ გვაძლევენ და წიგნი წიგნზედ მოგვდის, ორ ცეცხლ შუა ვიწვით, თუ დამეთან-

ხმებით. მე მგონია, რომ დრო არის ბოლო მოვულოთ ამ ყოფას.

ტოლომიერ ჩალაც წასჩურჩულა ამხანაგებს, იმისთანა სასაკილო, რომ ოთხივემ ხარხარი დაიწყეს, და ბლაშველმა შეჰქვირა—ძან, ძან აზრიაო!

პატარა ყავახანა დაინახეს, კომლით გატენილი. ოთხივენი შიგ შევიდნენ და იქ განაგრძეს ბაასი.

ამ მოლაპარაკების შედეგი ეს იყო, რომ კვირას დილით-ვე საქეიფოდ გაემგზავრნენ ჩვენი სტუდენტები და ქალებიც თან წაიყვანეს.

## II

## თხი წევილი.

დღეს ვერც კი წარმოიდგენს ვინმე, სად ატარებდნენ დროებას ამ ორმოცდა ხუთის წლის წინად პარიზელი სტუდენტები და მათი გულის პატრონი ქალები.. პარიზის მიდამი ის აღარ არის, რაც იყო. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთიანად შეიცავალა: სადაც უწინ გუგულის კაკუნი ისმოდა, დღეს ვაგონი იძერის; სადაც პატარა ნავი ცურავდა, დღეს ორთქლმავალი ხომალდი მისრიალებს. მაშინ გარეთუბანი ჰქონდა პარიზს; დღეს მთელი საფრანგეთი პარიზის გარეთუბნად გამჭდარა.

ქალაქ გარედ გავიდნენ ჩვენი მოსეირნენი და ძალიან მხიარულად გაატარეს დრო. სწავლა გათავებული იყო, მშვენიერი თბილი ზაფხულის დღე იდგა. წერე მარტო ფავორიტმა იცოდა და წინა ლამეს წიგნი მიეწერა ტალომიესთვის „თუ გნბავთ მართლა გვასიამნოთ, ძლიან ადრ წავდეთ“. ხუთს საათზედ უკვე ზეზედ იყვნენ და ეტლით წავიდენ სენკლუში. ჩახრუელის ალაგი ნახეს და—მართლა მშვენიერი სინახუი იქნებოდა, წყალი რომ ყოფილიყო, სთქვეს. „შავი-თავის“ სასტუმროში ისაუზმეს, ტბასთან ისეირნეს. სევრიში იყვნენ, ყვა-

ვილები კრიფეს და თაიგულები გაიკეთეს, სტვირები იყიდეს, ვაშლის ქადას შეექცნენ. დიდად ბეღნიერნი უყნენ.

ქალები გალიიდან გამოშვებულ შაშვებივით ჭიკჭიკებლნენ; იცინადნენ, ცელქობდნენ, ყმაწვილებს ეხუმრებოდნენ, თითქო სიყმაწვილით და დილის ნიავით დამთვრალანო. ოჯ, რა ტკბი-ლი რამ არის სიყმაწვილე! ვინც უნდა იყო, ჩემო მკითხველო, არ გაგონდება განა სიცოცხლის გაზაფხული? არ აგიწევია განა ბუჩქნარის ტოტი, უკან მომავალს კეკლუცს არ მოხვდესო? არ დაცურებულხარ განა მწვანე ხაფერდით მოსილს ნამიან დალშართზედ ლაპაზ ქალთან მკლავ გაყრილი? არ გაგონდება განა იმის კივილი: კაბა დამისველდა, გენაცვალეთ, გადასაგდები გამიხდებაო!

ის-და აკლდა ჩეენს მოსეირეთა სრულს ნეტარებას, რომ ერთი კარგი ხშაპუნა წვიმა წამოსულიყი და კარგად დაესვე-ლებინა. მართალია, ფავორიტმა დილითვე ბრძანა მეცნიერებით ალსაცსე კილოთი — ლოკოუინა ვნახე გზაზედ, უთუოდ ვაავდრ-დებაო, მაგრამ არ ვაუშართლდა წინასწარმეტყველება.

მეტის მეტად ლაპაზები იყვნენ ოთხივე. ერთი მოხუცე-ბული, იმ ღროს განთქმული, პოეტი, დასეირნობდა იმ დილის სენკლუში და, რა დაინახა მიმავალნი, ხორც შესხმული მუზები ეგონა. ფავორიტი, ბლაშველის მეგობარი, წინ მიცერიალებდა, შველივით ხტოლა, მხიარული კისკისით და ხმაურობით ავსებ-და ტყეს. ზეჭინი და დალია მევობრობისა და უფრო კეკლუ-ცობისა გამო ერთმანერთს არ შორდებოდნენ: იცოდნენ, რომ თავიანთ სილამაზით ერთმანერთს ასრულებდნენ და ამშეენებდ-ნენ. ლისტოლი და ფამეილი თავიანთ მომავალზედ ლაპარაკობ-დნენ და ცდილობდნენ აეხსნათ ფანტინისთვის, რითი განსხვავ-დებოდნენ დელვონკური და ბლონდო.

ბლაშველს ფავორიტის შალი გადაეგდო მკლავზედ და ისე მიდიოდა.

ტოლოშიე უკან მისდევდათ. ძალაან მხიარულად იყო, თუმცა პირეელ შეხედვითვე ეტყობოდა, რომ მოთავე და გამ-გე ისა ბრძანდებოდა, და სიმხიარულეშიც კი დიქტატორობა

ემჩნეოდა. ძალიან მორთული იყო: ხალი შარვალი ეცვა სპილოს - ფეხის ფერი, ძვირფასი ჯოხი ეჭირა ხელში და, რაღან შეძლება ჰქონდა და არაფერს იკლებდა, პირში სიგარა ედვა. თამბაქოსა სწევდა, ის სულწარყმედილი!

— საკვირველი მოხდენილი რამ არის ჩენი ტოლომეი, იძახდნენ ყველანი. რა შალვარი ჩაუცვაშ! როგორ აბოლებს სიგარას!

ფანტინი მხიარულებად გარდაქმნილიყო. მის მარგალიტ-კბილებისათვის ერთად-ერთი დანიშნულება ებოძებინა შემომქმედს: სიცილი. შლიაპა უფრო ხელში ეჭირა, ვიდრე თავზედ ეხურა. თმა ეშლებოდა და ზეირთივით სცემდა მუხლებამდე. მაისის გარდის კოკორიეთ ლამაზ ბაგეს ღიმილი უშვენებდა და ეინი, თითქო უნდა წამოიძახოს: რაღას აყოვნებ, მოდი და დამეწაფეო? მაგრამ ვნებით გახელებულს სახეს ზემოდან სასტიკად დასცემეროდა შავ მსხვილ წარბ-წამწამში ჩამჯდარი თვალი, აფთხილებდა და ალვირს უჭერდა. ტანისამოსიც შეხამებული ეცვა, მხიარული და მოხდენილი. სხვები, უფრო გავარჯიშებულნი, სიცხეს შეეშინებინა და გულ-ლია კაბებით იყვნენ. მართალია, იმ სიცხეში, ყვავილებით შემკული შლიაპა და ღია გულ-მკერდი მეტად მშვენიერს. და თვალის წარმტაცს წარმოადგენდა, მაგრამ ფანტინის მოკრძალება უფრო მშვენიერი იყო: ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ბრძენზედ ბრძენია უმანკო.

ლამაზი სახე, ღიდრონი ცისფერი თვალი, შავი მსხვილი წარბ-წამწამი, ვამოქანდაკებული მომცრო ფეხი, თეთრი კანი, ქორფა ღაწვი და ზედ ოცნებით შეზღუდული სიმხიარულე — ასეთი იყო ფანტინი.

ტანისასოსი ხელოვნურ ნაქანდაკევს ჰთარავდა, და ნაქანდაკევი სულს.

ფანტინი მშვენიერი იყო, თუმცა თითონ იჭვიცარ ჰქონდა ამისი. მშვენიერების ნამდვილს თაყვანისმცემელს რომ ენახა ეს ყმაწვილი პარიზელი მკერვალი-ქალი, ძველს საბერძნეთში ეგონებოდა თავი. უგვარ-ტომო, საზოგადოების უმდაბლესი წრეების შვილი, უდიდებულესს ქმნილებას წარმოადგენდა ბუ-

ნებისას. შშვენიერი იყო აგებულებითაც და მიხვრა-მოხვრითაც. პირველი ფორმაა იდეალისა, და მეორე—მოძრაობა.

ფანტინი განხორციელებული სიმხიარულე იყო და იმავ დროს განხორციელებული მოკრძალება.

მართალია, მთვრალი იყო სიყმაწვილით, ზაფხულით, სიუკარულით, მაგრამ ყურადღებით რომ დაჭიერვებოდა ვინმე, ადვილად შეამჩნევდა მორცხობას და მოკრძალებას. ცოტა არ იყოს, გაკეირებულსა ჰგავდა. ეს უბიშო გაკეირვება შეადგენს განსხვავებას პსიხეის და ვენერას შორის\*). ფანტინს გრძელი სურათი თითები ჰქონდა ძველი ვესტალისა\*\*), რომელსაც ოქროს მაშა უჭირავს და ცეცხლს ურევს საკურთხეველზედ. თუმცა, როგორც შემდეგაც ვნახავთ, სულით ხორცამდე და-მორჩილებოდა ტოლომიეს, სახე მაინც უმანკოებით უბრწყინავდა. რაღაც ლირსებით აღსავსე გამომეტყველებას მიიღებდა ხშირად მისი თვალი, წმინდანის გამომეტყველებას და სრულიად უმიზეზოდ დალონდებოდა და დაფიქრდებოდა ერთს წამს წინად უსამზღვროდ მხიარული მისი გული. ზედა ტუჩზედ ჯერ ისევ ცხადად ეტყობოდა ის შეუმჩნეველი და საოცარი ნიშანი ქალწულობისა, რომელმაც ბარბარუსას გაგიუებით შეაყვარა მიწიდან ამოთხრილი ნაშთი მარმარილოს დიანისა\*\*\*).

სიყვარული, შეცდომაა; დექ! ფანტინი უმანკოება იყო შეცდომის მორცვზედ მცურავი.

### III

ისე მხიარულად არის ტალამიე, რომ ქსნანიურ  
სიძლეზას ამობს.

ის დღე დილით საღამომდე ნეტარება იყო და სიტკბოება. სენკლუ სუნნელებად გადაქცეულიყო; სენის გრილი ნია-

\*) პსიხეა ბერძნის ქალი იყო, იმისთვის ლამაზი, რომ ღმერთმა შეირთო ცოლად და ოლიმპზედ აიყვანა ლმერთებთან. ვენერა—ლმერთი, წარმომადგენელი ქალთა მშვენიერებისა.

\*\*) ვესტას მსახურნი, გასათხოვარი ქალები, ძველ რიმში.

\*\*\*) დიანა—ასული იუპეტერისა. ლმერთი მონადირეებისა.

ვით აშრიალებული ფოთლები, გალობად. ტყის ხმაურობა სიმღერად. მზე ბრწყინავდა, მინდორი მწვანედ ბიბინებდა, ყვავილები გულ-მკერდს უშლიდნენ ფუტკარს,— ბუნება ხარობდა და სტკბებოდა ყმაწვილ მოსეირნეთა ბედნიერებით.

მიდიოდნენ, მიხტოდნენ ამ სამოთხეში, კიკვიკებდნენ, მღეროდნენ, ცრკვამდნენ, პეპელებს დასდევდნენ, ყვავილებს ჰკრეფდნენ, მწვანე ბალახში ფეხს ისველგბდნენ, გიქობდნენ, ცელქობდნენ და აქა-იქ საკოცნელად ლოყას აწედიდნენ თავიანთ საყვარლებს... ფანტინის გარდა, რომელსაც არ შორდებოდა მოკრძალებისგან დანათლული მორცხობა. ფანტინსაც უყვარდა, მავრამ სიყვარული ფარული სწამდა. ნეტავ რას იპრან-ჭებიო, ეუბნებოდა ფავორიტი.

ეს არის სიცოცხლის ნეტარება. შეყვარებული ქალ-ვაჟი აღვიძებს ბუნებას, სხივსა ჰფენს ცხოვრებას და ყველგან აღერსსა და სიტკბოებას სთესავს. ამობენ, მინდორი და ტყე ღმერთმა შეყვარებულთათვის გააჩინაო. იმიტომ არის, რომ ბუჩქნარს ეძებს სიყვარულით გახელებული. ეს ასე იყო, ასეა ეხლა და ასე იქნება, ვიდრე სიყმაწვილე და სიყვარული არსებობენ. ამიტომ არის, რომ ასე უყვარს ყველას გაზაფხული. დიდი და ჰატარა, დიდებული და უბრალო გლეხი-კაცი, სოფლელი და ქალაქელი, ყველა ქედოხრილი და მორჩილი ყმაა სიყვარულისა. სიყვარული სცვლის, ახალისებს ადამიანს, და ნოტარიუსის მწერალს ღმერთად აქცევს. სიცილი, სიმხიარულე, ღვთიური ნეტარება, ერთმანეთის ძებნა, ჟივილ-კივილი, ტკბილი სიტყვა და ალერსი, ოხერა და ლალადი, ტრფობა და თაყვანის-ცემა, ამით ბრწყინავს სიყვარული და ციურ სინათლესა ჰფენს ქვეყანას. უბოლოვოაო, ამობენ ეს ამბავი, და ან რა გაათავებს, ვიდრე ლამაზი ქალის გული გვეგულვის ჯილდოდ? ფილო-სოფოსებს, პოეტებს, მხატვრებს ძალიანაც ნებავთ სიყვარულის ძალის შეგნება, მაგრამ იმათაც თვალს უბავს და აღარ იციან, რა სთქვან.

საუზმის შემდეგ ყველანი სამეფო ბალში ჩავიდნენ ინდოეთიდან ახლად მოტანილის უცხო მცენარის სანახავად, რომე-

ლის სახელი ამჟამად არ გვაგონდება. ამ მცენარის სანახავად  
მთელი პარიზი მიღიოდა სენ კლუში. უცნაური ლამაზი ხე იყო:  
ფოთლის წილ მრავლად ეყარა, თმასავით წვრილი ტოტი და  
ზედ უფრო წვრილი ყვავილი, თმა გაშლილს ქალსა პგავდა  
ეს მცენარე, თითქო ზედ ალმასი შეუყრიათო. გარს მრავალი  
ხალხი ეხება.

მცენარე რომ გასძიჯეს, ტოლომიემ წამოიყვირა: ხალხო,  
გნებავთ, სახედრებზედ დაგპატიუებთო? პატრონს გაურიგდა  
და ვანვა და ისსი სახედრებით გამოიარეს. ისსიში ჩამოხტენენ და  
ბალში შევიდნენ. მოიარეს იქაურობა, დაათვალიერეს ყოველი  
კუთხე და ბოლოს საქანელას მიადგნენ, ორს დიდროვან წაბლის  
ხეზედ ჩამომბულს. ქალები ქანაობდნენ, კაბები ფრიალებდნენ,  
ყმაწვილები ხარხარებდნენ. და ტულუზელი ტოლომიე, ოდნავ  
ესპენელი, რადგან ტულუზი ბიძაშვილია ესპანიურ ტოლოზი-  
სა, ერთს ძველს ისპანიურ ლექსს მღეროდა საქანელაზედ  
გაფრიალებულ ლამაზი ქალის კაბაზედ შეთხზულს;

Soy de Bada o .  
Amor me llama.  
Toda mi alma  
Es en mi ojos  
Porque ensenas  
A tus piernas.

მარტო ფანტინმა არ ინდომა ქანაობა.

— ნეტავ ვიცოდე, მართლა. რას იპრანჭება? სთქვა წყენით  
ფავორიტმა.

სახედრები გაისტუმრეს და ახლა სხვა სიამოვნება: სენის  
წყალს ნავით გავიდნენ და ფეხით ჩავიდნენ ელისეს მინდორ-  
ზედ. დილის ხუთი საათი იყო, სახეირნოდ რომ წავიდნენ, მაგ-  
რამ ნეტავი თქვენა! კვირამ დაღალვა არ იცისო, იძახდა ფა-  
ვორიტი.

საჩუქარი როდის-და იქნება? ეკითხებოდნენ ტოლომიეს  
ქალები.

— მართლა, საჩუქარი? მე საჩუქარი მრნდა!

— მოითმინეთ, მოითმინეთ, უპასუხებდა ტოლომიე,

— ۲۸ —

## ბომბარდისთან.

საღილობის დრომაც მიატანა და ცოტა ხანს უკან ბომბარდას დუქანს მიაღვნენ ჩვენი ცოტა არ იყოს მოღალული მოსეირნენი. ბომბარდას პარიზში ჰქონდა კარგი სასტუმრო რივოლის ქუჩაში და აქ ელისეს მინდორზედ განყოფილება გაეხსნა თავის სასტუმროსა.

დუქანი სავსე იყო ხალხით და კერძო ოთახში მოთავსდნენ. კარგი მოზრდილი ოთახი იყო, მაგრამ ულაზათო, ერთ კუთხეში ფარდის უკან ლოგინუც კი ვგო. ფანჯრიდგან წყალი მოჩანდა და ბულვარი; ორი სტოლი იღვა ერთზედ მთასავით დააგროვეს ყვავილები, შლიაპები, ქუდები; მეორეზედ სუფრა გაშალეს და გარს. შემოუსხდნენ. ჭურჭელი, ლვინისა და ლუდის. ბოთლები, სხვა და სხვა საჭმელი...—სტოლზედ წესი და რიგი სუფევდა და სტოლ ქვეშ კი უწესობა. მოლიერისა არ იყოს,

სტოლ ქვეშ რაღასაც სჩადიან,

ფეხით სჩემეტენ ერთმანეთსაო!

აი რა ყოფაში იყვნენ შუაღლის შემდევ თხხს საათზედ ჩვენი მოსეირნენი. მზე ჩაღიოდა და მადა იკარგებოდა.

ხალხით და მზის სხივით სავსე ელისეს მინდორი. მტვერით და სხივით იყო სავსე. დიდებასაც ხომ სხვა არა რა შეადგენს, მტვერისა და სხივის გარდა. მზისაგან გაბრწყინვალებულს მტვერში იძროდნენ ეტლები, ცხენოსნები, მრავალი ხალხი. ნეილონიდგან ცხენოსანი ჯარი მიღიოდა, წინ მებუკე მოუძღვოდა. თეთრი დროშა, ჩამომავალი მზისაგან უფრო გასპეტაკებული ფრიალებდა ტიუილერის სასახლეზედ. კონკორდის მოედანი, რომელიც მაშინ ლუი XV მოედნად გახადა, სავსე იყო კმაყოფილი ხალხით. გარეთ უბნელებიც მრავლად გამოსულიყვნენ სასეირნოდ; ზოგნი თამაშობდნენ, ზოგნი სვამ-ლნენ, ზოგთ, ასოთ ამწყობთ, ქალალდის ქუდები დაეხურათ და

გულიანად ხარხარებდნენ. ყველგან კმაყოფილება მოჩანდა: მშვიდობა და მეფის მიერ წეს-რიგის შემოღება უხაროდა ხალხს. იმ დროს იყო რომ პოლიციის უმფროსმა ანგლებმ ამ სი-ტყვებით დაამთავრა ერთი თავისი მოხსენება, რომელიც საი-დუმლოდ მიართვა მეფეს: „ყოველივეს რომ დაუკვირდეს კაცი, დარწმუნდება, რომ პარიზის გარეთ უბნელებისაგან საშიშს არა-ფერს უნდა მოველოდეთ. გარეთ უბნელები ზარმაცები არიან და კატასავით უზრუნველნი. პროვინციელები კიდევ იძერიან, პარიზელები კი მოკლებული არიან ყოველს მოძრაობას. კა-ცები კი არა, კაცუნები არიან. ორი რომ შეაერთოთ, ერთს თქვენს ჯარის-კაცს ძლიერ გამოიყვანთ. ერთი სიტყვით, პა-რიზელი ხალხი საშიშს არაფერს წარმოადგენს. შესანიშნავი გახლავთ, რომ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტანითაც და ღონითაც დამცირდა და დაკნინდა ჩვენი დედა ქალაქის მდა-ბიო ხალხი და დღეს უფრო წვრილი და სუსტია იგი, ვიდრე რე-ვოლიუციამდე იყო. სხვა განსაცდელი გარიდოთ ღმერთმა, თორებ აქ საშიშარი არაფერია. მოკლედ რომ მოვჭრა სიტყვა, წუპაკია პარიზელი ბრძო, მაგრამ გულკეთილია.“

პოლიციის უმფროსს ვერ წარმოუდგენია, რომ ხშირად ლომაც იქცევა კატა. ეს ასეა და ამით არს გასაკეირველი პარი-ზელი ხალხი. ძალიან ათვალწუნებული პოლიცია ბატონს ანგლეს კატა და ის კი არ სცოდნია, რომ ძველს რესპუბლი-ბებში ფრიად პატივცემული იყო ეს ცხოველი. კორინთის სა-ზოგადო მოედანზედ უზარმაზარი აღალმა იღვა ბრინჯაოს კა-ტისა. მეფის ერთგულს გულ-უბრყეილო პოლიციელს გულკე-თილად ეჩვენებოდა პარიზელი ხალხი. გულკეთილია, მართა-ლია, მაგრამ ნურვინ იტყვის წუპაკია ეს ხილხიო! პარიზელი იგივეა ფრანგისთვის, რაც ბერძენისთვის ათინელი იყო. პარი-ზელზედ უკეთ ვერავის სძინავს, იმაზედ უკეთ ვერავინ ქეიფ-ობს და ზარმაცობს, იმაზედ უკეთ ვერავის შეუძლიან ვითომ-დავიწყება. მაგრამ არ გაგიტაცოთ ამ დასურათებამ! განხორ-ციელებული უზრუნველებაა, მაგრამ თუ დიდებისთვის მოუხ-და ბრძოლა, ნამდვილ ლომად ხდება ეს კატა. შები მიეცით

და ძირიანად აჰევის მონარქიულ წეს-წყობილებას. თოფი მიეცით, და კვლავაც მოგიგებთ აუსტრიულიცის ბრძოლას. ნაპოლეონის დიდების დედა-ბოძი, პარიზელი ხალხი იყო. დანტონის ძალის ერთად ერთი საფუძველი იგივ პარიზელი ხალხი იყო. გაუჭირდა სამშობლოს? ქუდზედ კაცი გადის შეიარაღებული. თავისუფლებისათვის ატყდა ბრძოლა? ქუჩას ქვას აჰერის და იმით იბრძვის. მაშ ფრთხილად! ეპიკურის ძალას წარმოადგენს ყოველი ბეწვი მის თმისა, და ძეელ ხლაშიდად იქცევა მისი დაბრანძული ხალათი. მაშ ფრთხილად! ისე გაამაგრებს უბრალო ქუჩას, რომ ქვეყნის ჯარიც ვეღარას უზამს. ბუკის ხმა მოესმას, თორემ მდევად გახდება პარიზელი გარეთ-უძნელი, ვეშაპივით წამოვარდება ეს კაცუნა, ცეცხლივით აენთება თეალი და იმისთანა გრიგალი ამოვარდება დაკნინებულ გულიდან, რომ ალპის მთებს შესძრავს. რევოლუციამ პარიზელი გარეთ-უძნელების წყალობით დაამარცხა ევროპა. იბრძვის და მდერის; რადგან ბრძოლაში მხიარულებს და მხიარულებაში მდერის. შეუდარეთ პარიზელი ხალხის სიმღერა იმის ბუნებას, და მაშინ ნახავთ, რა მძლავრი და დიდებული ყოფილა ეს „ბრძო“. მანამ კარმანიოლს მდერის, მარტო საფრანგეთს ათავისუფლებს მტარვალი-საგან; მარსელიეზას იმდერებს და მთელს ქვეყნას გაათავისუფლებს.

სიტყვაშ მოიტანა და ანგლეს მოხსენება უპასუხოდ ვერ დავტოვეთ. ვნახოთ ახლა, რას შერებიან ჩვენი მოქეთფენი? სადიოლს ათავებდნენ, როგორც უკვე ვთქვით.

## ¶

## შეუგარებულთა ტრფიბა.

სუფრის სიტყვა-პასუხი და ტრფობის ალერსი! შეუკავებულია ერთიც და მეორეც. ღრუბელივით მიუწდომელია სიყვარულის ალერსი, კომლივით წარმავალია სუფრის სიტყვა-პასუხი.

ჭარეილი და დალია რაღასაც ლილინებდნენ; ტოლოძიე სვამდა, ზეჭინი იცინოდა, ჭანტინი იღიმებოდა. ლისტოლიე სენკლუში ნაყიდს სტვირს უკრავდა. ჭავორიტი ალერსით შეს-ცქეროდა ბლაშველს და ეფიცებოდა:

— ბლაშველ, შენ ღმერთი ხარ ჩემი.

ბლაშველმა ჰკითხა:

— რას იზამ, ჭავორიტ, მე რომ აღარ მიყვარდე?

— მე? — შეპყვირა ჭავორიტმა, — მაგას ნუ გამავონებ, ხუმ- რობითაც კი ნუღარ იტყვი! შენ რომ აღარ გიყვარდე, გავა- ფორდებოდი. მოვგარდებოდი და დაგკაწრავდი, დაგგლეჯდი,

წყალში ჩაგაგდებდი! დაგაჭერინებდი!

ბლაშველის თავმოყვარეობას თითქო ულიტინა ამ სიტ- ყვებმაო, კმაყოფილება დაეტყო.

ჭავორიტი მაინც თავისას იძახდა:

— იქნება გეგონოს, დაგინდო? ყელს გამოგლადრი, შე ურცხო, საძაგელო, საზიზლარო!

ბლაშველს მეტი აღარ შეეძლო: თავმომწონეო მიესვენა სავარძელზედ და თვალი დახუჭა. ველარ გაეძლო ამოდენ სი- ყვირულისთვის.

დალიას პირში ლუკმა ედო და ველარ ჩაყლაპა, ისე ჰკი- თხა ჭავორიტს:

— მაშ აგრე რაღა, კერპად გაგიხდია შენი ბლაშველი?

— კერპად კი არა! ჭირიეითა მძაგს, — მიუგო ჭავორიტმა იმავე კილოთი და ჩანგალს სტაცა ხელი. იცი, — რა კრიუანგია? თუ მართალი გინდა, მე ის მიყვარს, ჩვენ პირდაპირ რომ დგას. მეტად მოხდენილი ყმაწვილი კაცია; განა არ იცნობ? შეხედავ თუ არა, მაშინვე იტყვი, აქტიორი უნდა იყოსო. რომ იცოდე, როგორ მიყვარს აქტიორები. მივა თუ არა საწყალი ბიჭი შინა, წუწუნს დაიწყებს იმისი დედა: — ახლა კი დავი დუბე, ყურებს გამომაცლის ყვირილითო! და მართლაც ერთს წამს არ დააყენებს ენას: დადის, დადის და სულ ლექ- სებს ამბობს და სულ მღერის. დედა-ჩემი არ შევაწუხოო, ხან ბანზედ ავარდება, ხან საკუჭნაოში შეიმალება ხან სარდაფუში

და მოსთქვამს! დღეში ათ შაურს იღებს, მგონი, მწერლად არის ვიღაც აბლაკატთან. მამაც მგალობელი ჰყოლია წმინდა იაკობის ეკკლესიაში. რომ იცოდე, რა კოხტა რამ არის, რა მშვენივრად მღერის! ამას წინად სახამებელს ვადულებლი, დახეული მქონდა ხელთათმანი; თვალი შემასწრო და მითხრა; ნებას მიბოძებთ, თქვენს ხელს თუ ვერა, ხელთათმანს მაინც ვერთხვით! მარტო არტისტს შეუძლიან ამისთანა მოსაწრებული სიტყვა სთქვას. ქერუბიმივით ლამაზია, ის გასა-წყვეტი და ლამის გამაგრუას. მაგრამ ეგ არაფერო. ბლაშველს მაინც თავისას არ ვაკლებ და—გაღმერთებ-მეთქი—ვეუბნები. ასეა, ჩემო სიცოცხლევ, ხან-და-ხან თუ ტყუილიც არ ჩავუჩიეთ, ვამწარდება სიყვარული.

— ძალიან მოწყენილი ვარ, დალია, ძალიან.—განაგრძო ჭაეორიტმა—მთელი ზაფხული წვიმდა, ქარი ჰეროდა, ბლაშველი წუწურაქობდა, სისირით გამხეთქა, გენაცყალეთ! ძალიან მოწყენილი ვარ; კარაქიც გაძვირდა. ეგეც რომ არ იყოს, რა იყო, რომ აქაც ლოგინი არა ყოფილიყო, ამ თახში! ლოგინის დანახვა სიკვდილია ჩემი, სიკვდილი!

### სიბრძნე ტოლოშიესი

ზოგნი მღეროდნენ, ზოგნი ლაპარაკობდნენ, ყველანი ერთად და სხა მაღლივ. ერთმანეთისა აღარა ეყურებოდათ-რა, რაღაც ურიამული იდგა ოთახში. ტოლომიე ჩაერია და შეჰვირა:

— ენას აღვირი, ბატონებო: ნუ აჩქარდება და ნურც ყველას წამოროშავს, რაც წვერზედ მოადგება. თუ გნებავთ, მკერმეტყველნი ბრძანლებოდეთ, გონებას დაუმორჩილეთ ენა. მეტისმეტი იმპროვიზაცია ისე დაგიცარიელებთ გოგრას; თითქო შიგ ქარნი ჰერიანო. ლუდი რომ დაიქცევა, ქაფს ვეღარ მოიკიდებს, მაშ ნელად, ბატონებრა. ხამს ქეიფი დიდებული,

სმა ტკბილი, შემაქცევარი. რას ესწრაფებით, რას ეწაფებით, გემოს ველარ გაიღებთ! მოიგონეთ გაზაფხული; აჩქარდება და შერცხვება: გაიყინება. აჩქარებული მებალე ყოველთვის და-ლუპულია: ნააღრევი მინდაო, ნაგვიანევსაც ჰკარგავს. აჩქარე-ბა მკელელია ქეიფის და დროს გატარებისა. დასამტკიცებლად ამისა, ისიცა კმარა, რომ გრიმი დელა რეინიერი სრული თა-ნახმაა ტალეირანისა...

მიყრუებული დრტვინვა გაისმა წრეში.

— ტოლომიე, თავი დაგვანებე, რა დროს ქადაგებაა.

— სიკედილი მტარვალს! შეჰყვირა ჭამეილმა.

— ბომბარდას, ყუმბარდა და ყუმბარაც მოუხდება! დაიძახა ლისტოლიემ.

— კვირა ქეიფისაა!

— ჯერ ფხიზლები ვართ, ნუ გეშინიან!

— ოლიმპიურს ჩემს სიმშვიდეს ვერ ხედავ, ტოლომიე?

ჰკითხა ბლაშეელმა.

— ნამდეილი მარყიზი ხარ, — სიტყვა მოუჭრა ტოლო-მიემ.

მარკიზ მონკალმი მეცის მოხხრე იყო.

ყველანი ჩაჩუმდნენ, თითქო ჭაობს ქვა მოხვდა და ბაყა-ყები ჩაჩუმაო.

— მეგობრებო, — დაიშუო ტოლომიემ და კილოზედ ეტყო-ბოდა, რომ კვლავ ხელთ ეგდო მართებლობა. — რა ძალიან იუკადრისეთ ეკ შედარება. მახვილი სიტყვა ცის შეილია და აგრე გულჩათხრობილნი როგორ შეჰყურებთ? ელვასავით სწრა-ფია, იელვებს და გაჰქრება. მაგრამ განა ყველა კარგია და მართ-ლა მოსწრებული? ხშირად ტლან ქზედ ტლან ქია, გონების გა-ნავალი. მიჰქრის, მიფრინავს გონება და იხვის კვერცხივით სცვიეა ხუმრობა და სისულელე. ზოგი ვის ხედება და ზოგი ვის. არწივსაც მოხვდება ტლაპო. განა მალლა ცაში ნავარდს შეუშლის? ის კი არ ბრძანოთ, შეურაცყოფა მიაყენა მოსწრე-ბულ სიტყვასათ. ღმერთმა დამიფაროს. დიდს, მაგრამ ღირსე-ულ ჰატივსა ვცემ და მეტს კი არა. ვინც კი მოიპოვება კაცო-

ბრიობაში და იქნება კაცობრიობის გარეითადაც, უდიდებულესი და ბრძენთა უბრძნესი, ყველას უყვარდა მოსწრებული, მახვილი სიტყვა, ზმა, სიტყვის თამაში და კუდის მობმა. იქსო ქრისტემ კლდედ გახადა წმ. პეტრე; მოსემ ისააკს გამოაბა კუდი, ესხილმა—პოლინიკს, კლეოპატრემ—ოქტავს. ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კლეოპატრესაგან ოქტავზედ ხუმრობა სწორედ აქტიუმის ბრძოლის წინ იყო და უამისოდ დღეს ხსენებაც აღარ იქნებოდა ქალაქ ტორინისა, რაიკა ნიშნავს ბერძნულად ქოთანში მოგროვებას. რაკი ეს დავამტკიცე, ისევ წელანდელს საგანს დავუბრუნდები. ვიმეორებ, ძანო და მევობარნო, ნუ აჩქარდებით, ნუ აშლებით, ტყის პანტასავით ნუ წამომაყრით სიტყვას გულმჭრელსა და ტლანქსა. მომისმინეთ ამფირაოსივით ბრძენს და კეისარივით მელოტს. ყველაფერს სამძღვარი უნდა ჰქონდეს. *Est modus in rebus.* დიალ, სადილიაც კი ბოლო უნდა ჰქონდეს. ვაშლის ქადა ძალიან გიყერთ, ქალებო, მაგრამ ნურც ძალიან მიჰყვებით თქვენს ხიყვარულს. ვაშლის ქადა ხომ ვაშლის ქადაა და, თუ ხელოვნება და თავშეკავება აკლია, გროშადაც აღარა ლირს. გაუმაძლრობა დასჯის გაუმაძლარს, და კულა თუ არა, ჯიხვი—ლოთს. მოუნელებლობას დაავალა ყოვლად ძლიერმა ლმერთმა, სტომაქს ზნეობრივი ცხოვრება აწავლეო. ჰო და იცოდეთ, ყოველს ჩვენს სურვილს და ენებას, თვით სიყვარულსაც კი, თავისი სტომაქი აქვს და ვაი იმისი ბრალი, ვინც ძალიან გაავსებს. ყოველს გრძნობას და სურვილს დროზედ უნდა დაუდოთ ბოლო, დროზედ უნდა შეაყენოთ, დროზედ კლიტე უნდა დაადვათ თქვენს მადას, დროზედ ციხეში უნდა დაამწყვდიოთ თქვენი ოცნება, და მუქში შეკუმშოთ თქვენი გული. ბრძენი ის არის, ვისაც შეუძლიან წინ გადაუდგეს და ტყვედ წაიყვანოს თავს თავით. ენდეთ ლმერთს, მე სისულელეს არა მოგახსენებთ. არა, აქაო და სასამართლო ჭაკულტეტი გაათავაო, —მეც. არ მჯეროდა, მაგრამ ეგზამენებმა დამარწმუნეს—აქაო და მსწავლულთ წინაშე წარსდგა, ლათინურად მოახსენა და დიცვა მოხსენება შესახებ წამებისა, რომელიც ხმარებაში იყო რამში იმ

დროს, როდესაც კვესტორად მუნიციუს დემენტი ბრძანდებოდა; აქამ და, როგორც გამიგონია, მართლ-მსაჯულების დოქტორი უნდა გახდესო, განა სრულიად გამოტვინებული უნდა ვიყო? განა ზემორე მიყვანილს სამს წინადაღებას უთუთდ და უთუთ ის დასკვნა მოსდევს, რომ ტოლომიე გაგიუდა, გასულელდა, გაბრიყვდა და გაბედასლდა? პო და მაშ მენდეთ და ზომიერ იყავნთ სურვილთა შინა თქვენთა. როგორც ის არის მართალი და ჰეშმარიტი, რომ მე ჭელიქს ტოლომიეს მექახიან, ისევე ის არის მართალი; რომ მე კარგად ვამბობ ჩემს სიტყვას. ნეტარ არც კაცი, რომელი, რა დაპკრავს უაში, სულლასავით გმირებრ მოიქცევა და შესძლებს უარყოფას. ორიგენი...

ჭავორიტი სმენად იყო გადაქცეული.

— ჭელიქს, — შეაწყვევეტინა სიტყვა ჭავორიტმა, — რა ლა-მაზი სახელი ჰქიანთ. ძალიან მიყვარს ეგ სახელი. ლათინური სიტყვაა და პროსპერს ნიშნავს.

ტოლომიემ განაგრძო:

— კვირიტნო, ჯენტლმენნო, კაბალლერნო, მეგობარნო! გინდათ, ისე განვლოთ თქვენნი დლენი, რომ სიყვარულის ნე-სტარს არ დააკოდვინოთ გული და ქორწინება აიცდინოთ? ამაზედ ადვილი არაფერია. აი უებარი წამალი: ნურც რასა სკამთ, ნურც სვამთ, დიდ-მარხვა დაიყენეთ; ზურგით ქვა ზი-დეთ, ლოდი, ხელით კლდე და ანგრიეთ. იარეთ და ირბინეთ, სულ ოფლში გაიწურეთ და ძილს თავი არ მისცეთ, თუნდა თავიც გაგისქდეთ. ერთი ნამცეცი პური და ზედ სამი ქიშმიში. და როდესაც მოგწყურდეთ, სალბის ჩაი მოხარშეთ. ცივწყა-ლში იბანავეთ, ობილს ჭირსავით ერიდეთ; ლამე ხმელზედ და წექით, წელზედ ციფი დაიდეთ. გვარჯილა გამოხარშეთ, ზედ დაძექით პირქვე...

— მე გოგო მირჩევნიან, დაუძახა ლისტოლიემ.

— გოგო, ესე იგი ქალი! ჩამოართვა სიტყვა ტოლომიემ. ქალს ერიდეთ. ვაი იმსა, ვინც გაზაფხულის დარივით დაუდ-გროშელს ქალის გულს მიენდობა! ქალი — ლალატია და ცეცხლი.

ქალი სატანაა და სატანა იმიტომ ეჯავრება, რომ ქიშპობას უწევს. სატანა, აგრ ას დუქანია, პირდაპირ რომ ჩანს...

— ტოლომიე, — შეჰყვირა ბლაშველმა, — მთვრალი ხარ, ძამია!

— კუუა დამიშლიდა? ჰეითხა ტოლომიემ.

— მაშ გამხიარულდი!

— დიდი მხიარულებით! მიუგო ტოლომიემ

ჭიჭა გაიგსო და წამოდგა:

— დიდება შენდა, ღვინოო! nunc te, Bacche canam!\*)

ბოლიშს ვიხდი, ქალებო, ესპანიური გახლავთ. დასამტკიცებლად ამისა, Senoras, იმას მოვახსენებთ, რომ ნათქვამია, როგორიც ერთო, ისეთი ქვეყრიო! კასტილელის ფრალაში ოქებ-სმეტი ჩარექი ჩადის, ალიკანტელისაში — თორმეტი, კანარელი-საში — ოცდა ხუთი, და რუსეთის მეფის პეტრესაში — ოცდა ათი. მაშ გაუმარჯოს რუსეთის მეფეს პეტრეს, რომელიც დიდი იყო, და გაუმარჯოს იშის ფიალას, რომელიც დიდზედ დიდი იყო ერთი მეგობრული რჩევა, ქალებო: თუ გულით გინ-დთ, გადავვრიეთ ერთმანეთში სიუვარული პეტელა უნდა იყოს, რომ ერთ წამზედ მეტს არ ჩერდებოდეს ყველილზედ. კრუხი ხომ არა გგონიათ, რომ დაჯდეს და ხავსი მოიკიდოს. დღეს აქ არის, ხვალე სხვაგან, ყველგან სიტყბოებას სტოვებს; თუ ათა და დამჟავდება, გამწახდება, გამწარდება. იცათ, ქალებო, მე ყველანი მიუვარხართ, ოთხივ გულში მიზიხართ. ოჲ ზეჭ-ნ, ოჲ უოზეჭინ, მჩეარივით დაკეულეტილო. ლამაზი იქნებოდი, რომ არ იღმანჟებოდე. არ ვიცი, რა მოვსვლია: ყველაფრით შემკული ხარ, მაგრამ შემცდარა ვიღაც... და მაინც სულში მიზიხარ. რაც შეეხება ჭავორიტს, ოჲ მუხანო და ღმერთნო ოლიმპისანო! ერთხელ ბლაშველი წყლის პირად იყო და ლა-მაზი ქალის ფეხს მოჰკრა თვალი, პაწაწკინტელა ფეხს, პატარა და ცუგრუმელა ქალისას. და მას შემდეგ ფეხებეშ გაეკო იმ ფეხს ბლაშველი და შეიყვარა იმ ფეხის პატრონი ჭოვორი-

\*) ლათინური — ახლა შენ გიგალობ, ბახუსო.

ტი. კეშმარიტად იონიური ბაგე გაქვს, ოპ, ჭავორიტ. ერთი მხატვარი იყო საბერძნეთში, ეუჭორიონი, რომელსაც ბაგეთა მხატვარს უწოდებდნენ. მარტო ოდენ იგი ბერძნი თუ შეიძლებდა ბაგეთა შენთა დახატვას. იცოდე, შენამდე არსად ყოფილა ღირსი შენის სახელისა. შენ იმისთვის შეუქმნიხარ ღმერთს, რომ ვენერასავით მიიღო ვაშლი, ან ვეასავით ჩაკბი-ჩო იგი. მშვენიერება და სიტურუ შენგან იწყობა. ევა ვას-სენე, მგონი; ევა შენ გააჩინე. რომ შემეძლოს ჯილდოს გიძ-ლვნით ლამაზთაგან ულამაზესს და სატრფოთაგან უსატრფო-ესს. ოპ, ჭავორიტ! ახლა კი თქვენობით მოგახსენებთ, რადგან პოეზიდგან პროზაში მინდა გადავტოპო. წელან ჩემს სახელ-ზედ ბრძანეთ რალაცა; გმაღლობთ, მაგრამ ვინც უნდა ვიყვ-ნეთ, ნუ ვენდობით სახელებს. სახელი მატყუარია. ჭელიქსად \*) ვიწოდები, მაგრამ ბედნიერი კი არა ვარ. მაშასადამე სტყუის სახელი და ნუ დავუჯერებთ. ყველა კი ბრძენი არ არის ბერძე-ნი. დალია-ქალო, მე რომ ვიყო თქვენს ალაგას, ვარდად ვი-წოდებოდი! ვარდს სუნნელოვანება უნდა ამშვენებდეს და ლა-მაზს ქალს გონება. ჭანტინისას არას ვიტყვი: სულ რალაცას ოცნებობს, ლანდით გატაცებული. ფიქრობს და სხვაგან დაჟ-ქრის შორს ჩენენგან მისი სული. ჭანტინი ხორცუშესხმული ადა-მიანი კი არ გეგონოთ: ლანდია, მშვენიერების გარეგნობით და მოლოზნის მორცხვობით შემკული. საწყალს გზა არევია და ჩვენში ჩარეული, მაგრამ სულით კი სხვაგან არის. ჩვენგან თავის დასახსნელად ოცნებას ემონება, მღერის, ლოცულობს, ნანობს და ინანიებს, ზეცას შესკერის, და არც კი იცის, რას ხედავს, ან რას შვრება; თვალი ცისკენ აქვს, თითონ ბალშია და უფრო მეტს ფრინველს ხედავს, ვიდრე ღმერთს გაუჩენია. ეს იცო-დე ჩემგან, ჭანტინ: მე, ჭელიქს ტოლომიე, ოცნება ვარ და მოჩ-ვენება. მაგრამ არც კი მისმენს, ოცნების შვილი! გაზაფხულის დი-ლაა, სამოთხის ნეტარება, მაისის ვარდისამებრ ტურფა, სუნნელო-ვანი. ჭანტინი რომ არ ერქვას, მარგალიტს ვუწოდებდი, იას,

\*) ჭელიქსი—ბედნიერს ნიშნავს.

ვარდს გაუფურჩქვნელს! ერთი რჩევა კიდევჭ, ქალებო: არამცდა  
არამც არ გათხოვდეთ. გათხოვება-მყნობაა, ხან იხარებს და ხან  
ვერა. უფრო ხშირად ვერა ხარობს. მაშ გაფთხილდით, ერიდეთ...  
მაგრამ რას ეჩმახავ? ვის ეყურება ჩემი? ყველა ქალს ერთი გა-  
ნუკურნელი სენი სჭირს—გათხოვების სურვილი. და რაც უნდა  
ვურჩიოთ ჩვენ, მეცნიერებით აღჭურვილებმა, ქალს მაინც მში-  
ერ ქათაშსვით გათხოვება ელანდება და უბრალო მკერვალი  
თვალ-მარგალიტის პატრონს ნატრობს ქმრად. აგრე იყოს,  
ოლონდ ეს დაიხსოვეთ, ჩემო ლამაზნო: ძალიან ბევრს ტკბილს  
მიირთმევთ. ერთად ერთი წუნი გვირთ, ქალებო, სიტკბოებით  
ვერ გამაძლარხართ. ისე ახრამუნებთ ყველაფერს, რასაც კი  
ხელთ იგდებდ, ისე აკნატუნებთ, რომ ძვალსაც კი ველარ  
იპოვნის პატრონი. ჰო და იცოდეთ, შაქარი მარილია, ყოველი  
მარილი გამშრობია სისხლისა და ყველა მარილზედ მეტად  
შაქარი გაგიშრობთ სისხლს. სისხლის სითხეს ისე სწოვს, რო-  
გორ თქვენ ჩვენ ჯიბესა. სისხლსა სწოვს, სისხლს ადედებს,  
ახმობს და უძრავად ჰყოფს. აქედან მომდინარეობს კლექი  
ფილტვისა და ჯიბისა, აქედანვე მომდინარეობს სიკედილი და  
განშორება. მაშასადამე აგრე ხარბად ნუ აკნატუნებთ შაქარს  
და დიღხანს იცოცხლებთ. ახლა ამ ყმაწვილებს მიემართავ.  
გაიმარჯვეთ, ყმაწვილებო! ერთი ერთმანეთს წაართვით საყვარ-  
ლები და გაიხარეთ. არას შესცოდებთ, მერწმუნეთ, და თქვენც  
გაიხარებთ და წართმეულნიც. ფართოდ გაშალეთ ბადე, შორს  
გადისროლეთ. სიყვარულმა მეგობრობისა არა იცის-რა. ხაცდ  
ლამაზ ქალსა ვნახავ, ციხედ მიმაჩნს ასაღებად და მის პატრო-  
ნი—ვაჟკაცი მტრად მოსისხლედ, დაუნდობლად. ბრძოლას  
ვუწყებ, ბრძოლას გაშმაგებულსა! იმიტომ, რომ... რა არის ლა-  
მაზი ქალი, თუ არა casus belli \*)? გადახედეთ ისტორიას. ყო-  
ველივე ომი და ხალხთა შორის შებრძოლება ლამაზი ქალისა-  
გამო იყო და იქნება. ქალი უფლებაა კაცისა. რომაელმა საბი-  
ნელებს მოსტაცია ქალები, გილიომმა—საქსონელებს, კეიისირმა-

\*) მიზეზი ომისა.

რომაელებს. ვაუკაცს საყვარელი უნდა. თუ არა და გახელებული დაძრწის და ისე უვლის სხვის საყვარლებს, როგორც ქორი მტრედის გუნდს. მე რომ მყითხოთ, ნაპოლეონის პროკლამაციის სიტყვებით მივმართავდი ყველა კაცს, რომელიც ქვრივად დადის, უბედურად. გახსოვთ ეს სიტყვები: „ჯარის-კაცნო! თქვენ ყოველივე ვაკლიათ. მტერს ყოველივე აქვს“..

ტოლომიე შეჩერდა.

— აღარ ამოისუნთქვავ, ვაუო! — დაუყვირა ბლაშველმა.

და იმავე დროს ბლაშველმა, ლისტოლიემ და ჭამეილმა სიმღერა დასძახეს. ერთი იმ ლექსთაგანი, რომელსაც ქარხანაში სთხზავენ მუშები; უაზრო, როგორადაც ხის ტოტის რხევა დი ქარის გრიალი; ჩიბუხის ბოლოვით აღვილად ქმნილი და ბოლივითვე სწრაფ წარმავალი. აი რა ლექსით უპასუხეს ყმა-წვილებმა ტოლომიეს მცევრმეტყველებას:

ბერმა — ინდოურებმა  
მრავლად გაიღეს ფული,  
რომ კლერმონის მთა ჰაპად  
ყოფილიყო დასმული.  
მთას ჰაპად კინ დასკამდა:  
ბერად არ შემდგარიყო?.  
ფული ფულად დახარჯეს  
და სირცებილი სხვა იყო.

იმისთანა არ იყო ეს ლექსი, რომ ტოლომიეს იმპროვიზაცია შეეწყვიტა. ჭიჭა დასკალა, კილევ გაივსო და დაიწყო.

— შორს ჩვენგან ნიბრძნევ! დაივიწყეთ ყოველივე, რაც მოგახსენეთ. რა ჩვენი საქმეა სიფრთხილე, სიფხიზლე და ზომიერება! გაუმარჯოს ქეიფს, დროს გატარებას! გაუმარჯვოს მხიარულებას! გამხიარულდით, სტუმარნო! მართლ-მსაჯულება არას გვარგია — რომ შევისწავლეთ, ვიცით რაც არის, — თუ ღვინით და ქეიფით არ შევასეთ მის ნაკლულევანებანი. მოუნელებ-

ლობასაც მოინელებს კაცი. უუსტინიანი \*) მამალი იყოს და ქეიფი დედალი! ქუდი ჰერსა ეკრათ, ყმაწვილებო! სიცოცხლე—საქეიფოდ მოუნიკებია. უფალს! ქვეყანა. მარგალიტია, ობოლი მარგალიტი. ბელნიერი ვარ! ფრინველთ შეხედეთ, როგორ სტკებიან სიცოცხლით! გაუმარჯვოს სიყმიწვილეს და გაზაფხულს! გიუმარჯვოს იმ მოხდენილ გოგონებს, რომელიც ბავშვებს ახლავან და ბავშვებს გააჩენენ! პარიზში რომ არ ვიყო, ლამაზი ქალით უხეში, პამპასში წავიდოდი; ერთი უყურეთ, როგორ ხარობს ბუნება! ერთი გაკოცო ჭან-ტინ!

თავი მოიტყუვა და ჭივორიტს აკოცა.

## vii

## ცხენის წაჭევნა.

— ედონთან უფრო კარგად ვისადილებდით, წამოიძახა ზეჭინმა.

— მე ბომბარდა მირჩევნიან,—სთქვა ბლაშველმა. აქ უფრო მდიდარია ყოველივე. ქვემო დარბაზში ნახეთ, რა საგანგებო ხილი იყო?

— ჩემს თევზედ ყოფილიყო, ის მერჩივნა—წამოიძროლა ჭოვორიტმა.

ბლაშველი თავისას არ იშლითდა:

— აბა დანებს უყურეთ: აქ ეერცხლის ტარიანი დანებია და ედონისას კი ძელისა. და რაღვან ვერცხლი უფრო ძვირია, ვიდრე ძეალი...

— ყოველთვის არა, ჩემო კარგო,—შვაწყვეტინა ტოლომიერი. —მთელი ქვეყნის ვერცხლში არ მივცემ ლამაზი ქალის ნიკაპს.

\*) უუსტინიანის—(587—565) დროს შესდგა ტრაქტარი კანონის-მდგბლობისა, რომლითაც ხელმძღვანელობდა მთელი ევროპა.

ამ დროს ფანჯარიდგან ქალაქს გადასცემდა ტოლო-  
მიე.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

— ტოლომიე! — დაუყვირა ჭამეილმა, — დიდი კამათი გვქო-  
ნდა ეს არის ეხლა მე და ლისტოლიეს.

— კარგი კამათი კარგია, მაგრამ ჩხუბი უკეთესია.

— ფილოსოფიაზედ ვლაპარაკობდით.

— გიშველათ ღმერთმა.

— ვინ გირჩევნიან, დეკარტი თუ სპინოზა?

— ქეიფი. — უთხრა ტოლომიემ.

რაკი ასე ბრძნულად გადასჭრა ფილოსოფიური კითხვა,  
ერთი ჭიქა კიდევ გადაჰკრა და სთქვა:

— მე სიცოცხლის წინააღმდეგი არა ვარ! სისულელის  
ჩბახვას ნურავინ დამიშლის, თორემ, თუნდა მათუსაილის ხანა-  
მდე ვიცოცხლებ. ამით მომწონან უკვდავნი ღმერთნი! სისუ-  
ლელეს სიცილი მოსდევს, დამტკიცებას — იჭვი. სილლოგიზმი-  
დან\*) მოულოდნელი გადმოსჩეფს. მშვენიერებაც ეს არის. ლეთის  
მადლით ჯერ კიდევ მოიპოვებიან ქვეყნად მამაცნი, რომელნიც  
თავისუფლად და მხიარულად აღებნ და ჰკეტენ პარადოქსის\*\*)  
კოლოფს. ეს ლვინო, ქალბატონებო, თქვენ რომ აგრე შეექ-  
ცევით, მადლის ლვინო გახლავთ, კურალ და ჭრეირისა, რო-  
მელიც ზლვის პირიდან სამას ჩვიდმეტი გოჯის სიმაღლეზედ  
მდებარებს. და ბატონი ბომბარდა, უბრწყინვალესი რესტორა-  
ტორი, მანეთ ნახევრად გაძლევთ სამას ჩვიდმეტ გოჯს.

ჭამეილმა კიდევ შეაწყვეტინა სიტყვა;

— ტოლომიე, კანონია შენი აზრი. ვინ არის შენი საყ-  
ვარელი ავტორი?

— მამაჩემი.

— რაო? მე იმისი არა წამიკითხავს-რა.

\*) ორი წინადაღება და მათგან გამოშავალი დასკვნა.

\*\*) აზრი წინააღმდეგი ლოგიკის და საზოგადოდ მიღებულ შეხედუ-  
ლებისა.

— როგორ არა, „ჭელიქს ტოლომიე“ ეწოდება. დედი-ჩემის გამოცემული გახლავთ ეს თხზულება.

და ისევ თავისი დაიწყო:

— გაუმარჯოს ბომბარდას! ელეფანტელ მუნიცის გადა-აჭარბებდა, მცეკვავი ქალები რომ ჰყოლოდა, და ხერონელ ტრიგელლიონს, როსკიპები რომ შეენახა. დიაღ, ქალებო, ბომბარდები საბერძნეთში და ეგვიპტეშიც გახლდნენ. ამას აპულე გვასწავლის. ეს, რას იზავთ, ყოველთვის იგივეა ქვეყანა და ახალს არას წარმოედგენს. რაც იცოდა, სულ გამოსცა ლმერთმა, გამოუცემელი აღარა დარჩა-რა. მზის ქვეშ ახალი არაფერიაო, ბრძანა სოლომონ ბრძენმა. და სიყვარულიც კი ძეველის ძეველიაო, დაუმატა ვირგილმა. დღევანდელი პა-რიზელი ნავში ჩაისვამს სიყვარულით მოვაჭრე ქალს სწორედ ისევე, როგორც პერიკლი ჩაისვა ხომალდში ასპაზია. ერთი სიტყვა კიდევ, უკანასკნელი. მოგეხსენებათ, ქალებო, ეინ იყო ასპაზია? თუმცა იმ დროს ცხოვრებდა, როდესაც ქალებს ჯერ სული არ ედგათ, ძლიერი სული იყო; ვარდის ფერი, მოწი-თანო სული, ნაკვერცხალივით გაჩაღებული და უფრო ნორჩი, ვიდრე ცისკარი“ ასპაზიას შეერთებინა ორი შეუხამებელი თვი-სება ქალისა: კახპაც იყო და ლმერთიც. სოკრატი იყო ბრძენი და თან მანონ ლესკო.\*)

ტოლომიეს ვიღა შეაჩერებდა, ამ დროს ქუჩაში ცხენი რომ არ წაქცეულიყო. ცხენის დაცემაზედ ერთად შესდგნენ ეტლი და ორატორი. ჭავი ცხენი იყო, გადაბერებული და გა-მხდარი. ეტლს დიდი ტვირთი ედო. ბომბარდას დუქანს რომ მოაწია, დაღალულმა და ნაცემმა, უეღარ შესძლო ტვირთის ზიდვა და დადგა. გარს ხალხი შემოეხვია. გაბრაზებულმა მე-ეტლებ ძლიეს-და მოასწრო ცხენის პატრონისთვის შეეკურთ-ხებინა, ძლივსლა მოასწრო ერთი კიდევ გადაეკრა მათრახი,

\*) უნამუსო ქალი, ამავე სახელით წოდებულის რომანის გმირი.

რომ უკვე წაიქცა და ხრიალი დაიწყო. ხალხის ხმაურობაზედ ტოლომიეს მსმენელები ფანჯარისკენ გაექანნენ და თავისი მჰევრმეტყველება ამ მოწყენილი ლექსით დამთავრა დვინით შეხურებულმა ტულუზელმა:

წვა-დაგვაში გაატარა საბრალომ თავისი დონი,  
დღე და დამე ტვირთი ზიდა, ტვირთი მძიმე და დიდონი;  
არც აქმევდნენ, არც ასმევდნენ, ვეღარ მოვიდა ქონი,  
სიკვდილის დონის მათრახი სცეს და შეუგინეს პატრონი.

— საწყალი ცხენი, ამოიოხჩა ჭანტინმა.

დალიამ იუკხოვა ეს სიბრალული:

— გენაცვალეთ, ეხლავ ტირილს დაიწყებს. ბარემ გადი  
და დაიტირე! რა სულელია, ღმერთო!

ამ დროს გულხელი დაიკრიბა ჭავორიტმა, თავი სავარ-  
ძელზედ გადადო, დააშტერდა ტოლომიეს და ჰკითხა:

— მართლა! ჩვენი საჩუქარი?

— სწორეთ დროზედ მომავალეთ. — მიუგო ტოლო-  
მიემ. — ყმაწეილებო, დაპურა უამა აღსასრულისამ. დრო არის,  
დაპირებული შევუსრულოთ. ერთ წამს მოგვითმინეთ, ქალე-  
ბო.

— საქმე კოცნით იწყება, სთქვა ბლაშველმა.

— შუბლზედ კოცნით, გაუსწორა ტოლომიემ.

ყმაწეილებმა დალონებით დაუკოცნეს შუბლი თავიანთ  
საყვარლებს. მერმე კარებისკენ გაემართნენ, ერთი ერთშანერთის  
უკან, ტუჩებზედ თითმიდებულნი და გარეთ გავიდნენ.

ჭავორიტმა ტაში დაპურა.

— რა კარგია, გენაცვალეთ! ნეტავი რას გვიმზადებენ?

— ძალიან ნუ დაიგვიანებთ, დაუძახა ჭანტინმა. ხომ  
იცით, რა მოუთმენლად გელით.

## viii

## ქეთის დასასრული.

მარტო რომ დარჩნენ ქალები, ფანჯრებთან მივიღნენ, ლაპარაკობდნენ, ჭიკიკებდნენ, ერთი ფანჯარიდგან მეორისკენ მიეშურებოდნენ.

ბომბარდას დუქნიდან გასული თავიანთ საყვარლები დაინახეს; ხელი ხელს გაეყარათ და ისე მიდიოდნენ. მობრუნდნენ, ალერსიანი სალამი უძლვნეს და ისინიც იმ მტკრიან ხალხს შეერივნენ, რომელიც ყოველ კვირა დღე ავსებს ელისეს მინდორს.

— ნუ დაიგვიანებთ! დაუყვირა ჭანტინმა.

— ნეტავ, რას მოგვიტანენ? იკითხა ზეჭინმა.

— საგანგებო რამ იქნება, დარწმუნებული გარ, სთქვა დალიამ.

— საგანგებო იქნება, თუ ოქროსი იქნება, დაასკვნა ჭავორიტმა.

მერმე წყალს დაუწყეს მზერა, და იმაში გაერთონენ. ხის ტოტები ჰაფარავდა, მაგრამ აქა-იქა მაინც მოჩანდა მდინარე. გარდა ამისა ფოსტისა და ომნიბუსების წასვლის ტრო იყო ლაწამ და უწუმ ჩამოივლიდა ხოლმე უზარმაზარი, ბარგითა და ხალხით გამოტენილი, ტლანქი ეტლი; კორიანტელს აყენებდა უმისოდაც ამტკვერებულ გზაზედ და გრიილს და თქარა-თქურს უმატებდა პოსეირნეთა ხმაურობას. ეს ხმაურობა და ხალხის უივილ-ხივილი მეტად მოსწონდათ ქალებს.

— ჩა ხმაურობაა, გენაცვალეთ! წამოიძახა ჭავორიტმა, ყურთა-სმენა აღარ არის.

ცოტა მოშორებით ხეებს უკან თდნავ გაარჩიეს ქალებში, რომ ერთ წამს შეჩერდა ომნიბუსი და მერმე ისევ გზას გაუდგა. ჭანტინს გაუკვირდა:

— საკვირველია, ღმერთმანი! მე კი დარწმუნებული ვიყავ, რომ უალაგოდ არსად გაჩერდებოდა ომნიბუსი.

ჭავორიტმა შხრები აიჩინა:

— საკვირველი შენა ხარ, ჩემო კარგო! იმისთანა უბრალო გაგაკვირვებს ხოლმე, თითქო სააქაოს არ ეკუთვნოდე. წარმოიდგინე, რომ მგზავრი ვარ და მეეტლეს ვუთხარ: წინ წავალ, და ბულვარზედ დაგხვდები. ბულვარზედ ამოვიდა, დამინახა თუ არა, გააჩერა ცხენები, და ჩამსვა. უბრალო რამ გახლავთ, ყოველდღე ხდება ეს ამბავი და შენ კი ისე გაიკვირვე, თითქო ქვეყანა დანგრეულიყოს. ცხოვრებისა არა იცირა, ჩემო კარგო.

კარგა ხანმა განვლო. ჭავორიტი ჩაფიქრებული იყო. მერმე უცბად, თითქო საშინელი წარმოუდგა რამეო, შეხტა და წამიდახა:

— რა ვქნა, რა იქნა საჩუქარი?

— მართლა ქა! მთელი წლის წინად ალთქმული საჩუქარი? — დაუმატა დალიამ.

— ძალიან კი დაიგვიანეს და! — ჩივოდა ჭანტინი.

ის იყო ამოთხერა ჭანტინმა, რომ მსახური შემოვიდა, რომელიც სიდილზედ ემსახურებოდათ. ხელში რაღაც ეჭირა, თითქო წერილიაო.

— რა არის ეგ? — ჰკითხა ჭავორიტმა.

მსახურმა უპასუხა:

— ქალალდი გახლავთ. იმ ბატონებმა დასტოვეს და მიბრანეს თქვენთვის მომერთმია.

— და რატომ მაშინვე არ მოგვართვით?

— იმიტომ, რომ მიბრძანეს, ერთს საათზედ ადრე არ მიართვაო.

ჭავორიტმა ხელიდან გამოგლიჯა წერილი.

— ადრესი როდი აწერია, ქალებო! მოითმინეთ, მოითმინეთ, რაღაც სწერია ზედ:

და ჩგენა საჩუქარი.

სწრაფად გადახია. და წაიკითხა:

„ოჰ, ჩვენო საყვარლებო!

იცოდეთ, რომ ჩვენ მშობლები გვყაეს. თქვენ კარგად არ გესმით, რა არის მშობლები. მშობლებს საზოგადოებრივ, მამა-შვილურ და პატიოსნებრივ კანონმდებლობით დედას და მამას უწოდებენ. პო-და კვენესიან და გოლებენ ჩვენი მშობლები, შინ გვეპატიუებიან, შინ გვეძახიან; დაბერებულან და ერთხელ კიდევ უნდათ თავიანთი უძლები. შვილის ნახვა. მოდით, შვილო, შინ დაბრუნდით, მოხუცებულობა დაგვიტკბეთ და ამოდენი ხნის ნატვრა აგვისრულეთო. ჩვენც უნდა დავემორჩილოთ, რადგან აღსავსენი ვართ სათნოებით. თქვენ რომ ამ წიგნის კითხვას შეუდგებით, ჩვენ უკვე შორს ვიქნებით, ხუთი მძლავრი ცხენით გატაცებულნი ჩვენი დედ-მამისკენ. წასვლა სჯობს წამავალისაო, ბრძანა მეცნიერმა. მივდივართ, უკვე წასული ვართ! ტულუზში მიმავალი ომნიბუსის წყალობით და-ვახწიეთ თავი უფსკრულს და უფსკრული თქვენა ხართ, ჩვენო კოკინბო ვარდებო! უცნაური სისწრაფით მივქროლავთ, რათა შევულგეთ საზოგადოებრივს, წესიერს და პატიოსან ცხოვრებას. სამშობლოს დასჭირებია ჩვენი სამსახური და ჩვენც სხვე-ბივით, ზოგი ვექილად წავალთ, ზოგი მსაჯულად, ოჯახის შვი-ლად და წერილშვილის მამად. თაყვანი ეცით ჩვენ თავგანწირუ-ლებას. სამშობლოს საკურთხეველზედ დაგვიდვია თავნი ჩვენნი მსხვერპლად. მალე გამოგვიტარეთ და უფრო მალე მოგვიძებ-ნეთ მოადგილენი. თუ გაჯავრდეთ, ჯავრი ამ წერილზედ ამო-იყარეთ და ნაკუზ-ნაკუზად აქციეთ. მშვიდობით!

თქვენი ბლაშველი.

ჭამეილი.

ლისტოლიე.

ჭელიქს ტოლომე.

P. S. სადილის ფული მიცემულია“.

ერთმანეთს შეხედეს ქალებმა.

ჭავორიტი პირველი მოვიდა გრძნობაზედ:

— პო და რა, საჩუქარი არ არის თუ?!

— უცნაური საჩუქარია! სთქვა ზეჭინმა.

— თუნდა დავითიცავ, ბლაშველისა უნდა იყოს ეს აზრი; სთქვა ჭავორიტმა. — როდი მეგონა, რომ ასეთი მოხერხებული იქნებოდა. ეხლა ამივარდა იმ წუწკის სიყვარული, როცა წა-  
ვიდა, როგორ მოგწონთ, ქა!

— არა, არა! იძახდა დალია; ტოლომიეს ვერა სცნობთ? ტოლომიეს აზრია!

— მაშ თუ აგრეა, — მიუგო ჭავორიტმა, სიკვდილი ბლა-  
შველს და გაუმარჯოს ტოლომიეს!

— გაუმარჯოს ტოლომიეს! შეჰყვირეს დალიამ და ზე-  
ჭინმა.

და გულინად კისკისი დაიწყეს.

ჭანტინიც იცინოდა, როგორადაც სხვები.

ერთი საათის შემდეგ, შინ რომ მივიდა, ტირილი წასკდა. პირველი იყო ეს სიყვარული. ტოლომიეს ისე შეხვდა, რო-  
გორც ლვთისგან კურთხეულს მეუღლეს და საწყალ ქალს შეი-  
ლი ჰყავდა.

დგ. მაჭაგარიანი

(შემდეგი იქნება)



# პატარა ეიოლფი

პოემისა სამ მოქმედებად

ჰენრიხ იგსენისა

მესამე მოქმედება

ალმერის ბაღია. დაბალ ჭავნარით დაფარული ქედობი  
მოსჩანს. უკანიდგინ, ბალიუსტრადის ბოლოში, ზღვაზედ  
წემომართული გადასკარდინა მოსჩანს. ბალიუსტრადის  
გვერდით მაღალი წერილი ხე მოსჩანს უბაირალოდ. ბა-  
ლიუსტრადას მარცხნივ ტეის ჩასვალი აქვს. წინ მოს-  
ჩანს მარჯვნივ სეივანში ფანჩატური (ძესჭავა) გარეულ  
უურმენით და ბარდით დაფარული. ფანჩატურის წინ  
სკაბი სდგას. ზაფხულის ხაული საღამოა. ბინდია.

ასტა სკაბზედა ზის და სელები მესლის თავზედ გა-  
დევდარადისებათ. შლიაპითა და კოფორი არის, საგზაო  
ბარგზებანა აქვს მსარჩედ თასმით გადაგდებული; გილ-  
დით ქოლგა უდევს. მარცხნივ ბორგჟეიმი შემოდის; ესეც  
საგზაოდ არის მოზადებული. ხელში დაგეცილი ბარალი  
უჭირავს.

ბორპეიმა (ასტას ორმ დაინასავი). აი, თურმე სად დამალულ-  
ხარ?

ასტა. ამ სანახაობით უკანასკნელადა ვსტკბები.

ბორგჟეიმი. რა კარგად მომიხდა, რომ აქეთ წამოვედი.

1) იხ. „მოაშშე“ № VI. 1901 წ.

ასტა. როგორ, მეძებლით?

ბორგჭეამი. დიალ, მინდოდა გამოგმშეიდობებიყვავთ, ან არა-  
და „მშეიდობით“! მაინც მეთქვა. იმედი მაქვს, ერთ-  
მანეთს კიდევ მალე ვნახავთ.

ასტა (ოდნავ იღიმება). გეტუობათ, მტკიცე სიტყვისა და  
ხასიათის პატრონი უნდა იყოთ.

ბორგჭეამი. უთუოდაც რომ უნდა იყოს ასეთის თვისებისა  
გზების გამყვანი.

ასტა. ალფრედი, ან რიტა ხომ არ გინახავთ?

ბორგჭეამი. ორივე ვნახე.

ასტა. ერთადა?

ბორგჭეამი. არა, ცალკ-ცალკე.

ასტა. ამ ბაირალს რას უპირებთ?

ბორგჭეამი. ქ-ნმა ალმერსმა მთხოვა, რომ ნახევრად გაშლილი  
იყოს. მას ჰერის დღე და ღამ ეს ბაირალი აქ იყოს  
ამართული.

ასტა (ამთახვრით). საბრალო რიტა! საცოდავი ალფრედ!

ბორგჭეამი (ბაირალს გაშლის). როგორ, განა შეგიძლიანთ  
ასეთის მწუხარების დროს ამათ თავი დაანებოთ.  
როგორცა გხედავთ, თქვენ საგზაო ტანისამოსი გა-  
ცვიათ.

ასტა (სმას დაადაბლებს). უნდა წავიდე.

ბორგჭეამი. რასაკვირველია, თუ-კი ეს თქვენთვის საჭიროა..

ასტა. დღეს ტალამოთი ხომ თქვენც მოდიხართ.

ბორგჭეამი. მეც მეჩეარება, დიალ. მე რკინის გზით მიედივარ.  
თქვენ?

ასტა. მე გემით.

ბორგჭეამი (ძალიან აკვარდება). მაშ აგრე, უველა თავისს გზით  
წავა?

ასტა. დიალ.

(ასტა თვალს ადეგნებს, ბაირალს ბორგჭეამი როგო-  
რა შლის. როდესაც გაათავებს, ბორგჭეამთან მიგა.

ბორგჭეიმი. ვერ წარმოიღენთ, ქ-ნო ასტა, პატარა ეიოლ-ფის სიკედილი როგორა მწყინს.

ასტა. ეგ მეც ვიცი.

ბორგჭეიმი. უფრო-კი იმიტომ მემშიმება, რომ მწუხარება ხასიათად არა მაქვს...

ასტა (ბაირალს შეხედავს). მაგრამ დრო ყველას შესჭამს, ყოველგვარს მწუხარებას.

ბორგჭეიმი. აგრე გგონიათ?

ასტა. როგორც ქარი ლრუბლებს, ისე გაჰფანტავს ხოლმე. აი, ჰაბავთ, როდესაც წახვალოთ...

ბორგჭეიმი. მაშ თუ აგრეა, ძალიან შორს საღმე უნდა წავსულიყავი.

ასტა. ამასთანაც სამუშაო დიდი გაქვთ,—ხუმრობა საქმეა განა გზის გაყვანაზ..

ბორგჭეიმი. მართალია... მაგრამ ისეთი არავინა შეავს... რომ...

ასტა. არა! ნუ თუ არავინ?

ბორგჭეიმი (თავს აქნევს). არავინ, რომელსაც შეეძლოს ჩემი სიმხიარულე გაიზიაროს. ოპ, რა ძნელია ეს, რომ იცოდეთ.

ასტა. ჩემის ფიქრით-კი, ერთის კაცისაგან მწუხარებისა და სხვა გაჭირვებათა გამოცდა უფრო ძნელია.

ბორგჭეიმი. არა! მაგას ერთიც მოუელის.

ასტა. მაშ, თქვენის აზრით, მხოლოდ სიმხიარულეს სჭირია გაზიარება?

ბორგჭეიმი. უამისოდ ხომ სიმხიარულეში არავითარი ბეღნიერება არ იქნებოდა.

ასტა. იქნება, მართლაც, არა სცდებოდეთ.

ბორგჭეიმი. რასაკვირველია, რამდენსამე ხანს კიდევ შეიძლება დაჰფაროს კაცია თვისი სიხარული, მაგრამ დიდხანს-კი შეუძლებელია; ადამიანს ძალა ვერ შესწევს. არა, არა, სიხარული მხოლოდ ორთა შუაა კარგი.

ასტა. მხოლოდ ორისათვის არის კარგი, განა? და არა ბევრისათვის, არა?

**ბორგჭეამი.** კმარა, თქვენ სულ სხვაზედ დაიწყეთ ლაპარაკი.

იფიქრეთ, ქ-ნო ასტა, ნუ-თუ არასოდეს არ ისურვებთ და არ გარდასწყვეტო, თქვენი მწუხარება და სიხარული სხვასაც განუჩიაროთ... შრომა და მეტა-დინეობა ერთ ადამიანთან გაიზიაროთ?

**ასტა.** როდისლაც ვცალე, ვგონებ.

**ბორგჭეამი.** თქვენ?

**ასტა.** დიალ! ეს მაშინ იყო, როდესაც მე და ჩემი ძმა... ალფრედი ვცხოვრებდით ერთად.

**ბორგჭეამი.** თქვენი ძმა... ეგ სულ სხვა არის... ამნაირს ცხოვ-რებას უფრო სიმშვიდე და კმაყოფილება ექმნებოდა შედეგად, ვიდრე ბელნიერება.

**ასტა.** ორივ ერთია, ოჯ რა კარგი იყო ის ცხოვრება!

**ბორგჭეამი.** ი, ჰელდავთ? თუ ძმასთან ცხოვრება გეჩვენათ აგრე საუცხოვოდ, წარმოიდგინეთ, რომ... ძმის მაგივრად სხვა ვინმე ყოფილიყო და უფრო დაახლოვებული!

**ასტა** (როგორც მისი მისხვა-მოსკრა ამტკიცებს, ჭისურს წამოდგეს მაგრამ ისევ თავის ადგილას დარჩება). იმ შემთხვევაში ჩვენ ერთად არ ვაცხოვრებდით. მაშინ მე სრულიად პატარა ვიყავ და ალფრედიც ბავშვი იყო.

**ბორგჭეამი** (მცირე ჰაუზის შემდგომ). მაშ კარგი დრო იყო ის ღრო, ჰა?

**ასტა.** ოჯ, ძალიან!

**ბორგჭეამი.** მაგრამ რაღა იყო ისეთი კარგი, ისეთი ბედნიერი?

**ასტა.** ბევრი-რამ.

**ბორგჭეამი.** მიამბეთ, ქ-ნო ასტა!

**ასტა.** ერთი შესანიშნავი არა ყოფილა - რა; სულ უბრა-ლო-რამ.

**ბორგჭეამი.** სულ ერთია. მაინც, მაგალითად, რა იყო?

**ასტა.** მაგალითად, ეგზამენების შემდეგ გატარებული დრო! ეგზამენები ალფრედმა მშვენიერად დაიჭირა. მერე სასწავლებლებში გაკვეთილები იშოვნა, ან, მაგალითად,

მაგონდება და ვსიამოვნება, როგორ სწერდა, მუშა-  
ობდა და თავის ჩაწერს მიკითხავდა, რომელიც მალე  
რომელსამე უურნალში დაიბეჭდებოდა ხოლმე.

**ბორგჭეიმა.** დიალ, დიალ, მესმის. რასაკვირველია, ეს იყო მშვი-  
ლი, სასიამოვნო ცხოვრება. და-ძმა თავის სიხარულს  
ერთი მეორეს უზიარებდა (თავს აქნევს). მხოლოდ  
ერთი ვერ გამიგია, ძმამ თავი როგორ დაგანებათ,  
ასტა!

**ასტა** (ჭისურს შეკრთმა დაფაროს). ალფრედმა ცოლი შე-  
ირთო.

**ბორგჭეიმა.** მერე, ეს გარემოება არ გემძიმათ?

**ასტა.** პირველად, დიალ. ასე მეგონა სამუდამოდ დავკარ-  
გე-მეოქი-

**ბორგჭეიმა.** საბეღნიეროდ, ეს არ გამართლდა, არა?

**ასტა.** დიალ.

**ბორგჭეიმა.** მაინც ვერ გამიგია, ცოლი როგორ შეირთო,  
როდესაც შეეძლო თქვენ არავისათვის დაენებებინეთ  
**ასტა.** (ჭის, ცის დასავალს თვალს უშტკრებს). ჩემის აზ-  
რით, ის ევოლიუციის კანონს დაემორჩილა.

**ბორგჭეიმა.** ეგ რა-ლა არის?

**ასტა.** ასე ეძახის ალფრედი.

**ბორგჭეიმა.** აი, უგუნური კანონი! ამ კანონისა მე სრულიად  
არა მჯერა-რა.

**ასტა.** თავის დროზედ უნებურად დაიჯერებთ.

**ბორგჭეიმა.** არასოდეს! (დაუინგხათ). კმარა, ასტა, გონი შემო-  
იქრიბეთ... ამ უამაღ მაინც. ხომ იცით, რაზედაც  
ვამბობ.

**ასტა.** (ცოცხლად). არა, არა, ამაზედ ლაპარაკს თავი დავა-  
ნებოთ.

**ბორგჭეიმა.** პირიქით, ვილაპარაკოთ, ასტა. ასე ადვილად არ  
მოგეხსნებით. ეხლა თქვენს ძმას ყველა აქვს, რაც  
კი რამ ჰსურდა. თქვენ იმისთვის საჭირო იღარი ხა-  
რთ. თქვენს დაშორებას არაფრად იჩინევს. მმ ერთმა

გარემოებამ ხომ სრულიად შესცვალა მის სახლ-  
თან თქვენი დამოკიდებულება.

**ასტა** (შემქრთალი შეხტება). ვითომ რა გინდათ სთქვათ?  
ბორგჭებიმი. მე ბაეშვის სიკედილზედ ვამბობ. თქვენ რა გეგო-  
ნათ?

**ასტა** (დამშვიდდება). ჰო, მართლა. პატარა, ეიოლფი ხომ  
აღარ არის.

ბორგჭებიმი. მაშ რაღა გიზიდავთ აქ? საბრალო ბაეშვს თქვენი  
ზრუნვა აღარ სჭირია, აღარავითარი მოეალეობა,  
აღარავითარი ზრუნვა, ვინც უნდა იყოს...

**ასტა.** თუ ლმერთი გრწამს, ბორგჭეიმ, კმარა!

ბორგჭებიმი. არა. მე უგუნური ვიქნებოდი, რომ ყოველივე,  
რაც-კი შემიძლიან, არ ეილონო, რომ დაგარწმუნოთ.  
ამ დღეებში ქალაქიდან წავალ, იქნება ამის მეტად  
ველარც-კი გნახოთ ქალაქში. კარგა ხანს დავრჩები  
იქ. და მინამდის-კი, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს.

**ასტა.** (ოდნავ იღიმება). მაგრამ ერთს გეტყვით, გეშინიანთ  
„ევოლიუციის კანონისა“?

ბორგჭებიმი. სწორე უნდა გითხრათ, არა (მწარედ იღიმება). და  
აქ ხომ შესაცვლელიც არა არის რა. პირდაპირ გა-  
ტყობთ, რომ თქვენში არავითარი თანაგრძნობა არ  
მოიძებნება.

**ასტა.** თქვენვე იცით, რომ აგრეა.

ბორგჭებიმი. იმოდენად კარგად არა, როგორც მსურს ეიცოდე  
(გაფსარებული). ოჯ, ლმერთო, რასაც თქვენა სჩადი-  
ხართ, ასტა, ეს ხომ უგუნურობია! იქნება ჩვენის  
სიცოცხლის ბეღნიერება. სწორედ ამაშია და ჩვენ კი  
ასე ფუჭად ვატარებთ. დროს! არ ვინანებთ, ასტა?

**ასტა.** (დამშვიდდებულად). არ ვიცი. ჯერჯერობით შამნც  
უნდა ჩვენი ტკბილი ოცნება სრულიად დატოვოთ.

ბორგჭებიმი (მღელეკარგბას. იმაგრებს და ასტას შეჭურების). ასე  
მაშ, ახალი გზაც მარტომ უნდა გავიყვანო.

ასტა (ფიცხად). ოკ, რომ შემეძლოს მოგეშველოთ! შრომა  
შეგიძლებუქოთ! თქვენთან ერთად გავიზიარო უოვე-  
ლივე სიხარული...

ბორგჭეამი. მოისურვებდით კი, რომ შეგეძლოთ?  
ასტა. რასაკვირველია.

ბორგჭეამი. მაგრამ არ შეგიძლიანთ?

ასტა (ძირს იცემორება). თანახმა ხართ, მხოლოდ ნახევრად  
ვიყო თქვენი?

ბორგჭეამი. არა. მე მსურს მთლად ჩემი იყოთ.

ასტა (მშვიდობანად შესცემის). მაშ თუ აგრეა, არ შემი-  
ძლიან.

ბორგჭეამი. მაშ, მშეიღობით, მ-მე ასტა (გასვლას აპირებს).

ალმერსი (მარცხნივ შემოდის. ტყისაგენ ჰირს იძრუებს და ხეი-  
ვანზედ უთითებს). რიტა აქ არის?

ბორგჭეამი. არა, აქ მარტო ქ-ნი ასტაა (ალმერსი მიგა).

ასტა (მიეგებება). თუ გინდა, ჩავალ და ამოვიყვან.

ალმერსი (ფიცხად). არა, არა, თუ ლმერთი გწამს, არა. (ბორგ-  
ჭეამს) ეს ბაირალი თქვენ გაშალეთ?

ბორგჭეამი. დიალ, ქ-ნის ალმერსის თხოვნით. ამისათვის ამო-  
ვედი აქ.

ალმერსი. თქვენ უთუოდ დღეს ჰუიქრობთ წასვლას?

ბორგჭეამი. დიალ. სალამოზედ უთუოდ.

ალმერსი (ასტას შექსედავს). თუ არა ვცდები, სასიამოვნო  
მგზავრთან, არა?

ბორგჭეამი. არა, მარტოდ მივდივარ.

ალმერსი. მარტლა, მარტოდ?

ბორგჭეამი. დიალ, მარტოდ-მარტო უნდა ვიცხოვრო, „გან-  
ცალკევებულად.

ალმერსი. არა, მარტოობა საზარელია. ფიქრი რა არის, მარ-  
ტოობაზედ ფიქრის დროსაც კი კანკალი მიტანს.

ასტა. მაგრამ შენ ხომ მარტოდ არა ხარ, ალფრედ?

ალმერსი. მერე ვინ იცის, იქნება ეს უფრო მესაზარლება.

- ასტა.** (ნაღვლიანად). ოპ, კმარა, ალფრედ, ამაზედ ლაპარაკი, ფიქრი!...
- ალმერსი** (უურს არ უგდებს). მაგრამ თუ არ... არ მისდიხარ.... თუ არაფერი გაბრკოლებს? რატომ არ გინდა, რომ ჩემთან დარჩე... რიტასთან?
- ასტა.** (შეწუხებული). არ შემიძლიან. ქალაქში ვეშურები... უნდა.
- ალმერსი.** მხოლოდ ქალაქში. სხვაგან არა, განა, ასტა?
- ასტა.** კარგი, ავრე იყოს.
- ალმერსი.** მომეც პირობა, რომ ქალაქიდან მალე გამობრუნდები; სიტყვას მაძლევ?
- ასტა.** არა, არა, ჯერ ეერ მოგცემ მაგის პირობას.
- ალმერსი.** მაშ კარგი. როგორც იცოდე. ქალაქში ხომ ვნახავთ ერთმანეთს.
- ასტა** (მუდარის კილოთი). არა, ალფრედ, შენ შინ დარჩენა გირჩევნია, რიტასთან!
- ალმერსი** (ასტას უურს არ უგდებს. ბორგჰემს). იქნება თქვენთვის უკეთესიც არის, რომ ჯერ მეგობარი არა გყავთ?
- ბორგჰემი.** რას ამბობთ? როგორ შეიძლება.
- ალმერსი.** თქვენ ხომ არ იცით, შეიძლება გზაზედა ჰნახოთ ვინმე...
- ასტა** (უნებურად). ალფრედ!
- ალმერსი.** ერთი სიტყვით, ნამდვილს თანამგზავრს იპოვით. მაშინ გვიან-ლა იქნება. ძალიან გვიან.
- ასტა** (დაბალისა და აკანქალებულის ხმით). ალფრედ! ალფრედ!
- ალმერსი** (ხან ერთსა და ხან მეორეს შეჭურებს). ეს რასა ჰნიშნავს? ვერა გამიგია-რა...
- (მარცხნივ რიტა შემოდის)
- რიტა** (გულ-დაწუკატილად). რა არის, ყველამ თავი დამანებეთ?

- ასტა.** (მიუგებება). შენვე არ მოინდომე მარტოდ დარჩენა...  
**რიტა.** მართალია. მაგრამ მეშინიან... ამ სიბელისგან გუ-  
 ლი მეხუთება. აი, ბავშვის ღიღრონი თვალები თით-  
 ქოს თვალ-წინ მიღა, მომშტრერებიან!
- ასტა** (წენარად და სიბრალულით). თუნდაც რომ აგრე იყოს,  
 რა არის, რიტა, აქ საშიში?
- რიტა.** რას ამბობ? როგორ თუ რა არის საშიში?
- ალმერისა��** (ხელით). ასტა! გევეღრები, რიტასთან დარჩი!
- რიტა.** დიალ, დიალ! ჩემთან და ალფრედთან დარჩი, გემუ-  
 დარები, ასტა!
- ასტა** (მდელვარებას გბომვის). ოჟ, როგორ გულითა მსურს!
- რიტა.** დარჩი, აქა, მაშ! მე და ალფრედი მწუხარებას ვე-  
 რაფრით მოვინელებთ!
- ალმერისა��** (დაღურუმილი). უკეთესია სთქვა, რომ სინიდისის შეი-  
 ლებას ვერ გავუძლებთ.
- რიტა.** როგორც გინდა სთქვი და ჩვენ კი მარტონი ვერ  
 გავუძლებთ. ყური დამიღდე, ასტა! დარჩი ჩვენთან!  
 ვითომ ეიოლფის მაგიერი ხარ.
- ასტა** (უკან დაიწევს). ეიოლფისა?
- რიტა.** კარგი იქნება, არა, ალფრედ?
- ალმერისა��.** თუ ჰსურს და შეუძლიან, დიალაც.
- რიტა.** ერთხელ ხომ პატარა ეიოლფისაც-კი ეძახდი ასტას.  
 (ასტას სეჭს დაუჭირს). „ჩვენი“ ეიოლფი გახდი,  
 ასტა, ისევე, როგორც წინად იყავი.
- ალმერისა��** (დაფარულის მდელვარებით). დარჩი ჩვენთან, ასტა, და  
 მე—შენს ძმას და რიტას სიცოცხლე გაგვიზიარე.
- ასტა** (უცხად გარდასწევერავს და სეჭს გამოსტაცებას). არა,  
 არ შემიძლიან (ბორგეჭიმს მიუბრუნდება). გემი როდის  
 გადის?
- ბორგეჭიმი.** მალე გავა.
- ასტა.** მაშ დორა წავიდე. ხომ არ გამომაცილებთ?
- ბორგეჭიმი** (თავშეგავებულის სისარულით). ოჟ დიალაც! გაგა-  
 ცილებთ!

- ასტა. წავიღეთ.
- რიტა. ოპო, მაშ ჩვენთან დარჩენა არ შეგიძლიან!
- ასტა (კისერზედ ჩამოვეკიდება). გმალობბ; რიტა, მაგ ალერ-სისთვის! (მივა ალფრედთან და ხელს დაუჭირს). მშვი-დობით, ალფრედ, მშვიდობით, მშვიდობით!
- ალმერსი (თავზარდაცემული, ღდნავის ხმით). ეს რასა პნიშნავს, ასტა? თითქოს გარბიხარ!
- ასტა (მღელვარებას იმაგრებას). დიალ, ალფრედ, სწორედ უნდა გავექცე აქაურობას!
- ალმერსი. გაექცე... იქნება მე?
- ასტა (ჩურჩულით). შენც და თვით ჩემს თავსაც.
- ალმერსი. (უფან დაიწევს). ააა!...
- (ასტა საჩქაროდ კიბეს ჩამიარბენს, ბორგჭეომი ჭედის ქნევით უკან მოსდევს. რიტა სეივანში საგრილობელს ბოძს მიჰყედებია. ალმერსი, საშინლად აღელვებული, ბალლიუსტრადასთან მივა და ძირს იცქირები. პაზზა).
- ალმერსი (უკან შემობრუნდება და რიტას ძლივს-და ერტყის). აგრე გემიც, უცქირე, რიტა.
- რიტა. მეშინიან, ვერ დავინახავ.
- ალმერსი. გეშინიან? რისა?
- რიტა. არ შემიძლიან დანახვა იმ წითელის, მწვანე თვალი-სა,—იმ ორის ცეცხლებზე მაკვესარ თვალისა!
- ალმერსი. ოპ, და არ იცი მერე, რომ ის ფარნებია გემისა?
- რიტა. არა, ისინი ჩემთვის თვალებია... წყვდიალის უფსკ-რულიდან გამომცერალი...
- ალმერსი. აგრე გემიც მივიღა.
- რიტა. სად გაჩერდა, ჰა?
- ალმერსი. სადა და ჩვეულებისამებრ ნავთ-სადგურში.
- რიტა. ეს იქ არის, არა... სადაც ეიოლფია!.. განა შეუძ-ლიან ხალხს იქ გადმოხტომა?
- ალმერსი. სიცოცხლე შეუბრალებელია, რიტა.
- რიტა. ხალხი უგულო. არასფერს ყურადღებას არ აქცევს. არც ცოცხლებსა და არც მკვდრებს.

**ადმერსი.** შენ მართალი ხარ. ცხოვრება ისე დინჯად მიღის თავისის წესითა და რიგით, ვითომ-და აქ არაფერი ამბავიაო.

**რიტა.** (შორს ცის კიდეს დააკვირდება). ხომ არა მომხდარა-რა. მაშ სხეს რაში ეკითხება ჩვენი მწუხარება!

**ადმერსი.** (ისევე წმუხარება შეაპყრობს). დიალ, რიტა, რისთვისა ჰშობე ტანჯვით იგი ქვეყანაზედა? განა იმიტომ, რომ გამქრალიყო და თავისს შემდეგ არაფითარი ნიშანი არ დაეტოვებინა?

**რიტა.** ამ ნიშანად ჩვენ მხოლოდ იმისი ჯოხი-ლა შეგვრჩა.

**ადმერსი.** ოხ, ნუ მოიგონებ! ამ სიტყვის გაფონებაც კი აღარ მინდა.

**რიტა.** (მწუხარებით). როგორც კი წარმოვიდგენ, რომ შვილი დავკარგეთ!

**ადმერსი.** (მწარე და ცივი კილოთი). შენ ხომ უიმისობას კარგად იტანდი ჯერ მაშინაც კი, როცა ცოცხალი იყო. ხშირად მთელის კვირაობით არ ინახულებდი ხოლმე.

**რიტა.** სამაგიეროდ ეიცოდი ის, რომ, როდესაც კი მოვისურებდი, ვნახავდი.

**ადმერსი.** საქმეც ეგ არის, რომ იმ მცირე დროთიც კი ვერ ვისარგებლეთ, სანამ პატარა ეიოლოფი ჩენთან იყო.

**რიტა.** (შეშინებული ყურს უგდებს). გესმის, ალფრედ! კიდევ ზარის ხმა!

**ადმერსი.** ეს გემზედ უკვრენ. გემი გასცურდა ნავთ-სადგური-დან.

**რიტა.** მაგრამ მე ხომ მართლა ზარზედ არ გელაპარაკები. მთელს დღე რაღაცა გამწიერი, — აი კიდევ!

**ადმერსი.** (რიტასთან მიერა). ეგ მხოლოდ გეჩვენება, რიტა.

**რიტა.** არა, მე ისე ნათლად, გარკვევით მესმის. თითქოს გლოვის ზარია. ჩუმი, მოსაწყენი... და სულ ერთი და იგივე სიტყვები.

**ადმერსი.** სიტყვები? რა სიტყვები?

- რიტა.** (გარჩევათ, მარცვლობით). ჯონი მო-ცურს, ჯონი მო-ცურს! უთუოდ შენც უნდა გესმოდეს!
- ალმერისა.** სრულიალაც არა მესმის-რა და ან კი რა უნდა შე-მომესმას, რაც არა არის-რა.
- რიტა.** შეგიძლიან რაც გსურს, ისა სთქვა, მაგრამ მე კი ძა-ლიან ნათლად მესმის.
- ალმერისა** (ავნის მოაჭირს გადაეუედება). აგერ გემიც დაიძრა, ქალაქისაკენ გასწია.
- რიტა.** საკვირველია, რომ არ გესმის! აგერ: ჯონი მო-ცურს, ჯონი მო-ცურს!
- ალმერისა** (რიტასთან მივა). კმარა, ყურს ნუ უგდებ, ეგ მხო-ლოდ გეჩენება. გესმის, ასტა და ბორგჰეიმი უკვე ნაპირს გასცდნენ, წავიდნენ-მეთქი!
- რიტა** (მოკრძალებით შესცექის). მაშ შენც წახეალ?
- ალმერისა.** რა გსურს სთქვა მაგით?
- რიტა.** ის, რომ შენც ხომ დას გაჰყვები უკან.
- ალმერისა.** ასტამ განა გითხრა რამე?
- რიტა.** არა. მავრამ შენეე მითხარი, რომ ჩვენის შეკავში-რების მიზეზი ასტას მზრუნველობა იყოო.
- ალმერისა.** შენ ხომ მუდამ იმასა სცდილობდი, რომ მაგრა და მაგრა ჩაგეგდე ხელში.
- რიტა.** ვახმე! აღარ ვარ ისე კარგი... მომხიბლველი. სიყ-ვარული გაჰქრა?
- ალმერისა.** მაგრამ იცოდე, ჩვენ ხომ ევოლიუციის კანონს და-ეემორჩილებოდით, ბოლოს უთუოდ ერთობასაც და-ვიცავდით.
- რიტა.** მეც-კი რაღაცა ცვლილებას ვატყობ ჩემს თავს. ეს ისეთი საზარელი გრძნობაა, ისე მტანჯველი!
- ალმერისა.** მტანჯველი?
- რიტა.** დიალ, თითქოს ორსულობის დაგვარია.
- ალმერისა.** იქნება უფრო სხვა რამეს გრძნობდე, განახლებას, ახალის ცხოვრების დაწყებას?

რიტა. დიალ, მაგრამ იქვე იმარხება ზელნიერება მთლიალ ჩე-  
მის სიცოცხლისა!

ალმერისი. ეგ დამარხვა და დაკარგვა-კი არ არის, შეძენაა.

რიტა (კწება ნად). ოპ სიტყვებო, სიტყვებო! ღმერთო ჩემო!  
ნუ დაგავიწყდება, რომ ჩენ მაინც მიწაზედ მცხო-  
ვრებნი, მიწის შეიღნი ვართ!

ალმერისი. აგრე არ არის: ნათესაობა, რიტა, ძველათგანვე ზე-  
ცასა და ზღვასთანვე გვაქვს!

რიტა. შენ შეიძლება გქონდეს, მაგრამ მე-კი—არა.

ალმერისი. შენცა, შენც. და იქმნება უფრო მეტადაც, ვიღრე  
გვონია.

რიტა (ერთიან ნაბიჯით ალმერის დაუხლოვდება). გესმის, ალ-  
ფრედ!—არ შეგიძლიან შენს. შრომას ხელმეორედ  
ხელი მიჰყო?

ალმერისი. შრომას, რომელიც ჭირივით გძულდა?

რიტა. დიალ, მე შემიძლიან უფლება მოგცე, რომ დღეის  
შემდეგ ორს გვეკუთნოდე—მე და შენს თხზულებათ.

ალმერისი. რა მიზეზია?

რიტა. მხოლოდ მისთეის, რომ ჩემთან დაგტოვო. ჩემთვის  
ესეცა კმარა.

ალმერისი. ახ, რიტა, მე სრულიად ვამოუსადეგარი ვარ, აღა-  
რაფერში არ დაგეხმარები.

რიტა. იქნებ სამაგიეროდ მე გიშველო.

ალმერისი. მუშაობაში?

რიტა. არა, სიცოცხლეში.

ალმერისი (თავს აქნევს). როგორც ვფიქრობ, იქ, წინ სიცოც-  
ლე აღარ მომელის.

რიტა. მაშ ამას მაინც ვიზამ, რომ ცხოვრებას გავუძლოთ  
როგორმე.

ალმერისი (სივრცეში გააუკება მოღუშედი). მე-კი იმ აზრისა ვარ,  
რომ გაყრა ორივესათვის საუკეთესოა.

რიტა (თვალებში აკვირდება). მაშ თუ აგრეა, სად უნდა წა-  
ხვიდე? ხსტასთან, რასაკვირველია.

ადმენსი. ასტასთან? არასოდეს.

რიტა. მაშ სად?

ადმენსი. მაღალ, მიუვალ მთებში, სადაც სრული მარტოობაა.

რიტა. მაშ მთებში? არა, ალფრედ, ეს მხოლოდ ოცნებაა! იქ, იმ მთებში, ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ.

ადმენსი. გული იქით მიმწევს.

რიტა. რატომ? სთქვი, ალფრედ!

ადმენსი. დაჯექი. რაღაცას ვიამბობ.

რიტა. მთებში უთუოდ რაღაც შეგემთხვა?

ადმენსი. დიალ.

რიტა. და მერე ჩვენ კი, მე და ასტას, დაგვიმალე ეს?

ადმენსი. დიალ.

რიტა. შენ მაინც მუდამ ასეთი დაფარული ხარ! კარგი რო-  
ლია ეგ.

ადმენსი. დაჯექი, ყველაფერს გეტუვი.

რიტა. კარგი, კარგი, სთქვი (ჩეივანის (ზესუდვეს) წინ ჯდება  
სკამზე).

ადმენსი. იქ, იმ უზარმაზარ მთის წვერებზედ, მე მარტოდ-მარ-  
ტო ვიყავი, ჩემ წინ გარდათხმული იყო მთის დიდი  
ტბა. უნდა ტბაში გამეცურა, მაგრამ შეუძლებელი  
იყო, —არსად ნავი, არსად ცოცხალი აღამიანი.

რიტა. მერე?

ადმენსი. ავდექი და მთის კალთის პირს გაეყევი ხევ-ხევ; მე-  
გონა, საღმე ხეობას ვიპოვნიდი და მეორე ნაპირას  
გავიღოდი.

რიტა. მერე, გზა აგებნა?

ადმენსი. დიალ, გზა დავკარგე. არც გზა საღმე იყო, არც ბი-  
ლიკი. მთელი დღე და ღამე დავდიოდი ასე და იმე-  
დიც სრულიად დავკარგე, თუ ოდესმე აღამიანთა  
ხილვას კვლავ ველირსებოდი.

რიტა. როგორ! ჩვენ ვეღარ გვნახავდი? ო, მე დარწმუნე-  
ბული ვარ, რომ მთლად შენი ფიქრი ჩეინთან იყო!

ადმენსი. არა.

რიტა. ნუ თუ არა?

ალმერსი. საოცარი კია, მაგრამ მე მეგონა, რომ უსაზღვროდ შორს იყავით ჩემზედ შენც, ეიოლფიც და ასტაც.

რიტა. მაშ რაღაზედ ფიქრობდი?

ალმერსი. რაზედ და არაფერზედ. მივდიოდი ასე ჩუმად, უზარ-მაზარ მთისა და ხევების პირად, გავყურებდი გარ-შემო არეს და მყუდროებისა, მოსვენების სიმშევ-ნიერითა და სიკვდილის ნეტარებითა ვტკბებოდი.

რიტა (წამისტება). ახ, მაგისთანა საზარელს სიტყვებს ნუ ამბობ!

ალმერსი. ამასა ვგრძნობდი, მაგრამ არავითარი შიში არ აღმ-ძერია. მეგონა, აი, ორნი მივდიგართ-მეოქი—მე და, ჩემი კეთილი მეგობარი, სიკვდილი. იმ წამად ეს რა-ლაც მეტად კარგად მეჩვენა. ჩენს ოჯახობაში მო-ხუცებამდის, ვგონებ, არავინ სუოცხლობს...

რიტა. კმარა, ალფრედ, გაჩუმდი! მადლობა ღმერთს, ხომ მშეიდობით დაბრუნდი.

ალმერსი. დიალ; უცბად საიდგანლაც ტბის მეორე ნაბირას გავჩნდი.

რიტა. მერე რამდენად საზარელი იქნებოდა, ალფრედ, შენ-თვის ის ღამე! არ გინდა მხოლოდ გამოტყდე?

ალმერსი. ის ღამე?.. ნამდვილი ზეშთაგონების ღამე იყო. და აი, სწორედ მაშინ გადავწყვიტე, იქიდან პირდაპირ სახლს, პატარა ეიოლფს დავუბრუნდი.

რიტა (დაბალის ხმით). მაგრამ გვიან-ლა.

ალმერსი. დიალ. როდესაც მისი ამხანავი შემოვიდა და წაი-ყვანა, მე სწორედ საშინლად შევწუხდი. და საში-შარი უფრო კა ის არის, რომ ჩენ არაფრის გარ-დაწყვეტა, არაფრის აღსრულება არ შეგვიძლიან. მიწა მეტად შეგვევარებია, რიტა!

რიტა (მხიარულის ქალოთი). ხომ მართლა აგრეა, ალფ-რედ! შენც მაგასვე ჰერძნობ (უახლოვდება). არა! ვიცხოვროთ მაშ ერთად, სადამდისაც-კი შეგვეძლება!

**ალმერსი** (შერებს შეიჩმუჩნიას). დიალ, ვიცოცხლოთ! ვიცოცხლოთ ამ ცალიერისა და უაზრო სიცოცხლით, სადაც მხოლოდ არარაობა, მწუხარება და ნაღველია ყველგან!

**რიტა** (მოწეუნილად). რა უბედური ვარ; ვიცი, მალე თუ თუ გვიან, თავს დამანებებ, ალფრედ. მე ამას კარგადა ვგრძნობ! თვალებში გატყობ! გატყობ, რომ ვანგშორდები!

**ალმერსი.** და სხვის მეგობრობით განა, სთქვი?

**რიტა.** არა, უფრო უარესია, რადგანაც ეს თავისუფალის სურვილით იქნება განზრახული; რადგანაც აქ, ჩემთან ცხოვრება არაობად, უაზროდ მიგაჩნია. მიპასუხე! მართალია, ხომ ასეა?

**ალმერსი** (ძალიან უკგირდება სახეში). მერე, თუნდაც აგრე იყოს?

(ძარიდგან საშინელი ხმაურობა და გაჯავარებული საჭარის ხმა მოისმის).

**რიტა.** წერა რა ხდება იქ? (დარკივდება). უთუოდ იპოვნეს. თორემ ნახავ!

**ალმერსი.** არა, მას ვერასოდეს ვერ იპოვნიან.

**რიტა.** ვითომ რატომ?

**ალმერსი** (აკან სცენაზე შემობრუნდება). ჩხუბია ჩვეულებრივად.

**რიტა.** ნაპირზედ?

**ალმერსი.** რასაკვირველია. ნამდვილი რომ სთქვას კაცმა, ეს სოფელი ამოსაგდებია. აგრე დამთვრალ-გაჭუეპილი კაცები მოვიდნენ და შვილებს ცემა დაუწყეს. გესმის, როგორა ლრიალებენ? დედები კიდევ შველასა და დახმარებას. ითხოვენ.

**რიტა.** მოდი, გავგზავნოთ ვინმე, რომ მიეშველოს, ჰა?

**ალმერსი** (გაცრისა და ბოროტის გაფოთი). მივაშველოთ იმათ: როდესაც მათ ეიოლეცი არ იხსენეს? არა! უკეთესია დაიღუპნენ, როგორც ჩენი ეიოლფი დაიღუპა!

**რიტა.** ო, ალფრედ, მაგას როგორ ამბობ!

ალმერსი. სხვაფრივ მოქუცევა არ შემიძლიან. ეს ძველი ქოხმა-  
სები მთლად ძირიანად უნდა გადითხაროს.

რიტა. მერე ამ საწყალს ხალხს რა მოელის?

ალმერსი. წაეთრენ, სადაც ჰსურდეთ.

რიტა. ბავშვები?

ალმერსი. კარგი-ერთი! რა საქმე გვაქვს, რა დაემართებათ?

რიტა. (დამშვიდებითა და საუკელურის კილოთი). როგორლაც  
მკაცრობას, სასტიკობას ეჩვევი, ალფრედ.

ალმერსი (ფიცხად). ამისი უფლება მაქვს, რომ სასტიკი ვიყო!  
ეს ჩემი ვალია!

რიტა. შენი მოვალეობა?

ალმერსი. დიალ, ჩემი მოვალეობაა ეიოლფის შესახებ.. საჭი-  
როა შური ვიძიო. იფიქრე, რიტა, და რაც გითხარი,  
დაიხსომე: დევ, რაკი წაგალ, ამ სოფლისა თუნდ ნი-  
შან-წყალიც ნულარ დარჩება.

რიტა. სად, სად მიხვალ!

ალმერსი. მაშინ შენს ცხოვრებას, სიცოცხლეს აზრი მაინც  
ექნება.

რიტა (გარდაწყვეტილის კილოთი). მართალი ხარ, მე უთუოდ  
რაიმე აზრი მჭირია. მაგრამ იცი, ხელს რას მოვკი-  
დებ შენ რომ წახვალ?

ალმერსი. რას?

რიტა (მძიმედ და გაბედვით). როგორც კი წახვალ, წავალ  
ზღვის პირად, მოვუყრი თავს ამ ცველა ლვთის ანა-  
ბრობაზედ დატოვებულს ბავშვებსა და აქ მოვიყეან.  
დიალ, სულ ცველას იმ გაუზრდელებსა და ცელ-  
ქებს.

ალმერსი. მერე რას იზამ?

რიტა. თან წამოვიყეან.

ალმერსი. როგორ, სახლში?

რიტა: მე აგრე მსურს. იმ დღიდან, როგორც კი წახვალ,  
ცველანი ამ სახლის შეილებსავით იქნებიან.

**ალმერსი** (აღელგებული). მაშ პატარა ეიოლფის ადგილი იმათ უნდა დაიჭირონ.

**რიტა.** დიალ, ჩვენის პატარა ეიოლფის ადგილი. ყველა ისინი მისს საპავშვი ოთახში იქმნებიან. მისს წიგნებს იკითხავენ, მისს სათამაშოებზედ თავს გაირთობენ და სადილზედაც მისს სკამზე რიგ-რიგით დასხდებიან.

**ალმერსი.** სწორედ რომ სისულელეა! მართლი რომ გითხრა და სანთლით რომ ვეძებო, ქვეყანაზედ შენს მეტა ვერავის ვიპოვნი, რომელსაც ყველა იმისი ჩადენა შეეძლება, რასაც შენ ამბობ.

**რიტა.** მერე რა უშავს!

**ალმერსი.** მაშ, თუ რასაც ამბობ, ხუმრობა არ არის, გამოვიტყდები, რომ გადაშენების გზას დასდგომიხარ,

**რიტა.** დიალ, ალფრედ, ძალიან გამოვიცვალე. და ეს შენის წყალობით მოხდა. საშინლად დაცალიერებულა-და ვგრძნობ სულს. და ად ამიტომა მსურს, რომ ეს ცალიერი ადგილი რასმეს დავაჭრინო, თუნდ სიყვარულის მხგავსს რასმეს.

**ალმერსი** (რამდენიმე წელით დაფიქრებული რიტას შეჰქერებს). ეგ კი მართალია, რომ ძალიან მცირე რამ გავაკეთეთ იმ საწყლებისათვის, რომლებიც აიქ, ძირსა, სცხოვ-რებენ.

**რიტა.** მათთვის სრულიად არ გვიზრუნია.

**ალმერსი.** ათასში ერთხელ თუ მოვიგონებდით ხოლმე!

**რიტა.** და მაშინაც უბედურებისათვის თანაგრძნობა არაფერ-ში აღმოგვიჩნია.

**ალმერსი.** მერე ისაც ჩვენ, რომლის ფულსაც ქათამიც არ დაე-კარება!

**რიტა.** ჩვენი ჯიბეტა და გულიც ორივე დახურული იყო მათთვის.

**ალმერსი** (თანხმობის წიშნად თავს უქნეს). ამიტომ საკუირუ-ლი სრულიადაც არა არის-რა, რომ არც ერთმა იმათ განმა თავს არ იდო და ეიოლფი დარჩობისაგან არ იხსნა.

- რიტა.** (სმის დაუმდაბლებს) მითხარ, ალფრედ, მართლა ღრმად  
დარწმუნებული ხარ, რომ ჩვენვე დავიგეთ ეს საზა-  
რელი მახე?
- ალმერისი** (შეშფოთებული). რიტა! ნუ-თუ კალევ ეჭვი გაქვს,  
რომ....
- რიტა.** კმარა, ჩვენ ხომ ისე მაგრად ვართ შეკავშირებულნი  
მიწასთან.
- ალმერისი:** კარგი, მითხარი ერთი, რა გსურს გააკეთო ამ უპა-  
ტრონო ბავშვებისათვის?
- რიტა.** პირველი იქნება ის, რომ ვეცდები, რაც შეიძლება,  
გავაძელნიერო, გაეაკეთილშობილო.
- ალმერისი.** თუ-კი ამას ასრულებ, მაშინ, მერწმუნე, ეიოლფის  
მოკლე სიცოცხლე ფუჭად ჩატარებული არ იქნება.
- რიტა.** და იმისს სიკეთილსაც თავისი აზრი ექმნება, არა?
- ალმერისი** (აკვარება რიტას). მაგრამ გახსოვდეს-კი, რიტა, რომ  
სიყვარული არ გამოქმედებს.
- რიტა.** არა. მაგრამ ჰო, ჯერ მართლა აგრეა.
- ალმერისი.** მერე რა, ვითომ რა იქნება?
- რიტა** (კითხვაზედ პირდაპირ არ უჰსებებს). „ადამიანის მო-  
ვალეობის შესახებ“ ძალიან ხშირად ელაპარაკებო-  
დი ხოლმე შენ ასტას.
- ალმერისი.** დიალ, იმ წიგნის შესახებ, რომელიც შენა გძულს.
- რიტა.** ჯერაც მძულს, ალფრედ, ის წიგნი, მაგრამ შენ ერ-  
თხელ ჩემთან ლაპარაკობდი იმ წიგნის შესახებ და  
ყურს გიგლებდი. ახლა მსურს იმ გზით ვიარო და  
სრულიად დამოუკიდებლად, როგორც-კი მოვახერხებ.
- ალმერისი** (თავს აქნევს). აქ, რახა კეირველია, ჩემი დაუთავებელი-  
თხზულება არაფერს შეაში უნდა იყოს...
- რიტა.** არა, მე მეორე მიზეზიცა მაქვს.
- ალმერისი.** აბა რომელი?
- რიტა** (ჩემად, მწესარე ღიძელლით). ჰედავ, მე მსურს ის  
დიდროვანი გახელილი ბავშვის თვალები როგორმე  
დავამშეიდო და დავაკმაყოფილო.

**ალმერისად** (ზარდაცემული შექტურებს). მე არ შემიძლიან... დაგე-  
ხმარო, რიტა?

**რიტა.** როგორც ისტრვებ!

**ალმერისად.** დიალ, თუ რომ დავრწმუნდები, რომ დაგეხმარები.

**რიტა** (ყოფილით). მაგრამ მაშინ ხომ აქ დარჩენა მოვიხდება.

**ალმერისად** (ხმა დაბლა). ნუ-თუ ვეცადო?

**რიტა** (ოდნავის სმით). დაალ, ალფრედ, ვეცადნეთ.... (სი-  
ჩუმება. შემდეგ ალმერისად მივა და ბაირადს სულ მაღლა  
ასწევს. რიტა უძრავად დგას სეიჭნის სახლდილობელ-  
თანა და თვალს ადგვნებს).

**ალმერისად** (აკან სცენაზედ შემიაბაზუნდება). დღეს ბევრი საქმე და  
სამუშაო გვაქვს, რიტა.

**რიტა.** აი პნახავ... დღეის იქით კვირა-უქმე დღით დასვენება  
მუშაობის შემდეგ რამდენად ტკბილი იქმნება.

**ალმერისად** (ალტაცებით გახარებული). იქმნება მაშინ სულთან ერთო-  
ბაც გვქონდეს; სულნი მკვდართა ეიხილოთ ხოლმე?..

**რიტა.** სულნი?

**ალმერისად** (ამავე ქალოთი). დიალ, იქნება ისინი, ვინც დაგვაკლ-  
დნენ, ჩვენთან იყვნენ ხოლმე...

**რიტა** (თაქ აქნევს). ჩვენი პატია ეიოლფი და შენი დიდი  
ეიოლფიც ხომ.

**ალმერისად.** ეგ ვინ იყის... იქნება ათასში ერთხელ იმათაც გა-  
გვიელვონ თვალ წინ.

**რიტა.** რას, რას უნდა მივაპყრა თვალი, ალფრედ?

**ალმერისად** (რიტას აგვარდება). ზეცას.

**რიტა** (თაქ უქნევს თანხმობის ნიშნად). დიალ, დიალ, ზეცას.

**ალმერისად.** ზეცას... თვალ მიუწვდონელს სიმაღლეს... ვარსკვ-  
ლავებს. ამ დიადს სიჩუმეს.

**რიტა** (ხელს გაუწიდის). გმაღლობ.

# გურია-აჭარა

მიზანის შენიშვნები

xxx

## მარატის-ხეობა

ფურტიოდან ოლადაურამდე. — ემინ-ეთენდი და აქაური მასპინძლობა. — მაწყვალთის ტყე. — იმერხევის საძოვრებზე. — ლეგენდა ბულა-გიორის ტბისა. — სოფ. კუტის-ჯარი. — შავი-ტბა. — შავშელები. — ქურთები. — სარი ჩაირი. — ბეგები. — მათი საადგილ-მამულო საქმე და ჩივილი. — ჯვარის წერა ქურთებისა. — ხირხათის ციხემდე. — თხილვანის ტყე. — ხირხათის ციხე. — სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილი. — თამარის ლეგენდა.

ფურტიოშივე წამოგვეწია ხულოს ნაწილის უფროსი ბ-ნი ალ. ბერიძე, რომელიც საზაფხულო საძოვრებზე მოდიოდა გლეხებ შორის საძოვრების გამო ატეხილ დავის. გასარჩევად და სამართლის გადასაწყვეტად. სოფლიდან დიღას გამოვედით. ერთის საათის სიარულის შემდეგ შევუდექით სხალთისწყლის ქვერელე მიმდინარე მარატისხევს. გზის ცალ-მხარეზე ისეთი ხრამები და უფსკრულებია, რომ მდინარე მკლავის სიმსხოდ მოსჩანს და მისი ხმა სუსტად-ლა ამოდის ზევით. გაჭირვებას ძალა დაუტანებია აქარლისათვის და ამ მისხლეტილ ხრამებშიაც სიმინდი დაუთესინებია. წყლის გაღმა მყიფედე ამართულ სერებზე, საცა-კი ერთი მტკაველი მოსწორო ადგილი უპოვნიათ, მერცხლის ბუდესავით სახლები მიუკოსებიათ აქა-იქ.

გზის მთელ მანძილზე მგზავრის საამოდ თავს დასცეკერის ტფვრი, რომელიც ერთმანეთში არეულ სხვა-და-სხვა ჯიშის ხე-

ებისაგან შესდგება. უფრო ხშირია: ლეკიხე, ვერხვი, დათვა-ფანჩარა, დაოვა-მსხალა, არყი, წყავი, შეერი, თელა, ციცალა, თხმელა და უხრავი. ეს უკანასკნელი გარეგნობით რცხილასა ჰგავს და იქერქება. რო გასთლით, ცოტა ხნის უკან წილდება. ისე კი მოშავოა. მის სიმაგრისა გამო, ურმის ლერძს ამ ხისას აკეთებენ, აგრეთვე ურო უხრავის არის ნაქები. ამ ხეს ოსმალურ სახელსაც ეძახიან — „დემურ-ყრან“ (რკინის გამტეხი). ამნაირი ტყე გრძელდება სოფელ ოლადაურამდე, რომელსაც ჩამოუდის მარატისხევის წყალი.

ფურტიოდან პირველი სოფელი ოლადაურა. აქ მასპინძლად დაგვიხვდა ადგილობრივი შეძლებული მემამულე ემინ-ეფები, ოსმალეთის მთავრობისაგან სხვა-და-სხვა სამსახურისათვის უხვად დაჯილდოვებული და წარჩინებული. მისს სასახლეს ეზოდა აქვს ოთხ-ხუთი ქცევა მიწა, ხეხილით სავსე. ეზოს ერთ კუთხეში თვით სახლი დგას ორ-სართულიანი, ხისა, საკმაოდ მოზრდილი, სამამაკაცო და ხადედაკაცო განცოფრლებებიანი ჩვენ, ჩვეულებისამებრ, სამამაკაცო განყოფილების სასტუმროში მიგვიღეს. რვა ოთკუთხ მხარის სივრცე ოთახის მორთულობას შეადგენდა: ტახტი 1 გრძელის სიმაღლისა და 5 მტკაველის სიგანისა, ქეჩა გადაფენილი; კედელზე ერთი ფიცარი იყო მიკრული, თაროსავით, ხედ ლამპები ულაგა; იმის ქვემოთ კედელშივე ჯოხი იყო შერწობილი ტანისამოსის გადასაკიდებლად. ერთ კედლის შუაში ძალზე მაღალი ბუხარი იყო თლილის ქვისა.

გამასპინძლება ყოველს მოლოდინს აღმატა: მეტისმეტი სთტრათხეილე და ცდა მართებს უცხო კაცს, რომ აქაურის სუფრაზე ადგილობრივი ეტიკეტი პირნათლად აღასრულოს და თავისი ქცევა უზრდელობაში არ ჩამოერთვას. საჭმელთა სიმრავლეა, რომ კაცს ოფლს აწურეინებს! ჭამის წინ მსახურს (რა თქმა უნდა, მამათა სექსისას) შემოაქვს მეტად თავისებური ტასტი, რომელშიაც საწურსავით დაცხრილული სპილენძის ხუფი თავდაყირაა ჩამხმობილი, რომ ტასტში ჩასულ წყლის წინწკლები ზევით არ ამოვიდეს და სტუმარს არ მოხვდეს, ამ

ტასტს მსახური დაჩოქილად გაწედისთ და ისე ვაძანინებსთ ხელს. მეორე მსახურს ხელსახოცი უჭირავს. ყველას რომ ჩამოივლიან, მერე შუაში სდგამენ მრგვალს ხის სუფრას, მრგვალ ფეხიანს, სწორედ საეკლესით ფეშეუმის მსგავსს. საყურადღებო ის არის, რომ სახელადაც ამ სუფრას აქ ფეშეუმს ეძახიან. სტუ-მრები და მასპინძელი (როცა ლირსებით და ხარისხით სტუმრებს ეტოლება) ამ ფეშეუმს გარშემო უსხედებიან. ზედა სდგამენ რიგ-რიგად თითო საკმაოდ დიდ სინს სპილენძისას, რომე-ლიც ყველასათვის საერთოა და შეიცავს ერთ ხელს საჭმელს. დანარჩენი ხელი საჭმელები, ამ ნაირვე სინებში მოქცეულები, აქავე მახლობლად ტახტზე აწყვია, თავდახურული, გაუცივე ბლობისათვის. ამ სინის გვერდით აწყვია სქელ მჭადის ნაჭრე-ბი, ცხელ-ცხელი. ყველანი სათითაოდ ამ მჭადს გასაცივებე-ლად ხელში აგუნდავებენ, მერე ერბოთ გაეცნოთ შეკამანდს ამოავლებენ და ასე გაპოხილის ლუკმაც ყოვლადის სიადვი-ლით პოულობს გზას. აი თეთი შოთ სადილისა: 1) შარვა (ჩი-ხირთმის მსგავსი), 2) სუთლი (რძეში მოხარჩული ბრინჯი), 3) ფლავი, 4) ქათმის ტაბაკა, 5) უგელი და კვერცხი ერთმანეთ-ში არეული და ერბოთი მოხრაკული, 6) ბორანი (ერბოკვერ-ჯეი), 7) ცხელის ხარცი მოხარშული, 8) ბურღული (დაღრ-ლილი ხორბალი, ერბოში მოხარშული), 9) ხინკალი ყველისა და ბოლოს ყავა!... სასმელად აქაურს ბროლივით ან კარა და ყინვასავით ცივს წყალსა ხმარობენ. ყოველი ხელი საჭმელი ჭარბად მოაქვსთ და ოდგილობრივი პოლიტესი მოითხოვს სტუ-მარმა ყველას გემო მაინც ნახოს, თუ გულმოდგინედ ვერა სჭამს, ანუ, როგორც აქ ამბობენ, ვერ „შეურიგდება“.

ჩვენის მასპინძლის ეზოში ძეელი ნასაყდრალიცაა. ძეელის კედლებისა მხოლოდ ქვების გროვა-ლაა დარჩენილი. ხელუხ-ლებლად დარჩენილა აგრეთვე ძეელადვე დარგული ბზის ხები. მთელს ამ ადგილს მოწიწებით ეპურობიან და შეუძლებელია იქ დარგულს ბზებს ერთი ტოტი ჩამოაცალონ. ამ ეკკლესიის თავგადასავალი, სამწუხაროდ, ვერაფერი მითხრეს, და მკით-

ხელიც, ძალა-უნებურად, ამ მოკლე აღწერას უნდა დავაჯეროთ.

ოლადაურიდან გამოსულებმა გავიარეთ რამდენიმე პატარა სოფელი და შევუდექით საზაფხულო საძოვრების აღმართსაც. ამ აღმართთან ერთად იწყება საუცხოვო ტყე სოჭისა. მაგრამ რა, რამდენისამე წლის განმავლობაში დამპალი ჯირკვები-ლა დარჩება ამ დაუფასებელ ტყისა. როგორც გვითხრეს, სათიბის სიცოტავე იძულებულ ჰყოფს აქაურს გლეხს ეს მრავალსაუკუნოვანი ხეები ძირში სჭრის და ტყე სხეხოს, რომ ორიოდე მტკაველი მეტი სათიბი შეიძინოს. მოჭრილი უზარმაზარი ხეები იქვე ლპება და უგზოლისა გამო კაცს მისი გამოყენებაც ვერ მოუხერხებია. ზოგან ჭრის მაგივრად ასეთს მდიდარს ტყეებს პირდაპირ ცეცხლს უჩენენ, რომ უფრო ადვილად გაიწმინდოს ნიადაგი საბალახოლ. გული სიბრალულით გეწურება აღამიანს, როცა ამ ბარბარასობის მსხვერპლს გაოხრებულს ტყეს უყურებ! ამ გაოხრებულ ტყისაგან ათასგვარი ჭა-ლუა უჩნდება თეითონ ცოცხალ ტყესა და, რასაც აღამიანი ვერ აკლებს, ის უსრულებს. განსაკუთრებით ნაძვნარია დაზალებული ამ ჭიებისაგან. მათს შორის ყველაზე მეტად აჩანაგებენ აქაურობას ამ სამი ჯიშის ჭია: *Tomicus bidentatus*, *Tomicus distridentalus*, *Xiloterus lineatus*.

საცა ტყე თავდება, საძოვრები იწყობა — ეგრედწოდებული მაწყვალთის საძოვრები იწყობა. აქვე რამოდენიმე ხის ჯარგვალები ანუ ყიშლები დგას საქონლისა და აღამიანის საღომად. მთელის ზაფხულის განმავლობაში ამ ყიშლებში არავინა სდგას. ბალახიც თავისუფლად იზრდება, შემოდგომაზე მაღალის მთიდან დაბრუნებული საქონელი მთელი თევ და ხან მეტიც აქა რჩება, სანამ აქაც დიდს თოვლს არ დასდებს და ქვევით, სოფლად, არ ჩამოიყვანს როგორც საქონელს, ისე მისს პატრონსაც. ყიშლები აქიურული სტანციაა მთაზე საძოვრად წასულ საქონლისათვის. იშვიათია ისეთი იაილა, რომ თავისი ყიშლები არა ჰქონდეს.

ყიშლებს გარეშემო ცოტად თუ ბევრად აკრავს ტყე. მაგრამ რაც უფრო შორლებით, ტყეეც თან-და-თან ისპობა და გამოდიხართ წმინდა ალპიურ საძოვრებზე, რომლებიც შეფე ნილია მთების კალთებსა და ქედებზე. ამ მთის სივრცეზე გამოსვლისთანავე ვაკის გაკვალული გზა იკარგება და მის აღილს იჭერს ბილიკები. მთა ამ ბილიკებით დაქსელილია და, თუ პირდაპირ მიმართულებას ასცდით, განსაკუთრებით, ნისლ-ბურუსის დროს, თმელი. დღე ივლით უგზო-უკვლოდ და დანიშნულს აღილს მაინც ვეღარ მიაღწევთ. ამ შემთხვევისათვის მთაგარ მიმართულების ბილიკის იქით-აქეთ მხარეზე ყოველ ორ-სამ მხარის მანძილზე მიწაში ჩარჭობილია მოდიდო ქედი, და მათის შემწეობით აღამიანი აღვილად პოულობს გზას. მაგრამ ამ ქვებს მხოლოდ ბანამდე შეუძლია მგზავრის საშსახური გაუწიოს, სანამ თოვლს არ დასდებს. აღრეულ ზამთრის დროს, რაკი თოვლით დაიფარება იქაურობა, ხშირად მოხდება, რომ მთელი საქონელი ელუბება პატრონს გზის დაკარგვისა გამო. ამ შემთხვევისათვის აქაიქ კლდეზე დიდი ლოდებია კაცის მსგავსად აყუდებული, რომელსაც „ქვა-კაცას“ (ფრანგული տერმინი) ეძახიან და რომელსაც მთაზე თოვლის დროს იგივე დანიშნულება აქვს, რასაც მეზღვაურთათვის ზღვაზე კანდელს.

ამ მთაზე აჭარლებთან ერთად ამოდიან შავშელებიცა. საძოვრების სიმცირის გამო უსიამოვნება ხშირია ხოლმე ამ მეზობლებ შორის. ამ ზაფხულსაც, ხულოს უფროსის აქ ამოსვლას, სხვათა შორის, ახრადა ჰქონდა გარჩევა მათს შორის ატებილ დავისა და სამართლის გადაწყვეტა. იმ ღამეს მოსახვენებლად ავირჩიეთ ერთი მყუდრო ხევი, რომელსაც იქით-აქეთ მოჩქენებები წყლები ჩაუდიოდა. საბანად გვქონდა ფირუზი ცა, ვარსკვლავებით მოკედილი, ხოლო ლებად—მწვნე ხავერდიანი ქედი ხევისა. ჩერენის მოსვლისთანავე თავი მოიყარეს გლეხებმა, მომჩივან-მოპასუხეთა. ყოველ ეილის წარმომადგენელს თითო ცხვარი მოჰყავდა ძლენად იმ იმედით, რომ სამართლის სასწორი იქნება ჩემსკენ გადიხაროსო. ბ-ნმა უფროსუმა, მოუსმინა რა რჩსავე მხარეს, ზოგს იქაეთ, უაპელაციოდ, მამა-შვილური

დარიგება მისცა, ზოგი გატუქსა, სხვებს დაუყეავა და, ბოლოს ორივე მხარე დაკმაყოფილებული დაბრუნდა: აღარც სასამართლოში წოჭიალი და აღარც ხარჯი და დავიდარაბა!...

ლამის სიცივით (მარიამობისთვის პირველ რიცხვებში!) შეწუხებულნი მოუთმენლად მოველოდით გათენებას და მზის ამოსელას. აპა ისიც, გათენდა, ჯადოთი სავსე და სათაყვანო. მტრედის ფერ ცისკიდურიდან ამოგორებული მზე ყველას თანაბრად უგზავნიდა სხივებს და ამ სხივებში ჩაქსოვილი ჰქონდა უსაზღვრო ალერსი, სიყვარული და ძალა. აპა, მიეალერსა მზე დიდებით მოსილს, თეთრად გადაპენტილს და ამაყად წამოზიდულს კარჩხალის შთას და მისი თავი ფანტასტიურად აელვარა. აქიდან სხვა მთებზე გადავიდა, ყველა გაალამაზა, ყველა დასურათხატა. თეალი ერთი სურათიდან მეორეზე გადარბის, ირ იცით, რომელზე გააჩეროთ, რომელი შეირჩინოთ მხესოერობაში, რომელს მისცეთ უპირატესობა. ყოველი ბალახი, ყოველი ქვა, ყოველი მთის წვერი ერთად შეერთდა ერთობრივის ძალით სადიდებლად ბუნებისა, საერთო სიყვარულს აბნევენ გარეშემო, საერთო სიყვარულის საგალობელს აღავლენენ ზეცად...

დავადექით იმერხევის საძოვრების გზას, რომელსაც სამტრეთით შავშეთი აკრავს. ხეები იშვიათი სანახავი ხდება. აქაიქ თუ-ლა დგანან ობლად ფიჭვნი, მთის წვერებზე აცოცებულნი. აქაური საბალახო განთქმულია მთელს ამ მხარეში. აქაურ ბალახით გამოკვებილ საქონელის რძისაგან საუკეთესო კარაჭი იდლვებება. ბათომის ბაზარზე ეგრეთ წოდებული „იმერხეველი“ ერბო ფუთი 4—5 მანეთით მუდამ მეტი ფასობს, ვიდრე სხვა ადგილის ერბო.

გამოჩნდა არსიანის მთაცა, რომელიც შესანიშნავია თავის ტბით. ტბა მთის ძირს არის და შავშეელები და ქურთები შიგ საუკეთესო კალმახს იჭერენ. ეს ტბა მრგვალია, ასე ნახევარი ვერსი ექნება გარშემო. მკვიდრნი სახელად „ბულა-გიოლ“ ს (ბულა—ბულა და გიოლ (ოსმალურად) —ტბა) ეძახიან. ამ სახელწოდებას ლეგენდა ასე გვიხსნის. ამ ტბიდან. „ზაფხულობით

ბულა ამოდიოდა და ძროხებს ამაკებდათ; წითელის ფერისა იყო, შავწამწამიანი (ახლანდელ ხარებს შავი წამწამი იმისაგან გამოჰყვათო) და მეტად ღონიერი. ხარები სულ გაუწყვია. სხვა ერათერი რომ ვერ მოუხერხებიათ, ერთს კაცს თავის ხარისათვის წამწვეტებულ რკინით მოუჭედნია რქები. როცა ბულა ტბილან ამოსულა, რქამოჭედილი ხარი გვერდებში დასძერებია და დაუჭრია. დაჭრილი ბულა ტბაში ჩავარდნილა და იმის სისხლს მოელი ტბა შეულებნია. ამოსვლით კი მას დღეს აქეთ არ ამოსულაო.

დავუპირდაპირდით სოფელ კუნტი-ჯარსაც, დარჩიძეების ახლოს მდებარეს. აქაურნი მცხოვრებნი წინად, ქრისტეანობის დროს, თავდეგირიძენი ყოფილან. ვენახები სოფ, შეუხევეში ჰქონიათ. ერთხელ სოფლის დროს ყურძნის საკრეფად წასულიან. სოფლიად მხოლოდ ერთი ავადმყოფი ქალი დარჩენილა, ამასობაში მტერი დასხმია სოფელსა და ცხენები სულ წალულავს. ავადმყოფი ქალი სერზე ასულა და გაჭირვებისაგან ისეთის ძალით დაუკიფლია, რომ თავისიანებისათვის ხმა მიუწვდენია, მაგრამ თითონ-კი დაკუტებულა და მის მოსაგონებლად ამ სოფელს სახელი „კუნტის-ჯარი“ დღესაც შერჩენია.

სანამ სარიჩირში ჩავიდოდით, შემთხვევა მოგვეცა ყარაგილის ეილებთან ერთი საუცხოეო ტბა დაგვეთვალიერებინა, ეს ტბა გზის მარჯვენა მხარესაა და ერთი ქცევა აღიილის ტოლაა. ტბა იკვებება ორის ნაკადულითა, რომელიც სამხრეთიდან ერთვის. გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს, ტბა მატულობს ხოლმე, რაიცა კალაპოტის ნაპირებზე დარჩენილ ლამზე ცხადად ეტყობა. გასავალი წყალს ძირს უნდა ჰქონდეს. ხალხი, როგორც მთის ყველა ტბების შესახებ, ამ ტბის შესახებაც ამბობს, რომ უძიროა. წყალი სასმელად კარგია.

ამ ტბას ორი სახელი ჰქვიანი: ქართულად შავი ტბა, ხოლო ოსმალურად — ყარა-გოდა (ყარა-შავი და გიოლ-ტბა). თანახმად ხალხში დარჩენილ ლეგენდისა, ეს სახელი ამ ტბას ათ როგორ დარქმევია.

თამარ მეფის დროს ერთი მისი მოღალატე ტყვე ზანგი გაქცეულა. მაშინათვე გამოჰკიდებიან და დაუჭერიათ. დაბრუნებულზე ამ ტბას რომ დაახლოვებიან, ზანგს გადაუწყვეტია შეი გადავარდნილიყო და დახრჩობით თავი ეხსნა მომავალის ტანჯვისაგან. მოუხერხებია კიდეც გულისწალილი აესრულებინა. თამარის კაცებს ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვერას გზით ვერ უპავნიათ. დამარებულნი და ხელუარიელნი თამართან მისულან და ყოველივე უამბნიათ. თამარს უბრძანებია: ალბალ, დაგრქთამეს და თქვენც გაუშვითო. იმათ დიდი ფიცი უთქვამსთ. ხელახლა უძებნიათ კავებითა და ბადითა, მაგრამ მაინც ვერ უპოვნიათ,—წყალმა ძირს გაიტანაო.

ამ ტბისა და სარიჩაირის მთის შუა შავშელების ეილებია. აჭარელებსავით, ამათაც საზაფხულოდ ამოუდისთ აქ საქონელი. ამათი ცხოვრება აჭარელთა ცხოვრებისაგან მხოლოდ იმითი განიჩევა, რომ სილარიბე ამათში უფრო საგრძნობელია. მატერიალურ ნაკლებობას ხალხი მეტად დაუჩაგრავს და დაუჩიავებია, თითქმის პირუტყვად უქცევია. თუ აჭარაში ცოტა აქვსთ სახნავ-სათესი, შავშელებს თითქმის სულ არა აქვსთ. მათს მხარეში ზამთარი უფრო გრძელია, უგზოობისაგან ხომ სული აქვსთ ამორთმეული. მთელის წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე თოვეს ეღირსებათ ხოლმე შედარებით სიამით იცხოვრონ,—ზაფხულში, მთებზე ამოსვლის დროს. ტანით შავშელები აჭარლებზე უფრო პატარები არიან. სახეზე საშინელის ნაღველის და დაჩაგრულობის ბეჭედი აზისთ; იშვიათად დაინახავთ გალიმებულთ. მათის ლაპარაკის გაგება მეტად გაიაჭირია. ოსმალის გაელენას ქართული ენა თითქმის შეურყვნია. ქართველი კაცი მათის ლაპარაკის დროს წუთს სიტყვაში ორს თუ გაიგებს, ისიც დიდის გაჭირვებით.

ამავე მთებზე რამდენსამე ეილად გაფანტულია ორას კომლამდე ქურთი. ესენიც ზაფხულობით ამოდიან აქ საქონლის საძოვებლად და ერბო ყველის საკეთებლად, მათი ყველი საკმაოდ გვმრიელია. ხოლო ქურთის ქალები-კი ხალიჩების ქსო-

ვით არიან განთქმულნი. ისინივე ქსოვენ თავიანთისავე კარვებისათვის მატყლის ხარჯებს.

ცხოვრებით ქურთები უფრო სუფთად ცხოვრობენ აჭარლებზე. ყველას ორ-ორ თეალიანი ჯარგელები უდგათ, ერთში აეითონა სცხოვრობენ, ხოლო მეორე თვალი ერბო-ყველის საკეთებლადა აქვთ. საქონელი კი ცალკე უყენიათ. ორგორც შავშელების ეილებში, მათს სახლებს წინ დაგროვილს ფეინს ვერ დაინახავთ. ზამთრობით კი ბარად ჩადიან, ბათომის ახლო კახაბერში დასაბანაკებლად.

ტანად საშუალოზე ნაკლებნი არიან, ხმელნი, შავვერემანი, სახის სწორნაკვეთუბიანნი, მკვირცხლნი და შემმართებელნი. ამათი ქალები გასაგიერებელის სილამაზისანი არიან; შავვერემანი, შავთვალწარბანი, ბროლის მსგავს და მიჯრით მიწყობილ კბილებიანნი. აჭარლების ქალებსავით კარ-გამოკეტილში არა სცხოვრობენ; ამათ გაცილებით მეტი თავისუფლება აქვთ.

აჭარლებსა და ქურთებს შორის მაინცა და მაინც საიმიდათ განწყობილება არ არსებობს. ამ უკანასკნელთ ცხენის ქურდობა მეტად ემარჯეებათ და ამიტომ აჭარლები ზიზით იხსენიებენ. სალაპარაკო ენა ქურთებისა ღსმალურია. ზოგმათ უ იცის ქართული ლაპარაკო.

აპა, მივატანეთ ჩვენის მგზავრობის უკანასკნელ პუნკტსაც, სარიჩაირის (ღსმალურად სარი—ყვითელი. ჩაირ—ბალახი). ეს მთა თითქმის აღმოსავლეთი საზღვარია ზემო-აჭარისა. აქედან გზა გადადის ახალციხის მაზრაში ბოცოს ხევში, ანუ როგორც ახლა გადამახინჯებით ეძახიან ფოცხოვში და შავშეთში. ამის იქნით აჭარული სოფელი აღარ არის. სარიჩაირის მახლობელი სოფლებია სამხრეთით ქოჩახი, ბაკო და განთქმული ისტორიული ხიხათა ციხე. საბალახო ამ მთაზე საუცხოვოა, წყაროები უკეთესი, ნაძვისა და სოჭის ტყე იქვე მახლობლად იკრავს.

სარიჩაირზე დაბინავებულია ოცდა-ათ კომლამდე ქურთით თავიანთის საქონლითა. მათთან ერთად აქ მთაზე ზაფხუ-

ლის გასატარებლად ამოსულნი არიან ზემო აჭარის ბეგები, უკანასკნელ მთავრის შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის შეილები. ერთი მათგანი, უფროსითაგანი, ჯამალ-ბეი, მილიციის პორუჩიკი, ცოლშვილით არტაანიდან მოსულა აქ. ერთის, სულ უმცროს ხის, ზაქარა ბეგის გარდა, ყველანი ცოლიანები არიან და თავის ცოლებიც აქ ჰყავსთ ამოყვანილნი საზაფხულოდ. ტანთ ყველას ჩვენებური ჩიხები აცვიათ (ეს კი აჭარაში იშვიათია), ქართულს თითქმის ყველანი კარგად ლაპარაკობენ, უმცროსმა ზაქარია ბეგმა ქართული წერაკითხვაც-კი იცის. ქურთებმან ძალიან კარგი განწყობილება აქვსთ. ზოგს მათი ქალები ცოლადაც შეურთავსთ. აქვე უნდა მოვიჩსენოთ, რომ ზემო-აჭარაში ერთზე მეტი ცოლი მარტო ამ ძმათა ხიმშიაშვილებსა ჰყავსთ, როგორც შეძლებულთ და წარჩინებულ გვარის ჩამომავალთ.

ამ ხიმშიაშვილთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ სანუგეშოს, სამწუხაროდ, ბევრს ცერაფერს ვიტყვით. საკვირველი კია, რომ მთელის მხარის მპურობელის შეილებს თავიანთის მომავლისა ეფიქრებოდესთ და ქონებრივად უზრუნველყოფილნი არ იყვნენ. მაგრამ ასე-კი გახლავსთ. მათის ჩიეილის და ლაპარაკის ტემაც უფროს ერთ შემთხვევაში ეს არის. დაწვრილებით მოყოლა ამბისა შორს წაგვიყვანს. ვეცდებით, რამდენადაც შეიძლება, მოკლედ მოვუთხროთ მკითხველს ამათი საგულის-ხმიერო თავგადასავალი.

უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომის დროს ზემო-აჭარის მთავარმა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა, როგორც ვიცით, ოსმალეთს ზურგი შეაქცია, რუსეთს ერთგულობა გამოუტადა. და, როგორც გავლენიანმა პირმა, რუსის ჯარს დიდად გაუადვილა ამ ტერიტორიის შემოერთება. არ გამოვუდგებით იმის ჩამონაუსხვას, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა შერიფ-ბეგი ამ შემთხვევაში. მაგრამ ერთი კი ცხადია: ასეთის სამხახურის გამწევს კაცს, სხვათა შორის, უფლება ჰქონდა უხევ მატერიალურის ჯილდოს მიღებისა. მთავრობამაც აღუნიშვნელად არ დასტოვა ეს სამხახური შერიფ-ბეგისა, და როცა ეს უკანასკნელი, ნაომევს, 1880 პეტერბურგში წავიდა, ხელმწიფე იმპერატორმა 8

ივნისს მოწყალედ მიიღო და უთხრა: „აჩ დავივიწყებ ამის დროს შენს მიერ გაწეულ სამსახურს“-ას. ჯერ ისევ 1877 წელს იქნა შერიფ-ბეგი რუსის სახელმწიფო სამსახურში შტაბ-ოფიცრის ხარისხით; დაენიშნა პენსა მისის ხარისხის შესაფერი; თანაც გამოეცხადა, რომ თუ ვინიცობაა, აჭარა ისევ ასმალო დარჩა და თქვენ იძულებულ იქმნით აქაურობა დასტოვოთ, მაშინ რაც ამ მხარეში მამული გაქვსთ, იმდენივე მამული მოგეცემათ რუსეთის იმპერიაში. ხოლო მამული ჰქონდა შერიფ-ბეგს: ყარსის ოლქში (ურში) 400 დესეტინა საშენი ტყე, შიგ ყარსშივე სავაყუფო (მეჩითებისთვის შეწირული, ერთი ნაწილი მეჩითებს ხმარდებოდა, ხოლო დანარჩენი შემწირეველს) დუქნები, აჭარის სავაყუფო (საეკლესიო) სოფლები: ხოლო, ლარჯომი, დიღ-აჭარა, დოსხევი, ალმე და საზაფხულო საძოვრები. ყოველსავე ამას ასმალეთის სულთნების ფირმანების დაქართველ მეფეთა მიერ ბოძებულ გუჯრებით ჰულობლნენ შერიფ-ბეგის წინაპარნი და, როგორც მათი კანონიერი მემკვიდრე, ჰულობლა აგრეთვე თავის სიცოცხლეში თვით შერიფ-ბეგიცა.

აჭარა რუსეთმა დაიპყრო თუ არა, რუსეთის მთავრობის წინაშე სარჩიელი აღძრა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა, —ჩემი მამულები რუსის კანონის თანახმად დამიმტკიცეთო. იმავე ხანებში კომისია შესდგა ახლად შემოერთებულ ტერიტორიის სამამულო კითხვათა გამოსაკვლევად. 1883 წელს ამ კომისიამ, სხვათა შორის, განიხილა რა აჭარის სამამულო საქმენი, დადგინა: ყველა მამულები აჭარისა ასმალების ხელში სახელმწიფო ყოფილა და მაშასადამე, ახლაც სახელმწიფოდ უნდა დირჩესო. ხოლო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის საკუთრებად მარტო 16 დესეტინა მიწა იცნო! 1889 წელს მთავრობას ხელახლა მიართვა თხოვნა შერიფ-ბეგისა თავის მამულების შესახებ. მაგრამ 1893 წ. გენერალ-მაიორის ხარისხით გარდაიცვალა, ისე, რომ სიცოცხლეში არაფერს მოსწრებია.

მამის სიკვდილის შემდეგ მისმა შეიღმა ზაქარია ბეგმა განაგრძო თავისი და თავის ძმების სახელით თავიანთის ქონება რივის ინტერესების გამორკვევა. თავიანთს თხოვნებში ძმები

ამბობდნენ, რომ სხვა ყველაფერს რო თავი დავანებოთ, რა კუუაში მოსასვლელია, რომ მოელის მხარის უფროსს 16 დე-  
სიატინა მიწის მეტი არ ჰქონდესო! მას აქეთ მოგზაურობს  
მათი თხოვნები ქალაქიდან ქალაქში, კანკელარიიდან კანკე-  
ლარიაში, მაგრამ დღემდე ხიმშიაშვილთა სასარგებლოდ არა-  
ფერი გადაწყვეტილა. კითხვის გადაწყვეტამდე კი ხაზინა ეპა-  
ტრონება მათს მაშა-პაპეულს მამულსა. „თუ სამართალი გაგვი-  
წყვიტეს და ჩამოგვაროვეს მამაპაპეული — ამბობენ შერიფის  
შვილები, — მამული, აჭარაში შიმშილის მეტი რაღა დაგვრჩენია,  
ისევ ერთმორწმუნე ხეანთქარს მამის მაგივრად ბოდიში უნდა  
მოესთხოვოთ და მფარველობა ვსთხოვოთო. თუმცა სრულებით  
ჯერ კიდევ არ გვეკარგება იმედი, რომ ჩვენის მამის ერთგულება  
და ამაგი, აღრე იქნება თუ გვიან, დაფასდება და მტერს არ  
გავგიხარებენ და არ გააცინებენ ჩვენის უბედურებითაო. ჯერ  
ახლაც ნიშნს გვიგებენ: ოსმალეთს ხომ უღალატეთ და ახლა  
ნახეთ, რაც ხეირი დაგვეყრებათო! თუ ეს იმედიც ვაკვიცრუვ-  
და, მაშინ აქ შიმშილს და ჩვენის ლირსების შეუფერებლად  
ცხოვრებას ოსმალეთს გადახვეწა გვირჩევნისო.

შერიფ-ბეგს დიდი ოჯახი დარჩა. სულ 20 შვილი ჰყავდა  
(11 ვაჟი და 9 ქალი). ამათგანი ზოგი დაიხოცა და უმეტესო-  
კი დღესაც ცოცხალია. იმ მათი სახელებიცა:

ძენი: 1) აბას-ბეგი, მილიციის მაიორი (+ 1890 წ.), 2)  
მურთაზა-ბეგი (+ 1876 წ. ხულაშია დასაფლავებული), 3)  
ისა-ბეგ, მილიციის მაიორი, ახალციხის მაზრის დისტანციის  
უფროსი, 4) ჯამალ-ბეგ, არმიის კავალერიის როტმისტრი, 5)  
ზაქარია-ბეგ, 6) თემურ-ბეგ, 7) ყადა-ბეგ, 8) მუსტაფა-ბეგ, 9)  
ჰაშიშ-ბეგ, 10) ჯაფარ-ბეგ, 11) იზეთ-ბეგი; ასევე: 12) ილ-  
დიზ-ხანუშ (სტამბოლშია გათხოვილი) 13) ნიზამა-ხანუმ (შავ-  
შეთშია გათხოვილი ნურიბეგ ხიმშიაშეიღლზე), 14) ზეინაფ-ხანუმ  
(შავშეიშვივე იყო გათხოვილი, †), 15) სონა-ბატი, 16) ვერა-  
ბატი, 17) ასია-ბატი, 18) ნეუ-ჰიბა-ბატი, 19) სარა-ბატი †, 20)  
ფატმა-ბატი †

ამ ოც შვილში დღეს ცოცხალნი არიან 9 ვაჟი და 4 ქალი. ძენი, ზაქარია-ბეგის გარდა, ყველანი დაცოლ შვილებულნი არიან, ქალებში კი ორია გასათხოვარი სონა-ბატი და ვერა-ბატი (ბატი-ე. ი. ბატონი). სულ კი მთელი ოჯახი 60 სულზე მეტია. ვაჟებში ისა-ბეგი და ჯამალ-ბეგი აჭარას გარეშე ცხოვრებენ, ხოლო სხვებს აჭარაშივე (სოფ. ხულოს) აქვთ მოსახლეობა.

თავის შვილებთაგანი შერიფ-ბეგს მარტო ორი მიუბარებია სამხედრო სასწავლებელში (პეტერბურგში). მაგრამ მათი იქ ყოფნა, სავალალოდ, ხანგრძლივი არა ყოფილა. სამმა ოსმალურის გარდა რუსული წერა-კითხვაც იციან, ხოლო ერთმა, ზაქარია-ბეგმა რუსულის და ოსმალურის გარდა ქართული წერა და კითხვაც იცის. ამბობენ, ბეტერბურგში ყოცნის დროს შერიფ-ბეგი თეთონაც მოინათლა და ორი ვაჟიც მონათლაო. დანარჩენმა შვილებმა მარტო ოსმალური იციან, ლაპარაკით-კი ქართულს ყველანი ლაპარაკობენ.

როგორც ზევით მოეიხსენიეთ, ორი რუსის სამსახურშია, ხოლო დანარჩენნი, შინა-კაცებს რომ იტყვიან ჩვენში, ისინი ირიან. ჯერ კიდევ ჩამოურთმეველს მამულს მამაპაპეულის წესით უვლიან და კიდევ ახერხებენ დანარჩენ აჭარლებთან შედარებით მდიდრულად იცხოვრონ, სანამ ხაზინა ამ მამულებსაც არ ჩამოართმევს. მერე რა მოუვათ? აბა სწორედ ეს კითხვაა, რომ განუწყვეტლივ თავს დასჩავისთ შავბეჭით ყორანსაცით... .

ორიოდე სიტყვა უკვე ვსთქვით სარიჩაირის მთაზე საზაფხულოდ ამოსულ ქურთების—შესახებ. ჩვენს მწერლობაში, რამდენადაც ვიცით, არაფერი თქმულა ამ საინტერესო ხალხის შესახებ, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ქვეყანას შემოხიზვითა. და უნდა აღვიაროთ, რომ ეტნოგრაფიულად ეს ხალხი მეტად საინტერესო და ყურადღების ღირსია. ჩვენ ამ წერილში აზრად არა გვაქვს დაწვრილებით აღვსწეროთ ქურთები. ნიმუშად შევეხებით მხოლოდ ერთ ნაწილს ამ ბუნების შვილთა შინაურის ცხოვრებისას—ცოლქმრობის წესს და ჯვარის წერის ჩვეულებას.

იმედი გვაქვს, ამით, ცოტათიც არის, შევავსოთ ის ნაკლი, რომელიც მათს შესახებ ჩვენს მწერლობაში არსებობს.

როგორცა ვსთქვით, ქურთის ქალს შედარებით უფრო მეტი თავისუფლება აქვს, ვიღრე მისს აჭარელს დას. ქალი, როგორც გათხოვილი, ისე გასათხოვარი, პირდაუფარავი და-ლის და ვაჟისათვის მისი გაცნობა და თავის გრძნობის გამო-ცხადება ძნელი სრულებით არ არის. ამთ აისწნება ის გარე-მოებაც, რომ ცოლქმრობის გარეშე თავისუფალი კავშირი მათს შორის იშვიათი არ არის, თუმცა ისეც კია, რომ ასეთი კავშირი საგმობია მათგან და ქალი მუცლის გაფუჭებით ცდი-ლობს ცოდვა სიყვარულისა დაფაროს. მუცლის გაფუჭების ჩვეულება აქ ძალიან ხშირია.

ჯვარის წერისათვის საქმარისი არ არის, რომ ვაჟს ქალი მოსწონდეს, საჭიროა ქალსაც მოსწონდეს თავისი მომავალი ამხანაგი ცხოვრებისა და მის თანხმობასთან ერთად მიუცილე-ბელია დასტური მშობლებისა, თუ კი უნდათ, რომ საქმე მშვი-ლობიანად და უდავიდარაბოლ გათავდეს. როცა ორივე მხარე თანახმაა, ვაჟი თავის მხრივ შუაკაცებს უგზავნის ქალის მშობ-ლებს. ესენი ქალის მშობლების წარმომადგენლებთან შეთანხ-მების შემდეგ მოლას უცხადებენ: მაგანმა ვაჟმა და ქალმა ჩვენ მოგვანდეს გამოვაცხადოთ მათი სურვილი ცოლქმრობისაო. ისიც საჭირო ოქმს შეადგენს. მერე შინაურნი, კეთილსინიდი-სიერთა თანადასწრებით, შეავსებენ ქალის მზითევს, ყოველს ნივთს სათითაოდ. მოლაც ყოველსავე სწერს და სიას ადგვნს. ამ სიას, ბოლოს, აბარებს ქალის დედას, რომ ვინიცობა ქმარ-მა თავისი ცოლი გაუშვა, ამ სიის ძალით უკანვე მოსთხოვოს თავის ქალის მზითევი. მშობლების სახლიდან დედოფლის წა-მოყვანის დროს კარებში ერთი ქალის ნათესავთაგანი ჩადგება და სიძიანებს მოსთხოვს: ესა და ეს ცხენი მომეცით; თორებ ქალს ისე არ დაგანებებოთ. ისინიც იძულებულნი არიან დაკ-მაყოფილონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქორწილი დროებით დაიშლება, სანამ გაჯიუტებულს ნათესავს სურვილს არ აუსრუ-ლებენ.

როცა ქალის ან მის მშობლების ნება არ არის, მაშინ ვაჟი ძალას მიმართავს ხოლმე, რასაც, რა თქმა უნდა, სისხლის ღვრაც მოჰყვება. ამ შემთხვევაში დიდს მონაწილეობას ღებულობენ, ხშირად ვაჟის სასარგებლოდ, აქაური ბეგები; როგორც გავლენიანნი პირნი, რადგან ქორწილი ზაფხულობით ხდება ხოლმე და იმ დროს ესენიც მათთან არიან.

როცა ორისავ მხარის ნება-ყოფლობით არის წამოყეანილი ქალი, საქორწილო პროცესიას წინ მიუძღვის ქურთული დაფა-ზურნა. დაფა-ზურნის უკან მოდიან ცხენოსანი მაყრიონები და ამათს უკან — ქალები. ქალების შუაში დედოფალი მოდის ცხენით. თავით-ფეხებამდე ტომრის სახით შეკერილ კრელ ჩითის ჩადრშია გამოხვეული. ამ ჩადრს „ტუალი“ ჰქვიან. პირისახე არ უჩანს, მხოლოდ თვალებისათვის აქვს დატოვებული ადგილი. ხელში ბალალი უჭირავს. მთელის პროცესის მონაწილეთა ცხენსა და ცხენსა შუა ქვეეითი კაცი მიღის და მარჯვენა ხელით წინა ცხენის კუდი უჭირავს, ხოლო მარცხენით — უკანა ცხენის სადაც. ასე რომ ასისა და ხან მეტის მხარის სიგრძე ცოცხალი ჯაჭვია გაკეთებული, რომლის დაშლა არავის შეუძლია: თუ ეინმერ გაიარა, იმის მომასწავლებელი იქნება, რომ ცოლ-ქმარს შუა ეინმე გაიცლისო, ესე იგი უკმაყოფილო ცხოვრება ექნებათო. ამბობენ კიდევ, ბავშვებს უელპირვება (აქარულად — „მატაური“) დახოცავსო. სიძის სახლში მისელამდე რამდენსამე მარულას გამოუშვებენ. სახლს რომ ოციოდე მხარეზე დაუახლოვდებიან, დაიწყებენ თოფ-დამბაჩის ცულას, სახლთან ჯერ მივა პირველი მხედარი და ჩამოხტება, ქვეითი კაციც მისს ცხენს ხელს გაუშვებს. მერე ჩამოხტება მისი მომდევნო და ასე დედოფლამდე. როცა დედოფლის რიგი და დადგება, მოიყვანენ ცხვარს; მისს წინ ყელს გამოდადრიან და სისხლს მოაქცევენ: ეს ყურბანია, შესაწირავია, მშვიდობით მოსულის სამადლობელოა. მერე მის ცხენთან გადმოაპირქვა-ებენ ქეაბს, რომელზედაც პირქვე გდია ხის კოვზი. ყველამ უნდა იგულისხმოს, რომ პატარიძალი ვერაფერსა ხედავს. სანამ ცხენიდან ჩამოვიდოდეს, ერთო დავ-ლუვი ასტყდება: ქალისია-

ნები ვაჟისიანებს საჩუქარსა სთხოვენ: ქალს მანამდე არ დაგანებებთ, სანამ რასმე არ მოგვცემთო. საჩუქრად შემოლებულია: ცხენი, კამბერი ან ძროხა. როგორც იქნება, შეთანხმდებიან. თვალ ახვეული ქალი ჩამოდის ისე, რომ ცალ ფეხს პირდაპირ ქვაბზე დაგდებულ კოვზს ადგამს. თუ დაამსხვრია კოვზი, ცოლობის გახაჭირს ყველაფერს გაუძლებს და შვილოსნობაშიაც ნაყოფიერი იქნებაო. ამის შემდეგ შეპყავთ ქოხში. ქალები სიცილით უკან მისდევენ, მამაკაცები კი გარედა რჩებიან. ცოტა ხანს უკან პროცესიაც იშლება: საქორწილო ლხინი არ იციან.

ზურნა კი ყველა ოჯახს დაუვლის. ხალხი გროვდება და ქალი და კაცი თამაშობს ზურნის ხმაზე.

სამი დღე დავყავით სარიჩაირზე ჩვენს სტუმართ-მოყვარე მასპინძლებთან. განუწყვეტელმა ნისლმა და წვიმებმა, სამწუხაროდ, ჩება არ მოგვცა სავსებით გვეგმნა აქაურის მთების რამე, მიღამონი დაწვრილებით მოგვევლო. უბეტეს ხანს იძულებული ვიყავით კვამლით სავსე კარავს ქვეშ მჯდარვიყავით, რაიცა მაინც და მაინც სასიამოვნოდ არ უნდა ჩაითვალოს. ასე რომ თავი უნდა დაგვეკრა მანდაურობისათვის. სარიჩაირი შეიქმნა უკანასკნელ პუნკტად ზემო აქარის აღმოსავლეთის ნაწილში მოგზაურობისა. მაწყვალთის ზემოთ ასულთ ახლა ხულოში დაბრუნება გვიხდებოდა ახალის—სხალტის წყლის ხეობით, რომელიც ისტორიულად ყველაზე მეტად საყურადღებოა ამ მხარეში. ღირს შესანიშნავია განსაკუთრებით ამ ხეობის სათვეში მდებარე ციხე ხირხათისა, რომელიც მოწმენდილ დარში სარიჩაირიდან მკაფიოდ მოსჩანს და რომელთანაც დაკავშირებულია ესდენი თავგადასავალი აქარელთა ცხოვრებისა.

ეს ნაწილი შგზავრობისა მით უფრო სახალისო იყო, რომ ჩვენთან ერთად მოდიოდნენ: ვითარცა მასპინძლი, ზაქარია ბეგ ხიმშიაშვილი, ერთი სემინარიის მოწაფე მე—ძე და ორიც ბანოვანი, ოჯახისა გურულ თავადის, იგე ნაკაშიძისა, რომე-

ლიც საზაფხულოდ და სტუმრად ბეგებთან იყო ამოსული. ამათთან ერთას უნდა დაგვეთვალიერებინა ხირხათის ციხე.

სარიჩაირს ნახევარ ვერსით გამოვსცდით თუ არა, დაიწყო საუცხოვო ტყე ნაძინა, რომელსაც მზე ველარც კი ატანდა. ეამდა ეამ გამოვდიოდით ხეხილიან ველებზე. ესენი ნასოფლარნი იყვნენ. აშკარად ეტყობოდათ, რომ ზედ ამ მოკლე ხნის წინად სახლებულან სოფლელნი. ეტყობა, რომ ამ ადგილებიდან რამდენიმე სოფელი აყრილა და იქაურობისათვის თავი დაუწევდებია. ამ მიღამოებში მარტო ორ სოფელში დარჩენილან მცხოვრებნი. ბაკოსა და თხილვანაში,—სულ ორმოცდა ათ კომლამდე. ეს ორი სოფელი ხირხათის მთის ძირასა და ჭალას წარმოადგენს, რომელსაც ბაკოს წყალი გარდიგარდმო უვლის. გარშემო ხარხათის მთის დაყოლებაზე რამდენიმე მთაა ამართული.

სოფ. თხილვანიდან ოხე-ხუჯის ვერსის მანძილი ხშირის ნაძვნარით არის დაფარული. ასე 2,000 დესიატინა სულ უხსოვერის დროს ტყეს უჭირავს. მისის ყურებით თვალი ვერ ძლება. მაგრამ ამასთანავე გულს სიბრალულით გივსებსთ შემდეგი ბარბაროსული ნამოქმედარი ადაშიანს ხელისა: კაცის სიმაღლეზე ნახევარ აღლის სიგანეზ ყველა ხეს ქერქი აქვს შემოცლილი, ანუ, როგორც აქ ამბობენ, „დაყვერილია“. მთელს სოფელს ორის ზამთრის განმავლობაში უმუშავნია ამ ტყის დაყვერისათვის. ასეთის ბარბაროსობის შედეგი ისაა ხოლმე, რომ ხე დაყვერის შემდეგ მეორე-მესამე წელიწადს ხმება, რადგან აქედან, უგზოობის გამო, ველარსად გაიტანენ, გამხმარს ხეს ათას გვარი ჭია-ლუა უჩნდება და აოხრებს დანარჩენს მოზარდ ტევბასაც. აქარის ამ ტყეების წყალობით უდგას სული, ამათის წყალობითაა, რომ მხარეს მთის წყლები მთლად ველარ აოხრებენ. და თუ ტყე მოისპო, მაშინ მართლა რომ წყალი წაილებს აქაურებს. და რომ ტყე ისპობა და რომ 10-15 წლის განმავლობაში სრულებით მოტიტვლდება სათავე სხალთიწყლისა, ამას დიდი წინასწარმეტყველური ნიჭი არა სჭირია.

რა იყო მიზეზი, რომ აქარელი თავისს სიმდიდრეს, მოვლისა და დაცუის მაგივრად, ასე მტრულად და ულმერთოდ მოქცევია? ამ კითხვაზე აი რა პასუხს იძლევიან ადვილობრივი მკვიდრნი: „ოსმალეთის მთავრობის დროს ტყე ჩვენი, გლეხებისა, იყო, როგორც და რამდენიც გვჭიროდა, იმდენს ვხმარობდით, დამშლელი და ბაჟის მთხოვნელი არავინა გვყავდა. გაყიდვა ტყისა ჩვენ არ შეგვეძლო, რადგან გზები არა გვაქვს მისი გასაცანი, მაშასადამე თუ ვსჭრიდით ტყეს, ისევ შინასაჭიროებისათვის, ასე რომ უხსოვრის დროს ტყეს არც კი აჩნდებოდა რამე. ასეთი თავისუფლება გვერნდა, სანამ საშენედრო საერო მმართველობის ხელში იყო მუჰაჯირების (აქედან ოსმალეთში გადასახლებულთა) შემდეგ დარჩენილი თავისუფალი მიწები. მაგრამ 1894 წელს სახელმწიფო ქონებათა უწყებამ ჩაიბარა აქარის ტყეები და მეტყევე (ალ. აბაზაძე) დანიშნა. ჩვენა ესთქვით, ევ არის ბაჟის გვადებენ ტყეებზეო. ხალხი აჯანყდა, მოითხოვა, ტყის დარაჯები მოეშორებინათ აქაურებისათვის,—სულთამხუთავებივით ნუ ჩაგვიყენეთო, თორემ თავი ცოცხალ აღარ გვინდაო. აბაზაძემ და ხულოს უფროსმა ბერიძემ ხალხს დამშეიდება დაუწყო: მთავრობას თქვენი შევიწროება კი არა სურს, არამედ ის უნდა, რომ ტყე წესიერად იხმაროთ. უბაჟოთ შეგიძლიათ შეშა და საშენი მასალა შინაურ საჭიროებისათვის გამოიტანოთ, უბაჟოთვე მოგეცემათ საჭაფებები (დასასვენებლად დაგლებულ სახნავ-სათეს ადგილებზე ამოსული ბუჩქ-ჯავები), ბალთალუხი (წენელი ლობეებისათვის), აგრეთვე ნეგერით (ხის ტოტები ზამთარში საქონელის, საკვებად). მაგრამ ხალხმა მაინც არ დაიჯერა. უნდოდათ ყველანი აჯანყებულიცვნენ, მაგრამ მეთაურები დაიჭირეს. მეტყევე მაინც ვერ შედიოდა ტყეში. ბოლოს, ხალხმა ორის ზამთრის განმავლობაში მთელი ვარგისი ტყე გადაყვერა“.

აი ამ ბუნებრივის სიმდიდრის სამწუხარო ისტორია. გული გწყდება ადამიანს აშ გავერანებულ ტყის ყურებაზე და თანაცვერც გაგიმართლებია ეს საცოდავი ხალხი და ვერც თუ სულ გავიშტყუნებია....

ცხენებით თითქმის ხირხათის მთის ძირამდე მიეღედით. აქ კი ცხენები დაეტოვეთ და ფეხით შეეუდექით. გავედით მთის მდინარე, ბაკოს წყალად წოდებული, უზარმაზარ ლოდებით სავსე. მდინარეს მეორე ნაპირას აღმართი იწყება მთისა, მოფენილი ჩამოქცეულ მთის ლოდებითა, რაიცა საშინლად აძნელებდა ხიარულს. ამას ზედ დაერთო უწყლობა. ბეღზე მთის მოცური რომ არ გამოვჩენოდა, ყოვლად შეუძლებელი გახდებოდა გზის გაგრძობა. ყოველსავე ზედ დაერთო ისიც, რომ ბანოვანნი თითქმის ხელით ასაზიდი გაგვიხდა, თუმცა ისიც უნდა ესთქვათ, რომ შხოლოდ ამ სასიაშოვნო ტეირთის წყალობით ესძლიერ გაჭირვება და ერთის ჰაათის შემდეგ უკვე ცახის თავზე ვიყავით.

თეთი ხირხათის ციხე ზღვის პირიდან 2,601 მეტრის სიმაღლეზეა და წარმოადგენს განმარტოებულს და წოწოლა კლდეს, სამივ კუთხივ მახლობელ მთებიდან ხრამებით მოშორებულს და მიუვალს. ზედაპირი მთისა სამის დღიურის სივრცისა იქნება და გარშემოვლებული აქვს ქვითკირის გალავანი, რომელსაც ჩრდილოეთის მხრივ ნიადაგი გამოსცლია და მასთან ერთად ჩამოქცეულია. ალაგ-ალაგ გალავანს სარკმლები აქვს ჩატანებული. ერთმანეთზე მოშორებით ხუთი მაღალი კოშკიცა დგას, ხუთივე სანახევროდ დანგრეულები. ციხის შიგნით ნახევრად დანგრეული ეკკლესიაცაა. არის აგრეთვე რამდენიმე დამტვრეული და ქვებით სავსე ქვევრები, ნაწვიმარ წყლის შესაკრებათ, რაღვან მახლობლად წყლის ხსენება არსად არის „ნაღვარევის“ წყლამდე, რომლის ხმა ძლივას ამოდის ციხემდე. ციხის შუაგულში ქვით ამოკირული დილეკია ტყვეთათვის. 1874 წელს ეს ციხე უნახავს გენერალს გ. ყაზბეგს და მასთან ერთად ერთი ქართული წარწერიანი ქვაცა, როგორც გვითხრა ჩვენთანვე ამოსულმა ბაკოს მცხოვრებმა გლეხმა შევლიერ დავითაძემ. მაშინ ყაზბეგს ისეც ამოჰყოლია ამ ციხეზე და ის ქვა უნახავს. მაგრამ მაშინ პატარა ეიყავ და იღარ მახსოვეს სად იყვნო. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ, რაღვან აქურობა საშინლად დაფარულია ნანგრევებითა და შამბით.

ამ ციხეზედვე 1894 წ. ამოსულია ჩეენის ქვეყნის ძველ ნაშთთა მკვლევარი გრაფინია უვაროვისა. ქართველ ქალთაგან კი ამ ცხრივ პირველობა ეკუთვნისთ ჩვენს დაულალავს და გამბედავს თანამგზავრებს თავადის ი. ნაკაშიძის ასულს და მისს ნათესავს ქალს მე—ძისას. აჭარლებმა რომ გაიგეს, ხირხათის ყოლებზე (ციხეზე) გურჯის ქალები ასულანო, კარგა ხანს ჰქონდათ სალაპარაკოდ ეს ამბავი, რადგან თვით აჭარელებთაგან ამ ციხეზე ზამთრობით თხილამურებით რჩეული მონადირენი თუ ამოღიან თხებზე სანადიროდ.

შიგ ციხეში ტყის წარმომადგენ ელად ერთად-ერთი დაჯანდაკებული ფიჭვი სდგას  $21/2$  მხარის სიმაღლისა. სამაგივროდ ბლომადაა მოცვი, კლდის მოცხარი, უკლო, რაიცა მისწრებაა აქ ამოსულისთვის წყურვილის მოსაკლავად. აქედან, როგორც გვითხრო ჩვენმა ჩიხერონებ დავითაძემ, მკაფიოდ მოსხანს თეთრ თავა მთა კარჩხალისა, შავშეთის მთები, ჩირუხის მთა, გურიის საზღვარი. მართლაც თუ წარმოვიდგენთ ამ ციხის სიმაღლეს და იმ გარემოებას, რომ ის მეტად შორ მანძილიდან (100 და მეტის ვერსის) მოსხანს, აქედან მნახველს საუცხოვო სურათი უნდა ეშლებოდეს თვალშინ. მაგრამ, სამწუხაროდ, ნისლმა, რომელიც ხშირი სტუმარია ამ ციხისა, ყოველივე დაჭვარა და არამც თუ მთებს, ერთმანეთსაც ძლიერ ვხედავდით.

ამ ციხის აშენების დრო, სამწუხაროდ, არ ვიცით. ლეგენდა კი მის ამშენებლად სთვლის თამარ მეფეს. მაგრამ სანამ ამ ლეგენდას გავაცნობდეთ მკითხველს, მეტი არ იქნება აღნიშნოთ ის ისტორიული ამბავი, რომელიც მომხდარა ამ XIX საუკუნის დასაწყისს ამ ციხეში.

როგორც მკითხველთა უწყიან ჩვენის წინა წერილიდან, 1802 წელს ხიმშიაშვილთა წანაპარის აბდულა-ბეგ ხიმშიაშვილის შვილმა სელიმ-ბეგმა ისარგებლა ახალციხის ფაშის შერიფ-ბეგის პოლიტიკურად აწერილ მდგომარეობით, აჭარლების დახმარებით ახალციხიდან განდევნა და ფაშობა თვითონ ჩაიგდო. ბოლოს ისე გათამამდა, რომ სულთანს ურჩობაც კი შეჰკადრა: განრისსხებულმა სულთანმა ფაშობა წაართვა და სიკვდილი მიუ-

საჯა. 1805 წელს ახალციხითან ივლტო და აჭარაში იმალებოდა. 1815 წ. სულთნის ბრძანებით გამოგზავნილ იქმნა ჯარი, რომელსაც მეთაურობდა არზრუმის სერაქსირი ბაბა-ფაშა, ფეხლევანიდ წოდებული. სელიმ-ფაშა მტერს ამ ხირხათის ციხეში გაუმაგრდა, რაიცა მოწმობს, რომ ეს ციხე ამ ოთხმოცის წლის წინად კიდევ მრთელი ყოფილა. ამ ისტორიულის მომენტის ხსოვნა აი რა რიგად არის დარჩენილი ხალხში.

ახალციხეში გაფაშების შემდეგ სელიმს რაღაც უსიამოვნება მოსელია არტაანის ბეგთან ჰამზა-ალისთან. ბევს მისი ცოლი ავად უხსენებია. სელიმმა უთხრა თურქმე: ქალის შეურაცხყოფა კაცობა არ არის და რაკი ეს შემომკადრე, ულვაში არა მსხია, თუ ერთის წლის განმავლობაში თავი არ მოგვერ და შენი ცოლები ხირხათის ციხეში არ დავისვი ცოლებადაო. თავისი მუქარა აუსრულებია კიდევც.

ჰამზა-ალის მეგვიღირენი სულთანთან წასულიან, წაუყვანიათ მცირეწლოვანი ბავშვები, წაულიათ სისხლში მოსვრილი ტანისამოსი ჰამზა-ალისა და შეუჩივლიათ — სელიმმა ასე და ასე გვიყოვო. სულთანმა მაჰმუდ-ურან-ფაშა გამოგზავნა ჯარით და ფირმანიც მისცა — სელიმ-ბეგი დაიჭირე და თავი მოჰკვეთეო.

ეს რომ სელიმმა შეიტყო, 400 კაცი შეიყვანა ხირხათის ციხეში, თან ერთის წლის სამყოფი საგზალი შეიტანა და კარები ჩაიკეტა.

მაჰმუდ-ფაშა 12,000 კაცისაგან შემდგარ ჯარით ხირხათის ძირას დაბანაკდა, სოფ. თხილნარში. ორის თთვის განმავლობაში იშის ცდაში იყო, სელიმი როგორმე ხელში ჩაეგდო, მაგრამ ციხეს ვერას ვზით ვერ მიუდგა.

ამასობაში სელიმმა სულთანს კაცი გაუგზავნა: ნება მიბოძე შენთან მოვიდე, ყველაფერი მოგახსენო და თუ მტყუანი ვიყო, მაშინვე მომკალიო. მავრამ სანამ სულთნის ჰასუხი მოეიდოდა, სელიმის საუბედუროდ ციხე სწორედ შიგნიდან გატყდა. მისს ბაირალთარს ვერცხლომყვარებაშ სძლია, მაჰმუდის-მიერ მოსყიდულ იქმნა და ციხის კარის გასაღები მისცა.

ერთ დამეს, სელიმის ჯარი უშიშრად და არხეინად რომ იყო, ისე ციხის კარი გაიღო. ბაირალთარი სელიმთან მიიჭრა საჩქაროდ, კარი დაუკავუნა და მოახსენა: ფაშა შემოვიდა და უნდა წაგიყვანოს, ძალით ვერას გავხდებითო. სელიმი გამოვიდა და უთხრა: ცოტა მომითმინეთ და წამოვალო, — მინდა ცოლშვილს გამოვეთხოვოვთ. მივიდა ცოლებთან და უთხრა: ძვირფასი რამ ნივთები მოძეცითო. ცოლებს ეგონათ გაგიყდა, ან ფულით მტერი უნდა დაახარბოს და თავი დაიხსნასო და ცრემლი მოერიათ. — გიუი ნუ გგონივართ, — დაამშვიდა სელიმმა, — ჯალათს ნება აქვს მკვდარს ჯიბე გამისინჯოს, რაც გამომაჩნდება, ყველაფერი მისი იქნება. რომ დამისინჯავს და ვერაფერს იპოვის, ხომ შემაგინებს: „უუ ამის კაცობას, ცარიელი დანავალაო“. ეს უთხრა და ორიოდ ძვირფასი თვალი გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო.

სელიმი ციზიდან გამოიყენეს და სანამ თავს მოჰკვეთდნენ, სამი დღე-ლამე არ აძინეს, რომ თავის მოკვეთის დროს ტანჯვა არ ეგრძნო. აჲა, მისის დასჯის დღეც დაფა, მაგრამ ჯალათობა არავინ იკისრა. ბოლოს, ერთი არტანუჯელი სომეხი გამოჩნდა, მისცეს ერთი ოქრო და იმანაც სიამოვნებით მოჰკვეთა თავი სელიმს სოფ. ბაკოს ზემოთ, სწორედ იმ ადგილას, რომელსაც „სერი-ყანა“ ჰქვიან და ხადაც გლეხნი დღესაც პურსა სთესენ. მერე ეს სომეხი სელიმის შეილს არტანუჯში მოუძებნია და მოუკლავს.

ამ აჭარელ გმირის თავის მოკვეთის შემდეგ ორს საათს არ გაუვლია, ისე სულთანის ფირმანიც მისულა: „თუ დაიჭირეთ სელიმი, ცაცხალი მომგვარეთო.“ მაჲმუდ-ფაშამ, ამის მაგივრად, სელიმის თავი სულთანს ჩაუტანა სტამბოლში, როგორც ტროფეი. სულთანს ძალიან ეწყინა თურქე და ჰკითხა: „ფირმანი რა უყავიო? — სიკვდილის შემდეგ მოვიდაო. — რაკი ასეთის კაცის დაფასება არა გცოდნია და არ დაგნანდა, ალარცე მენანებიო“. და ბრძანა თავი მოეკვეთნათ.

სელიმის თავი სტამბოლშია დამარხული და ქების წარწერაც აქვს მის საფლავის ქვასაო. ტანი კი ჯერ სოფ. შეგანა-

ში დაუმარხავთ, მაგრამ მერე ცოლს თავისს სოფელ ნიგოზე-  
ულში გადაუტანინებია.

ახლა მოვუსმინოთ აქარელს, რას ამპობს თავისს ლეგენ-  
დაში ამ ციხის ამშენებელის თამარის შესახებ. ეს ლეგენდა თა-  
მარს წარმოგვიდგინს ხირხათის ციხეში შეფარებულს „უსჯუ-  
ლოთა მეფის“ ალექსისაგან თავის დასაღწევად.

ამ „უსჯულო“ მეფეს დიდი ქება გაევონა თამარისა: მის  
სილამაზის წინაშე მზის ბრწყინვალე სხივის კრთებიანო, არც-  
ერთს დედის მუცელს მაგის მსგავსი ასული არ უშვია ქვეყნის  
განენიდანაო. იმანაც გადაწყვიტა ცოლად შეერთო. გაუგზავ-  
ნა მოციქულები და თავისი სურვილი ჰეუთვალა; თანაც დარ-  
წმუნებული იყო, რომ თამარი დედის სიხარულით მოისმენს  
ჩემს წინადადებასო. ეჭვიც კი არა ჰქონდა, რომ თამარს უარის  
თქმა აზრად მოუყიდოდა. მაგრამ თამარს გადაწყვეტილი ჰქონ-  
და უბიწოდ დარჩენილიყო და, ეგეც არ ყოფილიყო, უსჯულო  
მეფეს მაინც არ გაჰყვებოდა, თუმცა ამ მეფეზე ძლიერი და  
მდიდარი ცის ქვეშეთზე არაერთ იყო. ამიტომ, თავისს თაყვანის-  
მცემელს უარი შემოუთვალა,—იმედი ნუ გაქვს, როდესმე ცო-  
ლად შემირთოვო.

უსჯულოთა მეფე დაჩვეული იყო, რომ ყველანი და გან-  
საკუთრებით დედათა სქესისანი, მის სურვილის ყურმოჭრილი  
მორჩილნი ყოფილიყვნენ, ამიტომ თავმოყვარეობა მეფისა მწა-  
რედ შეურაცხჰჰო ამ სუსტის ქმნილების უარმა. გადასწყვიტა,  
ძალით მოეხრევინებინა ქედი თამარის ჯიუტობისათვის. შემო-  
იკრიბა აურაცხელი ჯარი და ჯერ საქართველოს მუსრი გაავ-  
ლოა მისგან დევნილი თამარ მეფე აქარაში ივლიტო და იქ  
თვალის დახამხამებაზე ხირხათის მიუღომელ მთაზე მაგარი ციხე  
გააშენა, შიგ შეიყვანა თავისი ჯარი, შეიტანა რამდენისამე  
წლის სამყოფი სარჩო და დაუწყო ლოდინი მტერს. მტერიც  
მალე მოვიდა თავის უთვალავის ჯარით და ხირხათის ციხის  
პირდაპირ მთაზე დაბანაკდა. ბევრი უტრიალა, მაგრამ ციხეში  
ვერასგზით ვერ შევიდა. გაიარა რამდენმამე თთვემ. მეფე იმედს

არა ჰქარგავდა, — საჭმელი რომ შემოელევა, დამნებდება, მაში რას იზამსო. მაგრამ თამარი წარბსაც არ იხრიდა, გული არხე-ინად ჰქონდა.

მოთმინებიდან გამოსულმა უსჯულო მეფეშ ბრძანა, ის ხრაში, ხარხათის ციხესა და იმის ბანაკს შეუა რომ იყო, ბამბით ამოექსოთ და ამით ერთის მხრით — თამარისათვის ეჩვენებინა თავისი სიძლიდრე და მეორეს მხრით — ხილი გაეკეთებინა ცი-ხეში შესასვლელად. რაც მის სამეფოში ბამბა იყო, სულ აქ მოზიდეს და მოკლე ხანში ხრამი ციხის პირამდე ამოაესეს. ამ დროს თამარმა ბრძანა ამ ბამბის ხიდისათვის ცეცხლი წაე-კიდებინათ. ასე რომ შრომამ და ხარჯმა ფუჭად ჩაუარა მისს მოტრფიალეს.

ხირხათის ციხიდან ერთის დღის სავალზე ზარზმის მონა-სტერია, სადაც თამარს, ჩვეულებრივ, ღვთის ლოცვა-ვედრება უყვარდა. ხირხათის ციხეში ამდენის ხნის ყოფნის შემდეგ სა-შინლად მოუნდა ზარზმაში წასვლა. მაგრამ როგორ? უსჯულო-თა მეფეს უველგან დარაჯები ეყენა, რომ თამარი არსად გაპა-რულიყო. რათა ეს დაბრკოლება თაეიდან აეცილებინა, თამარ-მა ბრძანა ზარზმამდე გვირაბი გაეყვანათ მიწის ქვეშ. მისი სურვილი დაუყოვნებლივ ალახრულეს მისმა ერთგულმა ქვეშევ-რდომებმა. და აპა, თამარმა იწყო ზარზმაში სიარული და ვე-დრება — ლმერთო, იხსენ შენი მმოსავი ხალხი ამ განსაცდელი-საგანო. რაკი ამ მონასტერში სიარული და მისს წმიდა კედ-ლებს შორის ვედრება შეეძლო, თამარმა ყოველი დარღი გულიდან გადიყარა: იმედი ჰქონდა, რომ ლმერთი ამ წმიდა ადგილის ვედრებას უსმენდა და მისს სამეფოს ხელს არ აალებდა.

მაგრამ ციხე შიგნიდან გატყდა. იუდას მარტო ქრისტე კი არ გაუცია.

თამარ მეფეს ზარზმაში ერთი დედაბერი ემსახურებოდა და იმის მეტმა არავინ იკოდა საიდუმლო გზის არსებობა. უსჯულოთა მეფემ გამოაცხადა, ვინც თამარს დამაჭერინებს, თავისს წონა ოქროს მივსცებო. ყოვლად ძლიერმა ოქრომ თავ-

ტანი დაუკარგა დელაბერს და გადააწყვეტინა თავის მეფისათვის ეღლალატნა. მტერს შეუთვალა: თუ დაპირებულს ოქროს მომცემ, დაგაჭერინებ თამარსაო. მეფემაც სიხარულით მიუწონა ოქრო. დელაბერმა მიიყვანა ერთს აღვილას, მიწა ჩათხრევინა და უთხრა, აქ ჩაესაფრე და როცა გამოივლის, შენ იცი და იმანაო.

დანიშნულს დროს დვოის მოშიში თამარი შართლა მოვიდა ზარზმაში. მაგრამ მისი აქ მოსვლა უკანასკნელი იყო. რაკი დაინახა, რომ გამხეცებულს მტერს ხელიდან ვეღარსად წაუვიდოდა, გადააწყვიტა თავისი თავი თუ არ მკვდარი, ცოცხალი არ დაენებებინა. და შეევედრა: „ვხელავ ჩემს დღესა, შენის ხელისაგან განთავისუფლებას ცდა ჩემის მხრით ამაო იქნება. ერთს-ლა გთხოვ: ერთი დღე თავისუფლება მომეცი, რომ ოთახში მარტო დავრჩე და უკანასკნელად ვილოცო ღმერთი. მერე რაც გენებოს, ის მიყვით“. მეფემაც ნება მისცა, ჩაკეტა ერთს ოთახში და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

მეორე დღეს გულის ფანცქალით გაალო მეფემ ოთახი, სადაც დამწევდეული ჰყავდა თავისი ძვირფასი ტყვე. მაგრამ დახე მისს სასოწარკვეთასა: მზის დარ თამარისა გაცივებული გვამილა ესვენა,—იმავ ლამესვე დაელივნა საწამლავი, რომელსაც სულ თან ატარებდა, რაკი შიში ჰქონდა, რომ შეიძლება მტერმა ერთ დღეს ხელში ჩამიგდოსო. მაგრამ სიკვდილმაც ვერ იხსნა წმიდა გვამი თამარისა შეურაცხყოფისაგან და მტერმა თავისი უწმიდური და მხეცური უინი მიცვალებულზე მოიკლა.

მეორე ვერსია ამ ლეგენდისა ამბობს, რომ უსჯულოთა მეფე, მართალია, დილხანს სდევდა თამარს, მაგრამ ხელში ვერ ჩაიგდო ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალით. თამარმა იცოდა, რომ მეფე დაფიცებული იყო: თუ ცოცხალს არა, მკვდარს მაინც ჩავიგდებ ხელშით. ამიტომ მოხუცებულებამდე ემალებოდა მტერს. რომ იგრძნო, სიკვდილი მომიახლოვდაო, იახლა თორმეტი ერთგული კაცი და ერთ უდაბნოში დაიმალა. ეს უდაბნო, დღესაც არაერთ იცის, სად არის. როცა თამარი გარდაიცვალა, მისმა თორმეტმაც ერთგულთა საწამლავი დალიეს, რომ იქიდან.

არავინ გამოსულიყო და როგორმე არ წამოსცდენოდა, სადაც განისვენა საუკუნოდ ქართველთა წმიდა მეფებმა, რათა უსჯულოთა მეფეს არ მიეგნო მის ცხელარისათვის. აქ, ამ უდაბნოში,— დასძენს ლეგენდა,— დიდებული გვირგვინოსანი ოქროს აკვანში განისვენებს და შვიდის სამეფოს განძი გარშემო შემოქუჩებული აქვსო. ესე რომ სრულიად ეთანხმება ამ ლეგენდას ის ხალხური ლექსი, რომელშიაც გამოთქმულია ის აზრი, რომ არავინ იცის, თუ თამარ მეფის საფლავი საღ არისო:

„დაბნელებულა ქართლის მზე:—

დედა ქართლისა თამარი,  
სიმშევნიერით მთსილი,  
ამომავალი მზის დარი,  
სიკვდილის შემდეგ შემობლებმა  
მკვდარიც ვერ ჭრივეს სად არია“.

თანახმად ამ ლეგენდის მესამე ვერსიისა, თამარ მეტე არ მომკვდარა, ცოცხალია და ერთ დღეს ისევ გამოჩნდება და მეთაურად დაუდგება თავის საყვარელს ხალხს, რომელიც ერთ დროს ესლენ ბელნიერი, ესლენ მამაცი და სახელგანთქმული იყოვო.

აქვე გავიგონეთ ერთ ქობულეთელ აზნაურის მაპმადიან-ქართველის ყურშუმ-აღა ჭყონიასაგან შემდეგი თამარის ანდერძისებური ლექსი:

«თასი გაბა\*) ყმა მეგავდა:  
გველანი თქროს დილითა;  
კაჭმევდა დედალ სოხობსა,  
კასმევდა ბროლის ჭიქითა.  
კინცა შემება, შეგება  
ჩლალითა და ჭიქითა,  
აწმ თქვენ იცით, მეფებო,  
კინც დარჩით ამას იქითა...»

\*) 1 კაბა=1,000.

ამ ლეგენდისა და ლექსის მომხიბვლელ გავლენის ქვეშ  
მყოფთ მოწონებით სალამი მივეცით ჩვენის დიდების უტყვს  
მოწამეს, ნისლის თეთრ სამოსელში გახვეულ ხირხათის ციხეს.  
ნახევარ უამის სიარულის, ანუ, უკედ, ცურვის, შემდეგ ჩეცნს  
ცხენებს ვასხედით და ღამის წყვდიადში, ომელსაც ჩამობნე-  
ლებული ტყე უფრო ძლიერებდა, ცხენების ალლოზე დანდო-  
ბილნი სოფ. ქოჩახში მივდიოდით, ხიმშიაშვილთა საზაფხულო  
სასახლეში.

୩. ଶକ୍ତେଜୀଳ

## ქველი თაობა

იღდა ჭავჭავაძე, როგორც ბუბლიცასტი

(წერილი მესამე)

ჩვენი წარსული ისტორია მთელ ქართველ ხალხის კუთვნილებაა. ქართველი ხალხი, ხეროთოდ აღებული, ჰქონიდა თავის ისტორიას, იცავდა თავის ვინაობას. ამისათვის, ვინც ამ ისტორიის ღირსება-ნაკლულევანების დაფასებას შეუდგება, ის შეეხება მთელ ხალხის ღირსება-ნაკლულევანებას, მისს ცხოვრების უნარს, ისტორიულ მომზადებულობას და ნაყოფიერებას.

მხოლოდ ჩვენში საჭმე სხვა ნაირად ესმით. თუ გამოესარჩეოთ იშას, რაც მთელმა ხალხმა შეჰქმნა—ისტორიულ ნაშთებს—ტაძრებს, ხელთ-ნაწერებს, მატიანებს, თუ გაჰყადნიერდით და ისტორიის მიმდინარეობის და ფაქტების დამახინჯების შესწორებას შეუდევით, იცით რა სახელით მოგნათლავენ ჩვენში, იცით, რას დაგწამებენ? წოდებრივ უპირატესობის მცველს დაგიძახებენ და კლასისურ გრძნობებს და მისწრაფებებს აღმოაჩენენ თქვენს გულში. ჩვენა გვვონია, რომ ნაშთი, ხელთ-ნაწერი და მატიანე და სხვა ამ გვარი, ერთ წოდების კუთვნილება არ არის, გვვონია, რომ ქართულ ისტორიის დამახინჯებამ არ უნდა შექლახოს მარტო ერთ წოდების თავმოყვარეობა და ხალხს სასიქადულოთ არ უნდა მიაჩნდეს ამ გვარი დამახინჯება. ამ შეხედულობაში ჩვენ მხოლოდ ხალხის უპატივის ცემლობას ვხედავთ და მეტს არაფერს. როგორ, ხალხმა

სისხლი ჰლვარა, ტანჯვით და ვაებით დაიცვა ის, რასაც „ისტორიას“ უწილებენ, ხალხმა შრომა დახარჯა, ჩქერ კი არც ამ შრომას და ლვაწლს, არც დანთხეულ სისხლს არაფრად ვაგდებთ. ხალხს არ უნდა ეწყინოს, როდესაც ყალბი მეცნიერები გამოდიან და საქვეყნოდ ჰყვირიან, საქართველო არასოდეს არ არსებულაო, ქართველებს დამოუკიდებელი ცხოვრება არ ჰქონიათ, ქართული კულტურა და ძველი ლიტერატურა არაფრად ჩასვლებიან და სხვა ამ ნაირი. თუ ვინმეს ეხება ყველა ეს, თავად-აზნაურობა უნდა იყოს, ან ბურეუაზია; მათ უნდა მოხვდეს გულში უსამართლო ისტორიის დაფასება. ხალხს კი ყველა ეს არ ეხება, ხალხი ისტორიის გარეშე რჩება, არავითარ მონაწილეობას არ იღებს მის მოძრაობაში. რა არის ყველა ეს, თუ არ ხალხის დამცირება, მისი არაფრად ჩავდება და გაბათილება.

მართლაც, როდესაც ჩვენს ლიტერატურაში დაიწყეს ლაპარაკი სომხის ერთ გვარ ჯგუფზე, რომელმაც ქართველების დამცირება მოინდომა, როდესაც ამ ჯგუფს უსამართლობა და მიღვომილობა დასწამეს, ერთმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ აღიარა, რომ ეს აღიაქოთი ჩალად არა ღირს, რომ ყველა ამაში გამოისახება ორ გაბატონებულ წოდებათა შორის (სომხების და ქართველების) ანგარიშის გაწევა, რომ ამ კამათს აქვს წოდებრივი ხასიათი და ამისათვის ხალხს ის არ შეეხება.\*)

ასე მოუფიქრებლად სჯიან ჩვენში. თითქოს საკამათო საგანი რომელიმე საგვარეულო ისტორია ყოფილიყოს და არა მთელი ხალხის ისტორია, თითქოს „ქართლის ცხოვრება“ საგვარეულო უაველი იყოს და არა მთელი ხალხის ისტორიის მატიანე, თითქოს „ვეფხვის ტყაოსანში“ ერთი წოდების სიბრძნე იყოს ჩართული და არა მთელი ერისა,

როდესაც ილია ჭავჭავაძემ თავის „სომებთა მეცნიერნი და ქვათა ლალადის“ წერა დაიწყო, მხედველობაში ჰქონდა,

\* ) იხილ. „ცხ. კურ. გელეიშეილის წერილი.

ერთის მხრით, ქართველ ხალხის, ქართველ ეროვნობის ინტერესი, მეორეს მხრით, ყალბ ლიბერალიზმის დარღვევის სურვილი. ლირს შესანიშნავია აგრეთვე ის, თუ ვინა ჰყავს ჭავჭავაძეს ამოჩემებული სომხებში. სიმართლეს მოკლებულია ის ბრალდება, ვითომ ჭავჭავაძე მთელ სომხის ერს ემტერება და ემუქრება. ყველა ამაზედ თვითონ ავტორი ავალაპარაკოთ და ვეცადნეთ მკითხველის ყურადღების მიქცევა იმაზედ, თუ რამ აალაპარაკა ილია ჭავჭავაძე და ვინ არიან მისი მოპირდაპირენი.

«ჩვენასთანა დაბრიუებული, დაბალ ღობედ მიწნეული ერთ, ჩვენისთანა სახელგატებილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე, ამბობს აკტორი. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვეჭავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის გაგეასის ქედს აქედ ჩვენი სხენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ ადაგონ და ჩადასაკით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესა დაც გულფილევართ, არც დღეს ვართ... სულით დაბალინი, ჭკვა-გონებით ჩლუნგნი, ზნეობა დაცემულინი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებულნი, გაღატაგებულნი, ფლიდნი, პარის-გამტენი—აი ჩვენის სულიერ და სორციელ აკლადიდების სურათი! აი რანი გულფილევართ, რანი ვართ დღეს ძმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისა და სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება... ვისი უნარია უოგელივე ეს?—განაგრძობს აკტორი. ეს რა შევი უორანია, რომ თავს დაგვიტრიალებს, ზედ დაგვეუფე და დაგჩხავის? ჩვენ ადრეც გვითქმამს და ეხლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იყი ბრალი, იყი ცოდვა მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეუნიერთ ეკუთვნის. თუმცა ასეა, მაგრამ მინამ გადამს ხელში ავღიბდით ამ წერილის დასაწერად, დადხანს ჩავუფიქრდით ერთს ჩვენთვის დად-მნიშვნელოვანს გარემობას: როგორ ჩამოგვართმევს წერილს მთელი ერი სომხებისა? ეს საკითხი უქმი საკითხი არ არის, როგორც კნახავთ. ერთ, როგორც კრებული ისტორიათ შეღუღებულ ერთ-სულ და ერთ-სორც მკვიდრთა, უოკელ ბატისტისა და ჭკვათა მულფელ ადამია-

ნისაგან უნდა ჰატიკცემულ იუს ყოველ შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუზარიცხება, ავად სსენება დადად სათავიდო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულ-თა-თქმა, თავისი წილილები, თავისი სულთა-სწრაფვა, თავისი ღრმ-სება. ამაგების შეგინება ერთი იმისთვის სიბრივება, რომელიც გო-ნება გახსნილს ადამიანს არ ეჭატიება, არ შეენდობა. ეს ჩემ კარ-გათ კოცით და ღმერთმა გვიშორს იქ მთელი ერთი გირ გიგულისხმოთ, საცა მარტო ერთ გვარი გუნდია ცოდვილი. აი საფრთხე სწორეთ აქ არის. აი აქედამ მოველით იმ მტკერ-ბუქსა, იმ კუდიან—ქარსა, რომელის აუნებას არ მოერიდება იგი ერთგვარი გუნდი, რომ კაცს თვალები დაასუჭინოს, თვალები აუბას... მთელი ერთ სომხებისა აქ არაფერს შეუშია. იგი, კითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამრ-ჭელი, თავისს საქმეს ადგია—კაჭორისაა, თუ ხვნა—თესპე—და ფიქრადაც არ მოსდის და აუც ეჭიორება ჰასუხის მგბელი იუს იმ ზოგიერთა ცოდვების გამო, რომელიც არა-მკითხე ბოაშესაკით მუტიჩარობენ და გარს დასტრიალებენ, როგორც მუძღვი მუძღვა... დორა ჭიქუს მოვიდეთ,—გვირჩევა აკრორი,—და არ შეეგუშინდეთ იმ ცუუ-ბენტელა ლიბერალებს, იმ ჭეშმარიტის ლიბერალობის ბერი-ებს, რომელიც განგებ ჰითში ბურთს გვჩრდან, რომ თავისი რინბაზობა, ოპირობა და ცალ-გულობა მიაფუქინონ და ზედ ლი-ბერალობის წმინდა კალთა გადასაფარონ. ნუ გვამსილებთო ჩენს ცულლუტობას, ოინბაზობას, თორუმ ეროვნულ შფოთის აღდგენას დაგწამებთ, რეტროგრადობის ბანაკი თავს ამოგაყოფინებთ, რად-განაც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ეროვნულ შფოთის ატესა, ერთა შორის ღვარძლის შთამოთესვა სიბრივებას და გონების სი-ბნელეს მოასწავებსო და ლიბერალობის შეგინებასათ... ხოლო ლი-ბერალობა განა მალეა,—გვეკითხება აკრორი,—ანუ ხელის წავარება ტუულებისა, ოინბაზობისა, თაღლითობისა, თვალითმაქციობისა და ყოველგვარ ნამუს-ახდილობისა, და არა მხილება ულველ ამისი? საბუთიანს, მართალს მხილებას, თუნდა მთელის ერისას, გო-ნიერი ერთ მაღლობით ეპურობა და არა რისხვითა და შფოთოთა. ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წაა-წევდინო, არავის გააჭილვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრ-

დადებულად არ შეიძინო... თუ აქაც-და შეფოთი ასტუდება, დას-  
მენს აკორი, და ლიბერალობის დაღადებით ჩვენ, ქართველებს,  
სმას გვაკმენდინებენ და თუ მარტო ბალლების საცდენად და საფრ-  
თხობლად არ მოაქვთ აქ უადგილოდ ლიბერალობა, რატომ ასევე  
მიზეზით იმ გუნდს სომხებისას ბირში კაშს არ ამოსდებენ, რო-  
მელთა მეცნიერნი, საცა გინდათ თუ არ გინდათ, მთელს ქართ-  
ველს ერს—ლიახ, მთელს ქართველს ერს! — თავზე დაივის ასხმენ  
ჰქონის წინაშე და საფლავს უთხრიან. <sup>ა)</sup>\*

ამ გვარ შესავალით იწყობს ილია ჭავჭავაძე სომხების  
ცრუ-პატრიოტთა აზრების გადასინჯვას, მათგან ქართველთა ღი-  
რსება-ნაკლულევანების შესწავლას, ქართულ ისტორის, კულ-  
ტურის და ლიტერატურის დაფასებას. ჩვენ აქ არ გამოუვუ-  
დგებით იმ საკამათო საგნების გარკვევას. ვინ არის მართალი,  
ვინ არა, ეს მოუღომელმა მეცნიერებამ უნდა გაარჩიოს — ამ  
კითხებს მომავალი კრიტიკოსი მოელის. ჩვენ გვაინტერესებს  
ამ კითხვის ერთი მხარე, სახელდობრ ის, თუ რა ბრინჯაბით  
ხელმძღვანელობრა ილია ჭავჭავაძე, საბრძოლველად რომ  
გამოვიდა, და ის, თუ რა სულის მიღრეკილება ამოძრავებდა  
მის კალაშს. პატრიოტული ფანატიზმი და სიძულვილი კი  
არ ალაპარაკებდა ავტორს, არამედ დამკირებული და შე-  
ლიახული დამიანობა. ავტორის წყრომა და ჯავრი კანო-  
ნიერი წყრომა თავხედობის და თავ გასულობის წინააღმდეგ.  
სომხის ერი არაფერ შუაშია, ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ  
სახეში აქვს ერთგვარი ცრუ-პიტრიოტთა და მწიგნობართა გუნ-  
დი. ეს კარგათ უნდა დავიხსომოთ. და სომხებმაც უნდა  
მიიღონ მხედველობაში. ამ საქმეში თვით სინიღისიერმა სო-  
მებმაც უნდა მისცეს მხარი ავტორს, თუ სცნობს, რომ მისი  
საბუთები შეურყეველ საძირკველზედ არიან აშენებულნი. აქ  
არ უნდა ჰქონდეს ადგილი გაუგებრობას. ავტორს ვერავინ  
დასწამებს სომხის ერის უპატივისცემლობას. ვიმეორებთ, ავტო-

“) „ივერია“ 1898 წ, №№ 202; 204, 1886 წ. №№ 246 და 273;  
1897 წ. № 21 და 1889 წ. № 255.

რის დახასიათებისათვის, უნდა კარგათ გვახსოვდეს ამ კითხვის პრინციპიალური შხარე.

აქ ჩვენ წერტილს ვუსვამთ. აქ თავდება ილია ჭავჭავაძის ის ეროვნულა და პოლიტიკური მოძღვრება, რომელსაც არამც თუ თანაფუგრძნობთ, პირიქით, ჩვენს ეროვნულ მოძღვრებადა ვსთვლით. ვუსვამთ წერტილს და ვამბობთ, რომ აქ თავდება საზღვარი, როდემდინაც ჩვენ ფეხ-და-ფეხ მივდევდით ავტორს.

აშკარაა ავტორის სულიერ ცხოვრებაში რაღაც ცვლილება ხდება, რწმენა ეკარგება და გულიც უტყედება. და ეს გულის გატეხა და რწმენის დაკარგვა იმაში გამოისახება, რომ ავტორი აღარ ხედავს თეთი საზოგადოებაში და ხალხში აღორძინების და გალვიძების უნარს, მისი ზეობრივი ძალა სუსტდება და ეროვნულ თეთი მოქმედების ქადაგების სურვილი ეკარგება. ფსიოთლოგიური კანონია, რომ სუსტი და ლონჯ მიხდილი სხვას შეცყურებდეს და სხვისგან მოელოდეს მოწყალების და დახმარებას. ასე ემართება ილია ჭავჭავაძესაც. თვალი კადავჭლეთ „ივერიის“ ნომრებს 1887 წლიდან დაწყებული\*). კითხულობთ და არა გჯერათ, რომ შესაძლებელია ამგვარი ცვლილება. ამ ეამად ჩვენ არ შევეხებით ილია ჭავჭავაძის ახალი „ტაბის“ ნაწერებს. მომავალი ისტორიკოსი უფრო ზედ მიწევნით გამოარკვევს ამ კითხვას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ავტორს სხვა პოზიცია ეჭირა წინად ეროვნულ კითხვების განმარტებაში, და ეს ცვლილება მარტო ილია ჭავჭავაძის დამახასიათებელი არ არის, იგი თითქმის მთელ ძეელ თაობას\*) ეხება. ამას ჩვენ შემდეგში უფრო ნათლად დავინახავთ.

\*) „ქვათა ღალადი“.

\*) სიტყვას—«ძველ» და „ახალს“ ჩვენ ვხმარობთ ორ აზრთა მიმართულების დასახასიათებლად და არა წლოვნების განსხვავების გამოსახატავად. როგორც ახალგაზდებშია ბევრი „ძველი თაობის“ მიმართულებისა, ისე მოხუცებში არა ერთი ახალ აზრთა მიმდევარნი.

## II

აქამდის ჩვენ გვქონდა შეცდელობაში მხოლოდ ერთი (ეროვნული) მხარე ილია ჭავჭავაძის ნაწერებისა. გზა-და-გზა ჩვენ გავეცანით ავტორს, როგორც ეროვნული ცხოვრების წინამდლოლს, როგორც ჩვენს ეროვნულ ჭირ-გარამის გამომ-სახველს და ამასთან გავითვალისწინეთ ავტორის პოლიტიკური იდეალი და დაეუკურდით იმისს საზოგადო ფილოსოფიის მო-ძღვრებას. ავტორის დახასიათებლად საჭიროა გავითვალისწი-ნოთ აგრეთვე მისი საზოგადოებრივი ფილოსოფია და ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების განშარტება. მხოლოდ შემდეგ ამისა წარმოვიდგება სრული სურათი ილია ჭავჭავაძისა, როგორც პუბლიცისტიურ მწერლისა, წარმოგვიდგება აგრეთვე არსებითი, დამახასიათებილი თვისებები „ძველი თაობისა“, რადგან ჩვენი ავტორი უნდა ჩაითვალოს თუ არ წინამდრად, ამ თაობის ერთ საუკეთესო წარმომადგენლად მაინც.

საზოგადოებრივ მწერლის მოგალეობაა ახსნა და განმარ-ტება ეკონომიკურ ცხოვრების პროცესისა. მწერალმა უნდა აგვიხსნას სოციალური წეს-წყობილება, წოდებათა ურთიერთობა და ერთმანეთთან დამოკიდებულება. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ხშირად ამ ურთიერთობაზე და დამოკიდებულებაზე და არის აშენებული ხალხის კეთილ-დღეობა ანუ შევიწროება.

ჩვენში ძველი დროიდამ დამყარდა წოდებრივი წყობილება. ამ წყობილების კვალს დღესაც ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში. ამისათვის, თანამედროვე ეკონომიკურ პირობების დაფასებისათ-ვის საჭიროა ვიქინიოთ ნამდვილი იზრი და შეხედულება ჩვენს წარსულზე (ჩვენ ვკულისხმობთ ამ წარსულის სოციალურ მხა-რეს). არის თუ არა ჩვენს წოდებათა შორის ინტერესთა წი-ნააღმდეგობა, ეს არის მთავარი კიოხვა, რომელზედაც საზოგა-დოებრივ მწერლის უნდა ჰქონდეს განსაზღვრული პასუხი. მწერლის დახასიათოვნება, სხვათა შორის, იმაზეა დამყარებული,

თუ რა პასუხს იძლევა ამ კითხვაზედ, თუ როგორ ხსნის ეკონო-  
მიურ ცხოვრების აგებულებას. მხოლოდ, რათა შეტერლის აზ-  
რი ამ საგანზე უფრო ნათელი და გარკვეული იყოს, საჭიროა  
განმარტება მეორე კითხვისა, სახელდობრ იმისა, თუ როგორი  
განწყობილება იყო ამ წოდებათა შორის ძველ დროში. მათი  
ურთიერთობა ინტერესთა წინააღმდეგობაზედ იყო აშენებული,  
თუ სხვა რამ საფუძველზედ. აწმუო შედევია წარსულისა, ჩვე-  
ნი ცხოვრების პირობები გამომდინარებენ ძველ დროის  
ცხოვრების პირობებიდამ. ამისათვის აწმუოს გაგება შეუძლე-  
ბელია, თუ წარსული არა გვაქვს შესწავლილი.

ილია ჭავჭავაძეს ეს კარგათ ესმოდა და ამიტომაც სცდი-  
ლობდა ხშირად წარსულის განმარტებით შუქი მოეფინა  
თანამედროვე ცხოვრებისათვისაც. თანამდროვე ეკონომიურ  
პირობებში. აეტორი არა ჭხედავს მირთხდ ინტერესტთა წი-  
ნააღმდეგობას. და ამ თავისს აზრს, სხვათა შორის, აფუძნებს  
იმაზედაც, რომ ჩვენს ძველ დროშიაც არ იყო ამგვარი წინა-  
აღმდეგობაო.

ჩვენს ენაში, ამბობს აკტორი, სიტუაციაზე მოიპოვება იმ  
აზრის გამოსახატავად, რასაც რესული სიტუაცია „coctoberie“ ნიშ-  
ნებს. ესლანდელი ჩენი სიტუაცია „წოდება“ გუშინდელი სიტუაცია...  
ჩვენს ძეგლის ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერთბისა ან ასე-  
ბობდა... ჩენში უკეთესი ერთნაირად უსმონი და უფლებას მოვლე-  
ბული იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა... იმ ბრძოლას და  
შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაშურობათ, გასაკრცო-  
ბათ, ომელიც უკრთხვაში იყო და ესლაც არ გათავსებულა და ოლ-  
მელიც უპირველესი მიზეზი იყო ერთს წერძ-წერბად დაყოფისა,  
ჩვენში ადგილი არა ჭრონდა... რავი ბრძოლა არ იყო, ბანაკებად და  
უფლებულ ერთსა არ იქმნებოდა, არ იყო წერძ-წერბად განცალებების  
მაზეზიც ჩვენს ერთბაში, ოლმელიც, თუ თვის ცხოვრებაში  
უწევდებოდას რასმეს ჭკარმნობდა, საერთოდ გრძნობდა, რად-  
განაც უკეთესი, ოლგარც ზეგითა ვსთვით, ერთნაირად იყვნენ უფ-  
ლების მოვლებულნი, ერთნაირად უსმონი და უტენდ ჭვეშნის საქ-  
მეთა გამგეობაში... ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე

თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად ისენიებოდა და გლეხი კი არა... დღეს ჩემში გლეხაც იმისთვის მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკვლესია. თვითონ ბატონ-ემობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩემში კუთვნილებათ ერთისა და იმავე წოდებისა. გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურობათა და ეკვლესიას, შეეძლოთ უმების უთადა... ჩემ იმაზეც კართ დამყარებული, რომ წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურისა, ცილება, რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეუნებში, ჩემში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნებით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩემულებით ჩენი თავად-აზნაურობა არ დაჭმოურებია გლეხობას, არ შეგვატია თავი, თვის საკუთარი ინტერესები არ შემუგაზავს ისე როგორც სხვაგან... ჩემში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილ მიღრებია სუფეკსა \*).

ასე სჯის ავტორი. ასეთის შეხედულობის იყო ის ჩეენს ძველებურ ცხოვრების წეს-ტყობილებაზე. წოდებათა შორის თანხმობის დამტკიცება ავტორს, სხვათა შორის, იმისთვის უნ დოდა, რომ ამ „თანხმობაზე“ აშენებდა ავტორი სათემო (განურჩევლად წოდებისა) სოფლობის შემოლების საჭიროებას ჩენში. სათემო საზოგადოება (всесословная волость) პირველ შეხედვით ლიბერალურ დაწესებულებას მოაგავს. იურიდიულის შეხედულობით რომ შევეხოთ, მართლაც ამ გვარი დაწესებულება არ ეწინააღმდეგება ლიბერალობას, რადგან დაფუძნებულია წოდებათა იურიდიულად გათანასწორებაზე. მხოლოდ, თუმცა ამგვარი დაწესებულება თეორეტიულად ლიბერალიზმს არ ეწინააღმდეგება, პრაკტიკულად გამოუსადეგარია, რადგან ამ „სოფლობაში“ შედიან სხვა-და-სხვა ეკონომიურ ხარისხის წარმომადგენლები (მდიდრები ზა ლარიბები) და რადგან ამ ეკონომიურ სხვადასხვაობაში უპარატესობა ყოველთვის შეძ-

\*) „ცხოვრება და კანონი“ „ივერია“, 1879 წ.

ლებულს ექნება და ლარიბი ყოველთვის დაჩაგრული დარჩება.\*.) ხოლო ჩვენი ავტორი არა ჰედავდა ცხოვრებაში იმ ეკონო-მიურ ბრძოლას, რომელიც უვარვისად ჰედიდა იმისთანა დაწე-სებულებას, როგორიც არის წოდებათა განურჩევლად, საყოვე-ლთაც სოფლობა.

თავის დროზედ ჩვენს ლიტერატურაში მიაქციეს კურად-ლება იღია ჭავჭავაძის ამგვარ შეხედულებაზედ ჯერ ხუდალო-ვმა (1881 წ.), მერე ნოე ეორდანიამ (1900 წ.) ნათლად გა-მოააშკარავეს ავტორის ამ კითხვაში შეცდომა. მხოლოდ რა-ზეგან ამ კითხვას ცოცხალი თანამდროვე ინტერესი აქვს და დღესაც არიან ჩვენში იმისთანანი, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენ-ში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპი-რატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხ-სენიებოდა და გლეხი კი არა\*\*), ამისათვის ჩვენ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ამ საგანზედ და ისტორიულის შემო-წმებით გავითვალისწინებთ კითხვას.

ბ-ნი ხუდალოვი საფუძვლიანად უპასუხებდა ჭავჭავაძეს და ამბობდა: „როგორც იქ (ევროპაში) ვხედავთ გაუწყვეტელ გან-ხეთქილბას, დავას სიუზერენთა და ფეოდალთა შორის, ისე ჩვენ-ში მოუსვენარნი მაავარნი, ერისთავნი, თავადნი უფრო სას-ტიკად, ხანგრძლივ, საშვილის-შვილოდ ებრძვიან კანონიერ მფ-ლობელთ... ვან იცის, რამდენჯერ მოუწყვევიათ ამ ფეოდალებს სპარსენი, ხონთქარი, ბერძენი, ლეკი, ოსი და სხვა \*\*\*). ბ. ეთ-რდანიაც ამასვე ამბობს და უმატებს ფეოდალთა თავ-აშვერუ-ლობაშ დაქცია საქართველოთ\*\*\*) მხოლოთ ვნახოთ, რას

\*) ბ-ნ. ხუდალოვს „ივერიის“ № 1 1887 წ. მოჰყავს „недѣлья“ ხ-მასაზ ჩებას იმის შესახებ: „Если осуществляется проектъ всесослов-вній волости, онъ найдетъ твердую точку споры въ экономичес-кой силѣ буржуазіи и приведетъ населеніе къ такому состо-янію, которое едвали уступить положенію народа до 1861 го-да...“

\*\*) „ივერია“ 1881 წ. № 7 „უსაფუძვლო წადილა“ ხუდალოვისა.

\*\*\*) ქართული პრესსა—ეორდანიასი.

გვეუბნება მეცნიერება. ისტორიული მასალის შესწავლაში გამოაშვარავა, რომ ყმობა საქართველოში საშვილის შვილო იყო. საყურადღებოა, რომ ყმად ხდებოდა: აყვანილი შეილობილი, უკანონო შვილი, შეუძლებელი მოვალე, შეუძლებელი. ქურდი (მიეცემოდა გაქურდულს „თავის ცოლშვილით, ქონებით და ნასყიდით“); ყმად ხდებოდა ავრეთვე გლეხი, რომელმაც შეირთო ბატონის გოგო, ვინც შიმშილობით გამოჰკვება გლეხი ცოლშვილით, ვინც გამოიყიდა გლეხი ტყვეობიდამ, ვინც გადაუწყვიტა ვალი გლეხს. \*\*\*)  
„გლეხი ორნაირად ემსახურებოდა ბატონს, ამბობს ბ. ხახანაშვილი: იგი უწევდა ქონებრივსა და პიროვნულ სამსახურს. პირველი დამყარებული იყო მამულის მფლობელობისა და იმის შემუშავებელ დამოკიდებულებაზედ, მეორე დაიბადა ყმის პირად ხელჭვეითებიდამ ბატონისაღმი“ (изა ლიციო ი ივანე მარტინი)“. მაწის მფლობელობის უფლებამ დაადო ყმას შემდეგი გადასახადი 1) ლალა (ნაწილი მოსავლისა ბატონის სასარგებლოთ) 2) კულუხი, 3) ნახირის თავი (20 კომლი თრიალეთზე აძლევდა ერთ ძროხას), 4) საბალახე (ასზე ურიცხვარი და ერთი ბატკანი), 5) პირისთავი, 6) კონისთავი (რაც კონის თევზი მოხვდებოდეს, თორმეტისაგან ათი საბატონოდ უნდა გადაიდვას) 7) ფუთკრისთავი. ხოლო ზირავნული სამსახურის ძალით გლეხს სხვა მოვალეობა აწვებოდა კისერზე: 1) ბევარა—ბატონისთვის მუშაობა (მულავერში ბატონთან მუშაობდნენ ხუთ დღეს) 2) ძლვენი, 3) საჩექმე (გადასახადი ქალწულის გათხოვების გამო), 4) გასამყრელო, 5) საჩარხი, 6) მსახურება (გოგოს მიცემა მოახლეოდ). ყველა ამის გარდა სახელმწიფო ბევარაზე უნდა გადაეხადა გლეხს: ათასგვარი ბაჟი—მარილზედ, ფარჩაზედ, თევზზედ, ენდროზედ, ქონზედ, მატყულზედ, ბაჟი მამულის გასყიდვისა; გადასახადი—სანაცვლო, სამოხე-

\*) ცნობებს ვიღებთ შემდეგის წყაროებიდამ: ბატონ-ყმობა—ხახანაშვილისა; აღმულას სამართალი და ძეგლის დება—ურბნელისა, ვაკონი ცარა ვახტანგა.

ლო, ლაშკარ-ნატირობა, გარდასახადი სათავადო, სააზნაურო, საერისთავო, სასპასალარო, სათათრო, საეჯიბო და სხევა და სხეა. ბროსსეს აქვს მოთვლილი 120 გარდასახადის სახელი. საქართველოში საეკლესიო, საბატანო და სახასო ყბები იყვნენ. გლეხს ერჩინა ეკლესიის და მეფის ყმობა. საეკლესიო გლეხს შეეძლო კათალიკოზის თანხმობით გაეყიდა თავისი მამული, შეეძლო თავისუფლად წასულიყო სავაჭროდ, შეეძინა თავისი საკუთარი მამული. სახასო გლეხიც უკეთეს მდგომარეობაში იყო. საბატონო ყმა ორ ბატონს — მეფეს და პატირონს-ბატონს ერთად ემსახურებოდა, ამიტომ საბატონო ყმა ბშირად სცდილობდა თავი დაეხწია ბატონისთვის და საეკლესიო და სახასო ყმად გამხდარიყო. რაკი გლეხი ისე დაჩაგრული შეი ეკონომიურად და მოელ თავის ღონეს სხვის სარჩენ ანდომებდა, რასაკეირველია, მას იურიდაული უფლებებიც შეკვეცილი ჰქონდა და მისი პოლიტიკური ძალაც შექსუთული. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ეკონომიური სიღარიბე და სიმდიდრე იურიდიულ და პოლიტიკურ შევიწროების, ანუ ფრთებ-შესხმულობის მაჩვენებელის. ვინც ღარიბია, ნაკლები გავლენაც აქვს ცხოვრებაში, და კაცის სიცოცხლეც იმდენად მეტად ფასობს, რამდენადაც მალლა სდგას სოციალურად. ეს სიმართლის ლოგიკა არ არის. ეგ არის ცხოვრების და არსებულ წყობილების ფილოსოფია. ჩვენ ძველ დროშიაც აგრე იყო. დაუკვირდით ჩვენს სისხლის სამართლს. მეფე ვახტანგის განმარტებით, თავადის სიცოცხლე ჰეგასობდა 15,300 მანეთი აზნაურის — 1920 მან. ხოლო გლეხისა — 120 მან. გლეხის ნათესავებს საქონლით უზღვდნენ, ენაზნაურის ნათესავებს — ზოგი საქონლით, ზოგი ოქროთ და ვერცხლით, ხოლო თავადის ნათესავებს — ოქროთ, ვერცხლით, ძვირფასის თვლებით და მარგალიტით.\*). რაც შეეხება პოლიტიკურ უფლებებს, იმისთანას, როგორც ევროპიელებს აქვთ მინიჭებული, ჩვენში, რასაკვირველია, არც ერთ წოდებას არა ჰქონდა, მხოლოდ ეკონომიურად ძლიერ წოდებას თავად-

\*.) Сборникъ законовъ царя Вахтанга

აზნაურობას, იურიდიულად დაუმტკიციურებელი, პოლიტიკური ძალა ჰქონდა. ჩვენი მთავრები, ერისთავები და თავადები ხშირად ეურჩებოდნენ მეფეებს და მით იჩენდნენ თავიანთ პოლიტიკურ ძლიერებას. გლეხს ამოდენა ძალა არ ჰქონდა და ამიტომაც იყო ის უმეტეს შემთხვევაში გაჩუმებული. ამას გვასწავლის ჩვენი წარსული.

თუ ეს ასეა, ნუ თუ ამ წარსულის კარგი მცოდნე ილია ჭავჭავაძე, ლინჯი, დამჯდარი აზრის პატრონი ქავჭავაძე არა ჰხედავდა ჩვენს ისტორიულ წარსულში იმას, რაც ისე თვალსაჩინო იყო? „დიდი შეცდომა იქნება, გვარწმუნებს ავტორი, წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზი თვითონ წადებათა წერბას, მის „შინაგანს არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედამ წარმომდგარ მიღრეულებას მივაწეროთ. ამის მიზეზი იგივეა, ჯიუტობს ავტორი, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდაო“). ავტორს უნდა გაევო, რომ საქმე სწორედ ჩვენს „წოდებათა წყობაში“ იყო და მის „შინაგანს არსებაში“. წოდებათა წყობა დაედო საფუძვლად ჩვენი სოციალურ ცხოვრების აგებულებას. კველა ეს ავტორს თამამად უნდა აღეარებინა. ჭავჭავაძემ სხვა გზა აირჩია. ის, რაც აქედამ წარმოსდგა, ამას ჩვენ შემდეგ წერილში გვარკვევთ.

არჩევულ ჭარბაშე



# უცხოეთის მიმოხილვა

რუსეთი და საფრანგეთი.

რუსეთის მეფე-დელოფალი ამ დღეებში ესტუმრება საფრანგეთს. ჯერ, სანამ ეს მოხდებოდეს, ფრანგები ისეთ აღტაცებას მიეცნენ, რომ ზომიერება დაპკარგეს და ლამის არის დამოუკიდებელ დაწინაურებულ სახელმწიფოს თავმოყვარეობა დაივიწყონ. მართალია, ეხლაც არის საფრანგეთში ისეთი ელემენტი, რომელიც მეტად უკმაყოფილოა რუსეთთან კავშირით და ზიზღით შეჰყურებს უმრავლესობის ახეთს არა ღირსეულ გატაცებას და თავდავიწყებას, მაგრამ ეს ელემენტი ჯერ ვერ შექმნილა საფრანგეთის ბედის გადამწყვეტელი, მას იმდენი გაელენა არ აქვს, რომ გამოსცვალოს საქმეთა ეხლანდელი მსვლელობა და კიდეც რომ შეეძლოს, ეხლანდელ საერთაშორისო პირობებში იგი ვერ მოახერხებდა ამას.

საიდგან წარმოლგა ფრანგ-რუსთა კავშირი, რომელიც ასე არა ბუნებრივად გვეჩვენება? - რომელმა პოლიტიკურმა პირობებმა აიძულეს საფრანგეთის რესპუბლიკა, ეს ყოფელმხრივ დაწინაურებული სახელმწიფო, ხელი გაეწვდინა რუსეთის იმპერიისათვის, რომელიც თითქმის სრული ანტიპოდია თავის მოკავშირისა?

გარდა ამისა, საინტერესოა გავიგოთ, რამდენად მტკიცეა ეს კავშირი, არსებობს თუ არა ისეთი ნიადაგი, სადაც ამ ორ მოკავშირეს ინტერესები ერთმანეთს ეჭინაალმდეგებიან და რომელმაც შეიძლება ერთ დროს დიდი განხეთქილება ჩამოაგდოს მათ შორის.

1871 წლის 20 მაისს საფრანგეთისა და გერმანიის წარმომდგენლებმა ხელი მოაწერეს ფრანკ ფურტის ხელ-შეკრუ-

ლებას.“ ეს იყო უკანასკნელი აკტი იმ საშინელის დრამისა, რომელიც განიცადა საფრანგეთმა ნაპოლეონ მესამის წინდა-უხელავ და გარყვნილ მთავრობის მიზეზით. მაგრამ საფრანგე-თის ეს საშინელი დამარცხება შეიქნა საგრძნობელი არა მარ-ტო საფრანგეთისათვის, მან სრულებით შესცვალა ეფროპის პოლილიტიკური მდგომარეობა და პოლიტიკის მიმართულბა. შუაგულ ეფროპაში გაჩნდა ძლიერ გერმანის იმპერია, დას-რულდა იტალიის გაერთიანება, მოისპო შევის ზღვის ნეიტრალ ზღვად ყოფნა (რუსეთის სასარგებლოდ) და დაიბადა ახალი კითხვა, რომელმაც დიდის ხნით მიმართულება მისცა საფრანგე-თის რესპუბლიკის პოლიტიკას: გერმანიამ ჩამოართვა საფრანგეთს სამი დეპარტამენტი (მილიონ ნახევარი მცხოვრები) და ელ-ზასლოტარინგიის კითხვაც მთელის თავის მნიშვნელობითა და სიძირით დაწვა ისედაც დატევირთულსა და ურიცხვ კითხვე-ბის ქვეშ მოკაცულ ეფროპას. გერმანია, რასაკვირველია, ყო-ველ ღონეს ღონისძლა შენაძენი არ დაეკარგა. იგი ჯარს ჯარზე უმატებდა და თან საფრანგეთს გაფაციურებით თვალყურს ადევნებდა, არა გამოეწყოსრა ისეთი, რაც გერმანიის იმპერიის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. გარდა ამისა გერმანიის მთა-ვრობა მეტის უზრუნველ ყოფისათვის ეძებდა მოკავშირეებს. 66-ში გერმანიისაგან დამარცხებულმა აესტრიამ დაპყარგა ყო-ველი იმედი გერმანიაში გამატონებისა და ამიტომ მან მთელი თავისი ყურადღება მიაქცია იღმოსავლეთს—ბალკანეთის ნახე-ვარ კუნძულს და აქ კი მისთვის აუცილებლად საჭირო იყო გერმანიის დამარება, რადგან ამავე მხრისაკენ მიმართული იყო დიდის რუსეთის პოლიტიკაც. აქედან დაიწყო გერმა-ნიის ახალ იმპერიისა და პაბსბურგების მონარქიის დაახლოვება და დამეგობრება, რომელიც აქამომდე არსებობს და რომელ-მაც შესძინა ავსტრია-ჰუნგრეთის იმპერიის ბოსნია და ჰერ-ცოგოვინა.

გერმანიის არ გასჭირვებია მეორე მოკავშირის მიმხრო-ბაც. როგორც ერთ-ერთ წინანდელ ქრონიკაში გვქონდა აღნი-შნული, იტალია მეტად უკმაყოფილო დარჩა საფრანგეთისა

საახალშენო პოლიტიკის გამო: იგი თავს ძველის რომის იმპერიის მემკვიდრედ სთვლიდა და ამიტომ მას ვერ მოიწყელებინა, რომ კართაგენის ნანგრევებზე აღმოცენებული ტუნისი საფრანგეთმა იგდო ხელში. ამ გვარად შესდგა ეკრედიტოდული სამთა კავშირი. გერმანია გაბოტონდა ევროპაში და მისი პოლიტიკა ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა: დადგა სანა, როცა ბისმარკი ევროპის თვით მჰყრებელი შეიქნა. დაირღვა ევროპის სახელმწიფოთა „სწორწონაობა“, ბალანსი. ამ გვარ მდგომარეობის განგრძნობა საშიში შეიქნა „კავშირ“ გარეთ დარჩენილ სახელმწიფოებისათვის. აუცილებელი საჭიროება იყო ისეთის კომბინაციის მოწყობა, რომელიც სამთა კავშირს მეტოქეობას გაუწევდა, გერმანიასაკენ მეტად გადახრილ სასწორს ისევ ზომაზედ დააყენებდა.

„სამთა კავშირის“ გარეთ დარჩენილი იყვნენ რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი. ეს უკანასკნელი სახელმწიფო ძალიან უფრთხის კავშირით შეეკრას რომელიმე კონტინენტალურ სახელმწიფოს და არც არის ეს მისთვის საჭირო: მისი სამეფო ზღვა არის და სანამ მას ზღვაზე არ გაუჩნდება საშიში მოცილე, მისთვის „მოკავშირე“ საჭირო არ იყო და არც არის. დარჩა რუსეთი და საფრანგეთი.

რუსეთის პოლიტიკა დიდ-ხანს გერმანიის შთავრობის დიდ გავლენის ქვეშ იყო. 63-ში პოლონოლების აჯანყების დროს პრუსიამ დიდი სამსახური გაუწია რუსეთს. მაშინ, როდესაც მთელი ევროპა რუსეთის წინააღმდეგ იყო და სასტიკად ჰკიცხავდა მას პოლონელების საქმის გამო, ბისმარკმა ხელი გაუწვდინა და დახმარება აღმოუჩინა აჯანყებულ პოლონელების წინააღმდეგ. იმპერატორ ალექსანდრე მეორეს ახსოვდა ეს საშსახური და მიუხედავად სლავიანოფილების პრესის, რომელიც მიმხვდარი იყო, თუ რას ნიშნავდა რუსეთისათვის გერმანიის ასეთი გაძლიერება, მეგობრული სცხოვრებდა ახალ იმპერიას. თან. მხოლოდ ბერლინის კონგრესში (1878) დაანახვა რუსეთს ბისმარკის „მეფობრობის“ ნამდვილი სახე და გამოაფხიზლა იგი. აქედან იწყება რუსეთისა და გერმანიის თან და თანი დაშორებაა.

ბალკანეთის საქართველოს მიმართულებაშ (რუმელის რევოლუციუ-  
ცია 85-ში, სტამბულის პილიტება და ბატენბერგის ბოლ-  
გარის ტახტზე ასვლა და სხვა) კიდევ უფრო დააშორა რუსე-  
თი გერმანიასა და ავსტრია-ტუნგრეთს და იგი იძულებული შე-  
იქნა საფრანგეთისაკენ დაეწყო ცეკვა და აქ ეძებნა საჭირო  
მოკავშირე.

დაჭრილი დაუძლეურებული საფრანგეთი ძალ-ღონეს იკრე-  
ფდა, თან-და-თან წელში იმართებოდა. სამთა კავშირის წინაშე  
მარტოს რა უნდა გაეწყო. მისთვის, როგორც რუსეთისათვის,  
საჭირო იყო მოკავშირე და რადგან რუსეთის მეტი არვინ დარ-  
ჩენილიყო ისეთი, რომელსაც შესძლებოდა ქვეყნის ეს საჭი-  
როება დაექმაყოფილებინა, საფრანგეთი იძულებული შეიქნა  
მას დაშვერობრებოდა.

ვინ მოიფიქრებდა სამოციან წლებში, რომ რევოლუციის მოცი-  
ქულ დერულედთან ერთად კატეკოვის. საფლავს ცრემლს დაა-  
ყრიდა ფლოკეც, ის ფლოკე, რომელმაც 67-ში ალექსანდრე  
მეორეს „პოლონეთის გაუმარჯოსთ“ მიაძახა. და არც მოსაფიქ-  
რებელი იყო. ამის დასამტკიცებლად საქართვისი სულ მოკლედ  
თვალი გადაავლოთ საფრანგეთისა და რუსეთის დამოკიდე-  
ბულებას მე-XIX-ე საუკუნის განმავლობაში.

ორივე სახელმწიფოს მთავრობა რამდენჯერმე ეცადა დაახ-  
ლოვებოდნენ ერამანერთს, მაგრამ ცდამ ყოველთვის ამაოდ  
ჩიიარა. რატომ? იმიტომ, რომ საფრანგეთი და რუსეთი „თანა-  
მედროვე ევროპის ორი ერთი მეორის წინააღმდეგი პოლიუსია  
და ყველას თვალში ორის წინააღმდეგის პრინციპების განმა-  
ხორციელებელნი“.

1789 წლიდან გამოსულ საფრანგეთისათვის რუსეთი ბარბა-  
როსული დესპოტიური სახელმწიფოა; რუსეთისათვის კი საფრან-  
გეთა ყოველთვის რევოლუციონური აზრების კერა იყო. გარდა  
ამისა საფრანგეთსა და რუსეთ შუა იდგა პოლონეთი. „საფრან-  
გეთს, რომ რუსეთს დაკავშირებოდა, პელონეთის გვამზე უნდა  
გადაეგარა“. და განა ეს აღვილი მოსახერხებელი იყო? „ფრან-  
გების პელონელებისადმი სიმპატია წმინდა სანტიმენტალისმის  
შედეგი როდი ყრთვილათ, ამბობს ლერუა ბოლივი; როცა

საფრანგეთის ძველი მონარქია მხარს აძლევდა პელონეთის რესპუბლიკას, იგი მისდევდა ტრადიციონულ პოლიტიკას სწორ-წონაობისას. პელონეთის განაშილებამ დაარღვია ეს სწორწონაობა საფრანგეთის საზიანოდ. სამხა სახელმწიფომ გააგანიცე ეს თავიანთი სამფლობლები ისე, რომ საფრანგეთს არა მიუღია რა“. 1815 იდან საფრანგეთის რევოლუციის იდეამ ახალი ფორმა მიიღო. როგორც ვიცით, ამ წელს დაარსდა ევრედ წოდებული „წმინდა კავშირი“, რომელიც უმთავრხად მიმართული იყო რევოლუციის იდეისა და ამ იდეის მატარებლის საფრანგეთის წინააღმდეგ. ამიტომაც საფრანგეთი იძულებული შეიქნა როგორც სხვაგან, პელონეთშიაც „წმინდა კავშირის“ წინააღმდეგ წამოეყენებინა დაპყრობილი ერები და მეფეთა უფლების წინააღმდეგ—ხალხის უფლებანი“. ფილიპე ორლეანელი ტყვილა როდი ემუქრებოდა ევროპას ორმოციან წლებში, მოთმინებიდან ნუ გამოიყანებენ საფრანგეთს, თორემ მთელს ევროპას ცეცხლს მოვდებთო (ე. ი. ავაჯანყებთ დაპყრობილ ერებს და დაბეჭავებულ ხალხსო). რუსეთთან შეერთება მხოლოდ მაშინ შეეძლო საფრანგეთს, როცა დარწმუნდებოდა, რომ პელონეთი მკვდარია ან როცა მის (საფრანგეთის) არსებობას საშინელი განსაკულელი მოელოდა. სწორედ ამ განსაკულელმა აფიქრებინა საფრანგეთს რუსეთის იმპერიასთან კავშირი.

რამდენად მტკიცეა ეს კავშირი? ზერელე რომ საქმეს გადავხელოთ, გამოვა, რომ კავშირი მტკიცე და ხანგრძლივი უნდა იქნეს: მართლაც ორივე სახელმწიფოს ერთი და იგივე მტრები ჰყავს, მაშასადამე ორივეს ინტერესი მოითხოვს თანხმობით ერთად მოქმედებას. გარდა ამისა რუსეთისა და საფრანგეთის სამფლობელოების საზღვრები არსად არ ხვდებიან ერთმანეთს, ასე რომ მოსალოდნელი არ არის, რომ მათ შორის რაიმე შულლი ჩამოვარდეს. უველა ეს მართალია და სწორედ ამ გარემოებათა მიხევით აისხება ხსენებული კავშირი. მაგრამ არის ორი ადგილი, სადაც რუსეთისა და საფრანგეთის ინტერესები სხვა და სხვაა და ადგილად შეიძლება ერთმანერთსაც შეეჯახნენ: ოსმალეთში და ავსტრია-პუნგრეთში. მეტად ძნელია, თუ შეუძლებელი არა, რუსეთისა და საფრანგეთის ინტერესების

შეთანხმება და შერიგება. სანამ რუსეთი ბალკანეთის სლავიანებს ანთავისუფლებდა, საფრანგეთს საწინააღმდეგო არა ჰქონდა რა და არც ექნება. ეს მისი ტრადიციონული პოლიტიკა იქნება. მაგრამ როცა რუსეთი მოინდომებს თავის ნაღვაწის ნაყოფის მოკრეფას, ესე იგი ბოსფორზე თავის პოლიტიკურ და რელიგიურ ჰეგემონიის დამყარებას, საფრანგეთი ამას ვერ დათობს, რადგან ეს შელახავს მის ტრადიციას, ზეობრივ და მატერიალურ ინტერესებს. მართლაც, დიდის ხნიდან საფრანგეთს პირველი აღილი ეჭირა კონსტანტინეპოლიში თავის სკოლების, სხვა და სხვა. საზოგადოებების და ენის საშუალებით, და ეხლაც შერჩენია ძველის დიდებიდან ბევრი რამ. „თუ მესამე რომს, მოსკოვს, ჰყავს ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ მართლ-მადიდებელი კლიენტები, პირველ რომის მე-მკვიდრე საფრანგეთსაც ჰყავს თავის კლიენტები — ჯვარისანთა ომიანობის სამკვიდრო, რომელზედაც საფრანგეთის არც ერთ მთავრობას არ უთქვაშს უარი.... თუ საფრანგეთი უარს ჰყოფს თავის ტრადიციონულ მდგომარეობას აღმოსავლეთში, იგი სა-მუდამოდ თავს ამოიშლის დიდ სახელმწიფოთა სიიდან“.

გარდა ოსმალეთისა და ბოსფორისა სახეში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე ავსტრია-ჰუნგრეთი. რუსეთი და ავსტრია-ჰუნგრეთი ბუნებრივი მეტოქენი იყვნენ და არიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წერის შემდეგ ავსტრია განდევნებს გერმანიიდან და იგი იძულებული შეიქნა მთელი თავისი ყურადღება მიექცია სამხრეთ სლავიანებისა და ბალკანეთისაკენ. ჰაბ-სბურგების მონარქია სცდილობს ხელიდან გამოჰვლიჯოს პეტერბურგს სლავიანთა ჰეგემონია. რუსეთი ამას ხედავს და მიმხდარია, რომ სტამბოლის ხელში ჩაგდება და პანსლავიზმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ავსტრია-ჰუნგრეთის მონარქიის ნაგრევებზე. „კონსტანტინეპოლის გზა ვენაზე მიდის და ვენისა ბერლინზე“, ამბობენ რუსეთის პოლიტიკოსები. მართლაც თუ ავსტრია-ჰუნგრეთი გერმანულ-მადიარული სახელმწიფო დარჩა, იგი იქნება სლავიანების მტარვალი და რუსეთის ისტორიული დანიშნულება ხომ სლავიანების განთავისუფლებაა. თუ ჰაბსბურგების ჩანარქია ხალხების ფედერაცია შეი-

ქნა, კიდევ უარესი რუსეთისთვის:—სლავინთა თავისუფალ ერებისათვის საჭირო აღარ იქნება რუსეთის დახმარება და ამ გვარად მას ხელიდან გამოეცვება ისტორიული მისია, რომელიც „განგებამ არგუნა წმინდა რუსეთს“.

პანსლავისმა რომ თავი დაენებოთ, რუსების შეხედულებით ჯერ გაუთავებელია პანრუსიზმის საქმეც: გალიცია, ძველი გოლიჩი, ჯერ კიდევ არ ეკუთვნის „სრულიად რუსეთის“ სკიპტრას.

ერთის სიტყვით, არც ერთი რუსი უარს არ იტყვის დაუახლოედს ფერმანიას და მასთან ერთად დამგრიოს ეს „ხელოვნურად“ შედგენილი სახელმწიფო.

არც ერთ სახელმწიფოსთვის არ არის ისე საჭირო ავსტრია-ჰუნგრეთის არსებობა, როგორც საფრანგეთისათვის. „იმ დროს როცა ავსტრია-ჰუნგრეთის იმპერია გაპქრება ან მარტო ჰუნგრეთი დარჩება, იგივე მოუვა საფრანგეთსაც: ავსტრიის ზოგიერთ პროვინციაზით გაზიდებულ გერმანიის წინაშე საფრანგეთს ეკავება ევროპაში ესპანიაზე ნაკლები აღვილი—მათ შორის პირინეის მთები აღარ არის“. ავსტრია-ჰუნგრეთი ევროპის სწორ-წონაობის აუცილებელი ელემენტია, და ამიტომ საფრანგეთის უმთავრესი ინტერესია მისი შენახვა და დაცვა. უერთმანეთოდ არც ერთი ამ სახელმწიფოთაგანი არ იქმნება „დალი სახელმწიფო“.

გარდა ნაჩვენებ ინტერესების წინააღმდეგობისა, არა კიდევ სხვა მიხეხები, რომელიც ასესტებს საფრანგეთისა და რუსეთის კავშირის: სიმტკიცეს: ამ კავშირის მიზეზით საფრანგეთმა დაპქარდა და კიდევ დაპქარდებს ევროპაში და სხვაგანც იმ სიმპატიას, რომელსაც გრძნობდნენ მისდამი და რომელიც ცოტა ძალას არ წარმოადგენს საერთაშორისო დამოკიდებულებაში. მარტო მატერიალურ ინტერესებით ხელმძღვანელობა პოლიტიკაში შეუძლებელია ერისათვის: მას-თუ რაიმე იდეალი არ ამოქმედებს, იგი სუსტია, რადგან იდეალი წყაროა გატაცებისა და ენტუნისმისა.

მეორე მხრივ თვითონ ეს კავშირი ორივე მოკავშირეებისათვის თანაბარი არ არის, რადგან მათი საერთაშორისო მდგო-

მარეობა სხვა-და-სხვაა. ბისმარკმა სთქეა 88.-ში სხვათა შორის „თუ ეინიცობაა საფრანგეთთან შეტაკება მოგვივიდა, რაც ყოველთვის მოსალოდნელია, რუსეთის ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრება შესაძლებელია, მაგრამ აუცილებელი კი არა, და თუ რუსეთთან გვექნა რამი, საფრანგეთის ვერც ერთი მთავრობა ვერ შესძლებს, რაც უნდა სურდეს, შეაჩეროს ხალხი და არ მიაღებინოს მონაწილეობა ომიანობაში“. რუსეთის პოლიტიკა ბევრად უფრო თავისუფალია საფრანგეთისაზე და ამიტომ კავშირიც რუსეთმა უფრო გამოიყენა. რუსეთის სახელი და გავლენა არასოდეს ისეთი არ ყოფილა, როგორც ეხლა და ეს პირდაპირი შედევია ხსენებულ კავშირისა და იმ გარემოებისა, რომ ამ კავშირში, მეგობრობაში პირველი ადგილი რუსეთს უკავია.

ნაჩვენებ გარემოებათა მიუხედავად ფრანგ-რუსთა კავშირი ჯერ მტკიცეა: რუსეთი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ემზადება იმ მიზნის მისაღწევად, რომლის გამო მას საფრანგეთთან შეტაკება უნდა მოუხდეს; ამასთან ელჩას-ლოტარინგია გერმანიის ხელშია და საფრანგეთი ამას ვერ ივიწყებს. მართალია, გერმანიისა და საფრანგეთის დამკიდებულება გაუმჯობესდა, ისიც მართალია, რომ ვილჰელმ მეორე შემდეგისთვისაც ბევრს ეცდება შეურიგდეს საფრანგეთს, მაგრამ 1871 წელს საფრანგეთი ვერ დაივიწყებს.

„საფრანგეთს იმედი არ დაუკარგასო, სწერდა ერთი გაელენიანი ფრანგული გაზეთი ამ დღეებში, საფრანგეთს არ დავიწყებია თავისი მოვალეობა; საფრანგეთს არ უთქვამს „ამინ“ ტერიტორიის დაკარგვისათვის. რამდენიც არ უნდა გაგვიღიმონ, რამდენიც არ უნდა მოგვეფერონ,... ხალხის უმრავლესობას სხვა წარმოდგენა აქვს ეროვნულ პატივ - მოყვარეობაზე და მომავალიზე“. საფრანგეთი ეხლა იმასვე გრძნობს, რასაც გამძეტას დროს გრძნობდა და ეს გრძნობა ამავე გამძეტა ტაბ მშევნიერად გამოსთქვა შემდეგის სიტყვით: ნუ ვილაბარაკებთ, მხოლოდ ვითიქროთ მაზედო...“. და სანამ ეს ასეა, რუსეთიც უზრუნველ ყოფილია საფრანგეთის მხრივ.

რედაქტორი:  
ად. ჭუთაძე

გამომცემელი  
ად. ჭაბადიშვილი